

ბ. თოფურია

# ღეგბიური ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები

იურიული და ახტის დიკლემფიკაციის მონაცემთა მიხედვით

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ИНСТИТУТ ЯЗЫКОЗНАНИЯ

---

Г. В. Топуриа

# Основные морфологические категории лезгинского глагола

ПО ДАННЫМ КЮРИНСКОГО И АХТЫНСКОГО ДИАЛЕКТОВ

---

ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

Т Б И Л И С И

1 9 5 9



## შ ე ს ა ვ ა ლ ი

საკითხის შესწავლის იატორიიდან<sup>1</sup>. სპეციალური გამოკვლევა, მიძღვნილი ლეზგიური ზმნისადმი, დღეისათვის არ მოიპოვება, და საერთოდ, ლეზგიური ენის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა მცირეა.

პირველი ცნობები ლეზგიური ენის ლექსიკაზე გვხვდება როგორც გიულდენშტედტის<sup>2</sup>, ისე კლაპროთის<sup>3</sup> „მოგზაურობებში“. ასევე ლექსიკური მასალა (ფრაზების სახით) მოიპოვება რ. ერკერტის შრომაშიც, მაგრამ, გიულდენშტედტისა და კლაპროთისაგან განსხვავებით, იგი ენის მოკლე გრამატიკულ მიმოხილვასაც იძლევა<sup>4</sup>.

საფუძველი ლეზგიური ენის მეცნიერულ შესწავლას ჩაეყარა პ. უსლარის მონოგრაფიული შრომით<sup>5</sup>. ეს გამოკვლევა ემყარება დღევანდელი კასუმენტის რაიონის ერთი აულის, მამრაჩარის (მამრაშის) კილოკაცს, რომელიც ახლოს დგას სალიტერატურო ლეზგიურთან. ეს შრომა პ. უსლარისათვის ჩვეული სიზუსტითა და სისრულით ხასიათდება და საეხებით სანდო წყაროს წარ-

---

<sup>1</sup> შესავალში მოცემულია ლიტერატურის მხოლოდ ზოგადი მიმოხილვა. ესა თუ ის შრომა, სადაც კონკრეტული ენობრივი ფაქტები გაშუქებული, თავთავის ადგილასა დასაყლებული.

<sup>2</sup> J. A. G ü l d e n s t ä d t. Reisen durch Russland und im Caucasischen Gebirge, St.-Petersburg, 1787.

<sup>3</sup> J. K l a p r o t h. Reise in den Kaukasus und nach Georgien, II Band, Halle und Berlin, 1814.

<sup>4</sup> R. E r c k e r t, Die Sprachen des kaukasischen Stammes, II Theil, Wien, 1895.

<sup>5</sup> П. К. У с л а р, Этнография Кавказа. Языкознание. VI. Кюргинский язык, Тифлис, 1896.

მოადგენს ლეზგიური ენის შესწავლისათვის. მასში დახასიათებულია ლეზგიურის ყველა ძირითადი მორფოლოგიური კატეგორია. ყველაზე უფრო ვრცლადაა განხილული ზმნა და მისი კატეგორიები. განსაკუთრებით ეს ითქმის მეშველ ზმნებზე, რომელთა ანალიზითაც საესებით ბუნებრივად იწყება ზმნის დახასიათება. მეშველ ზმნათა მიმოხილვის შენდეგ იგი იძლევა ზმნის სხვადასხვა ფორმის აღწერას, როგორცაა: დრო, მიმდგობანი, ბრძანებითი კილო, დროის მაქვემდებარებელი ფორმები, კაუზატივი, უარყოფითი, კითხვითი ფორმები და სხვ.

მაგრამ პ. უსლარის გამოკვლევას ერთი ნაკლი მაინც დაჰყვა. იგი გამოიხატება მასალის დალაგების უსისტემობაში. ზმნის ცალკეული ფორმები, მართალია, აღწერილია ზუსტად, მაგრამ არ ჩანს მათი ურთიერთკავშირი; არ არის გარკვეული, რომელი ფუძიდან რა ფორმა იწარმოება; ერთ საერთო პარადიგმაში დროის კატეგორიასთან ერთად გაერთიანებულია დროის მაქვემდებარებელი ფორმები, მიმდგობები, ბრძანებითები, პირობითი ფორმები და სხვ.

შრომაში გათვალისწინებული არაა რამდენიმე ფორმა, რომლებიც საკმაოდ დამახასიათებელია ლეზგიური ზმნისათვის. განსაკუთრებით ეს ეხება მოქმედების განმეორების კატეგორიას (პრეფიქსი ხ II §), რომელიც გასდევს ზმნის მთელ სისტემას. ასევე ყურადღების გარეშეა დატოვებული ნამყო ძირითად II-თან დაკავშირებული მიმდგობის ორი პარალელური ფორმა; აწმყო დრო მხოლოდ მეშველ ზმნათა მიხედვითაა გაშუქებული და ა. შ.

მიუხედავად ამ ხარვეზებისა, პ. უსლარის ეს მონოგრაფია დღესაც მნიშვნელოვან გამოკვლევად რჩება. საყურადღებოა ის ტექსტობრივი მასალაც, რომელიც გრამატიკულ მიმოხილვას ახლავს და სადაც შეიძლება დაიძებნოს ზმნის ის ფორმებიც, რომლებიც დღევანდელ ლეზგიურში აღარ იხმარება. ან მეტად იშვიათად გვხვდება.

პ. უსლარის შენდეგ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ლეზგიური ენის დამოუკიდებელ შესწავლას არავინ ცდილა. ყველა ის შრომა, რომლებიც პ. უსლარის მონოგრაფიის შემდეგ გამოქვეყნდა (ლ. ზაგურსკი<sup>6</sup>, მ. ზავადსკი<sup>7</sup>, ნ. ვორონოვი<sup>8</sup>), არსები-

<sup>6</sup> Л. Загурский, Заметки о кюринском языке. На основании исследований гев. Услара, ССКГ, вып. VIII, Тифлис, 1875.

<sup>7</sup> М. Завадский, Грамматические заметки, СМОМІК, вып. XIV, Тифлис, 1892.

<sup>8</sup> [Н. Воронов]: Н. В., Научные известия, I. По поводу исследования П. К. Услара о кюринском языке, ССКГ, вып. VI, Тифлис, 1872.

თად პ. უსლარის გამოკვლევას ემყარება, კომპილაციას წარმოადგენს და ამდენად მათ დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვთ.

3. უსლარის იგივე შრომა გერმანულ ენაზე გადმოცემული აქვს ა. შიფნერს<sup>9</sup>. გერმანულადვე ლეზგიური ენის მოკლე მიმოხილვა შეტანილი აქვს ა. დირს თავის შრომაში „Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen“ (1928 წ.).

3. უსლარის გამოკვლევის შემდეგ ასე თუ ისე ანგარიშგასაწევი შრომაა ლ. ეირკოვის „Грамматика лезгинского языка“, რომელიც 1941 წელს გამოქვეყნდა. ეს შრომაც არსებითად პ. უსლარის მონოგრაფიას ემყარება, თუნცა ლ. ეირკოვს გათვალისწინებული აცნეს საკუთარი ახალი მასალაც, მაგრამ ავტორი არ სცილდება პ. უსლარის მიერ აღწერილ ფორმათა ფარგლებს. განსხვავება იმაშიც მდგომარეობს, რომ ლ. ეირკოვს ნაწილობრივ სისტემაში აქვს მოყვანილი ლეზგიური ზმნის ფორმები და თითოეული მათგანისათვის თავ-თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. აქ უკვე აღარაა არეული ერთმანეთში დროის ფორმები ზმნის სხვა ფორმებთან (დროის მაქვემდებარებელი და პირობითი ფორმები, მიმლეობები და სხვ.). მასვე ნაჩვენები აქვს ზმნის ზოგიერთი ფორმანტიის გენეზისი.

როგორც პ. უსლარის, ისე ლ. ეირკოვის შრომას ერთი სჯერათო ნაკლი აქვს. მათში საკმარისად არაა გათვალისწინებული დიალექტოლოგიური მასალები, რომელთა მონაცემებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლეზგიური ზმნის შესწავლისას. დიალექტთა მონაცემების შედარება საშუალებას იძლევა გაირკვეს ლეზგიური ზმნის რიგი ძირითადი საკითაი.

ლეზგიური ენის სწავლასხვა უბანს ეხება რიგი გამოკვლევა, რომლებშიც ლეზგიური ზმნის ზოგიერთი საკითხიცაა განხილული. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მ. ჰაჯიევის მონოგრაფია «Синтаксис лезгинского языка»<sup>10</sup>. ამ შრომაში შესწავლილი შემასმენელთან (ზმნასთან) დაკავშირებული სინტაქსური საკითხები. მ. ჰაჯიევსავე ეკუთვნის ლეზგიური ენის სსსკლლ გრანტიცა (ფონეტიკა, მორფოლოგია)<sup>11</sup>.

<sup>9</sup> A. Schiefner, Ausführlicher Bericht über P. v. Uslar's kürinische Studien, Mémoires de l'Académie Imp. des sciences de St. Pétersbourg. VII<sup>e</sup> série, t. XX, № 2, 1873.

<sup>10</sup> М. Гаджиев, Синтаксис лезгинского языка. Часть I. Простое предложение, Махачкала, 1954.

<sup>11</sup> М. Гаджиев, Лезги чӀалан грамматика. Сад лагӀан пай. Фонетика ва морфология, Дагупедгиз, Махачкала, 1955.

ბოლო ხანებში დაიბეჭდა რამდენიმე შრომა, სადაც ცალკეული დიალექტების საკითხებზეა მსჯელობა. მთლიანად ახტის დიალექტია შესწავლილი რ. ჰაიდაროვის სადისერტაციო შრომაში, რომლის ავტორეფერატიც გამოქვეყნდა<sup>12</sup>. როგორც ავტორეფერატიდან ჩანს, ავტორი საკმაოდ ვრცლად ეხება ზმნასაც. შრომაში მიმოხილულია ზმნის ფორმათა თავისებურებანი ახტის დიალექტში.

მეორე, კუბის დიალექტის ანიხის კილოკავს ეხება მ. ჰაჯიევის სტატია, რომელიც ორიოდე წლის წინათ დაიბეჭდა<sup>13</sup>. აქ სხვა საკითხებთან ერთად ზმნის რამდენიმე თავისებურებაცაა გათვალისწინებული. სტატიას თან ერთვის ორი პატარა ტექსტიც.

ენის შესწავლისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სანდოდ ჩაწერილ გაბმულ მასალას, ტექსტებს. ლეზგიური ენის რამდენიმე დიალექტოლოგიური ტექსტი სხვადასხვა კრებულშია გამოქვეყნებული. ყველაზე ძველი ტექსტი (პ. უსლარის შემდეგ) დაბეჭდილია კიურიული დიალექტიდან კრებულში С.М.ОМІК 1892 წელს<sup>14</sup>.

გამოქვეყნებულია ა. გენკოს მიერ ჩაწერილი ორიოდე ლექსიც (ავრთვე ფრაზეოლოგიური მასალა) ახტის დიალექტზე<sup>15</sup> და მის მიერვეა შეკრებილი კუბის დიალექტის ლექსიკოლოგიური მასალა. უკანასკნელს დართული აქვს გრამატიკული შენიშვნები ამ დიალექტის თავისებურებათა შესახებ (კერძოდ, ზმნიდან — უარყოფითობის პრეფიქსები)<sup>16</sup>.

---

<sup>12</sup> Р. Г а й д а р о в, Ахтинский диалект лезгинского языка. Автореферат кандидатской диссертации, Махачкала, 1955.

<sup>13</sup> М. Г а л ж и е в. О некоторых особенностях аныкского говора лезгинского языка, Ученые записки Института истории, языка и литературы вв. Г. Цадасы, т. II, Махачкала, 1957.

<sup>14</sup> Л. П о н и л а с, Б. С у л т а н о в, Кюринские послловицы п сказки (Записаны и переведены в Касум-Кеяте), С.М.ОМІК, вып. XIV, отдел II, Тифлис, 1892.

<sup>15</sup> А. Г е н к о, Ахтинские тексты, Доклады АН СССР, В, Ленинград, 1926, март-апрель.

<sup>16</sup> А. Г е н к о, Материалы по лезгинской диалектологии. Кубинское варение, Изв. АН СССР, Отд. гуманитарных наук, VII серия, М.—Л., 1929, № 4.

უკანასკნელ ხანს გამოქვეყნდა უ. მეილანოვას შრომა, რომელიც მიძღვნილია ლეზგიური ენის ერთ-ერთი დიალექტისადმი. ამ სტატიაში ზმნის რამდენიმე თავისებურებაცაა გათვალისწინებული<sup>17</sup>.

ერთადერთი გამოკვლევა, რომელიც სპეციალურად ზმნას ეხება, ესაა უ. მეილანოვას სტატია ბრძანებითის წარმოების შესახებ<sup>18</sup>. სტატიაში ბრძანებითის სხვადასაეა ტიპია გაანალიზებული.

დალესტნის ისტორიის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის ორგანოს უკანასკნელ ტომში დაიბეჭდა სამი ახალი სტატია, რომლებშიც სხვა საკითხებთან ერთად ლეზგიური ზმნის ზოგიერთი მხარეცაა განიხილული\*.

---

<sup>17</sup> У. Мейланова, Краткая характеристика гюнейского диалекта лезгинского языка, Ученые записки Института истории, языка и литературы им. Г. Цадасы, т. III, Махачкала, 1957.

<sup>18</sup> У. Мейланова, Типы образования повелительного склонения глагола в лезгинском языке, сборник «Язык Дагестана», вып. II, Махачкала, 1954.

\* სანწებაროდ, ეს სტატიები ვერ გამოვიყენეთ, რადგან ჩვენი შრომა კრებულის გამოსვლამდე უკვე სტამბაში იყო გადაცემული. ეს შრომებია: М. М. Гаджиев, Следы грамматических классов в лезгинском языке; Б. Б. Талпиев, Препербы в системе лезгинского глагольного корня; У. А. Мейланова, Гиллярский смешанный диалект и его место в системе лезгинских диалектов. იბ. Ученые записки Института истории, языка и литературы им. Г. Цадасы, т. V, Махачкала, 1958.



## ზ მ ბ ა ღ ი <sup>19</sup>

ლეზგიურ ზმნას სულ რამდენიმე ძირითადი კატეგორია ახასიათებს. ესაა: დრო, კილო, კაუზატივი და მოქმედების განმეორებითობა. გრამატიკული კლასისა და პირის კატეგორია ლეზგიურ ზმნას არ მოეპოვება.

ცნობილია, რომ ყველა იბერიულ-კავკასიურ ენას მოეპოვება ან მარტო კლასი (ხუნძური), ან მხოლოდ პირი (უდური, ქართული...), ან ორივე ერთად (აფხაზური, ტაბასარანული, ბაცბური...) <sup>20</sup>. ამდენად, ლეზგიური ზმნა აღულურ ზმნასთან ერთად საეცებით განმარტოებით დგას იბერიულ-კავკასიურ ენათა ზმნის სისტემაში. პირისა და კლასის კატეგორიის უქონლობა ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებათაგანია ლეზგიური ზმნისა. ამ მხრივ, ლეზგიური ზმნა შორდება იბერიულ-კავკასიურ ენათა ზმნებს საერთოდ, კერძოდ კი დაღესტნის ენათა ზმნებს.

ბუნებრივად ისმის საკითხი, რა ვითარება იყო ამოსავალი ისტორიულად, პირველადია თუ მეორეული ლეზგიურში არსებული ფაქტი? დაღესტნის სხვა ენათა მონაცემები იქითკენ წარმართავენ ჩვენს ყურადღებას, რომ კლასის კატეგორია, რომელიც წინ უსწრებს პირის კატეგორიას, უცხო არ უნდა ყოფილიყო ლეზგიური ზმნისათვისაც. დიალექტურ ფორმათა შედარება მხარს უჭერს ასეთ ვარაუდს. რამდენიმე მაგალითი:

---

<sup>19</sup> ან ნაწილში მოკლედია განხილული ლეზგიური ზმნის ის საკითხები, რომელნიც შრომაში სპეციალური შესწავლის საგანს არ წარმოადგენენ

<sup>20</sup> კლასებისა და პირის კატეგორიის ისტორიულ ურთიერთობათა შესახებ იხ. არნ. ჩიქობავას გამოკვლევა: გრამატიკული კლას-კატეგორია და ზმნის უღვლილების ზოგი საკითხი ძველ-ქართულში (წინასწარი მოხსენება). იბერიულ-კავკასიური ენათრეცენიერება, ტ. V, თბილისი, 1953.

ახტის დიალექტში დასტურდება მასდარი რეყრნ „მოკვლა“. „მოკვდომა“. აქ ძირისეული თანხმოვანია ყ. ამაზე მიუთითებს სალიტერატურო ლეზგიურის პარალელური ფორმა ყინ. ნამყო ძირითადში ორივე დიალექტში გვხვდება ყ-ქნა (-ე-ნა დროის ფორმანტია), ხოლო ბრძანებითში გვაქვს ჯი-ყი ცხადია, გამოყოფილი რ- და ჯ- გრამატიკული კლასის გაქვეავებული ნიშნები.

ეგვე რ- და ჯ-პრეფიქსები შეიძლება გამოიყოს რ(უ)გუნ „ხარშეა“ და რუხუნ || ხუნ „დაბადება“ მასდარებსა და მათ ფორმებში.

პირველის პარალელური ფორმა (ჯ)გუნ იმავე მნიშვნელობით გავრცელებულია ახტის დიალექტში, სოლო ყურახის რაიონის შეტყველებლაში იხმარება ჯუგუნ (პ. უსლარის შრომაში—ურგუნ). მისი ბრძანებითის ფორმებია შესაბამისად — რ(უ)გუნ-გ || (ჯ)გუნ-გ! || ჯუ-გუნ-გ! ძირია გ.

რაც შეეხება რუხუნ || ხუნ<sup>21</sup> ფორმებს, მათი ნამყო ძირითადია ხანა, რ-თავსართის გარეშე. ბრძანებითია რუხუნ-ხუნ! || ხუნ-ხუნ! ძირია ხ.

ასევე, რ-თავსართი უნდა გამოიყოს ახტის დიალექტში ხმარებულ მასდარში რე-ჯგინ || ჯგუნ<sup>22</sup> „გაციცნა“, „გაყინა“. სალიტერატურო ლეზგიურში კი იხმარება ჯგუნ ფორმა. ახტის დიალექტის ფორმებია—აბსოლუტურში რე-ჯგინზ, მაგრამ ნამყო ძირითადშია ჯგანა. ეს უკანასკნელი საერთოა ორივე დიალექტისათვის (შდრ. ჯგაჯრ „ცივი“, res. მიზღეობა „გაციცეზული“).

სალიტერატურო ლეზგიურში „გაგზავნის“ მნიშვნელობით გამოყენებულია მასდარი რაჯგუნ (|| რაჯგუნრუნ). ახტის დიალექტში ეს ზმნა რ-პრეფიქსის გარეშეა წარმოდგენილი ჯგუნ<sup>23</sup> სახით, ამდენად, რ-ძირისეული არაა.

ამ ზმნათა ანალიზის მიხედვით ლეზგიურში კლასის ნიშანთა სისტემის თავდაპირველი არსებობა ეჭვს არ იწვევს. რ-და ჯ-კლასის ექსპონენტების გარდა გამოიყოფა იმავე ფუნქციის მატარებელი დ-პრეფიქსი ჯ-ა და დ-ა მეშველ ზმნებში (იხ. გვ. 67—69), ასევე, მასდარში და-კუნ „გასივება“ (იხ. გვ. 48).

<sup>21</sup> პირველი ფორმა იხმარება ახტის დიალექტში.

<sup>22</sup> გ-ი-უ: ჯგ-გნ-(რე)-ჯგ-ინ-ჯგ-უნ. ფორმათა ასეთი თანამიმდევრობა გვაქვს მხოლოდ მასდარის დაბოლოების მიხედვით (ხოვ შემთხვევაში).

<sup>23</sup> ჯგუნ ახტის დიალექტში „ჰერა“-ს ნიშნავს, მაგრამ მნიშვნელობის დამთხვევა ფონეტიკური ცვლილების შედეგია (შდრ. სალიტერატურო ლეზგიურის ყუნ „ჰერა“ (უპირავს)).

მაშასადამე, გვექონია გრამატიკული კლასის საში ექსპონენტი რ., ა-, დ-. ცხადია, ამჟამად ძნელი გასარკვევია, რომელი ელემენტი რომელი კლასის ნიშანს წარმოადგენდა<sup>24</sup>, რადგან გრამატიკული კლასის სისტემა ლეზგიურში სავსებით მოშლილია და კლასის ნიშნების გამოყოფა სპეციალურ ენათმეცნიერულ ანალიზს მოითხოვს ცალკეული ზმნებისას.

ამგვარად, გრამატიკული კლასის კატეგორიის არსებობა ლეზგიურში ისტორიული ფაქტია.

კითხვა ისმის, იქნებ პირის კატეგორიაც არ იყო უცხო ლეზგიურისათვის და ამჟამად მისი უქონლობაც მეორეული მოვლენაა? მაგრამ ცნობილია, რომ დალესტნის ყველა ენაში, სადაც პირის კატეგორია გვაქვს, იგი ახალი შენაძენია<sup>25</sup>. ზოგ ენაში იგი სავსებით ჩამოყალიბებული ჯერ არც კია და პირების გარჩევა ახლალა იკაფავს გზას.

და მაინც, ლეზგიური ზმნა განვითარების თვალსაზრისით „წინ უსწრებს“ ალულურს. ლეზგიურში საშივე პირის მორფოლოგიური გარჩევა მაინც ხერხდება. ესაა ზმნის ბრძანებითის ფორმა, რომელიც პირებს განასხვავებს (I პირი: კვულუნ! „ვითამაშოთ“; II პირი: კვულუნ! „ითამაშე(თ)“; III პირი: კვულუნა! „ითამაშოს“, „ითამაშონ“), მაშინ როცა ალულურში მორფოლოგიურად ბრძანებითის მხოლოდ ორი ფორმაა გარჩეული (II და III პირი).

თხრობით კილოში პირები ნაცვალსახელებითაა გარჩეული. გარდაუვალი ზმნა (სუბიექტი სახელობითშია):

|     |         |      |            |
|-----|---------|------|------------|
| ზუნ | ქენა    | „მე  | წავედი“    |
| ჟუნ | ქენა    | „შენ | წახვედი“   |
| ამ  | ქენა... | „ის  | წავიდა“... |

გარდამავალი ზმნა (სუბიექტი ერგატივშია):

|        |          |      |           |
|--------|----------|------|-----------|
| ზა     | ატანა    | „მე  | მოვქერი“  |
| (ჟუ)ნა | ატანა    | „შენ | ძოქერი“   |
| ადა    | ატანა... | „მან | მოკრა“... |

ანალოგიური ვითარებაა ალულურში.

რაც შეეხება ტაბასარანულს, აქ სხვა სურათია. ტაბასარანული ზმნა ახერხებს პირების გარჩევას: I და II პირი მორფოლო-

<sup>24</sup> ცალკე საკითხია ამ ფორმანტა ურთიერთობის საკითხი.

<sup>25</sup> ამას მოწმობს პირის ნიშნების სუფიქსური წარმოება და მათი ხელშესახები კავშირი პირის ნაცვალსახელებთან (ბაცბური, უდური, ტაბასარანული...).

გიურადაა გაფორმებული, ხოლო III პირი ფორმანტის გარეშეა წარმოდგენილი:

აპურა-ზა „მე ვაკეთებ“

აპურა-შა „შენ აკეთებ“

აპურა „ის აკეთებს“<sup>26</sup>...

ფუძის მხრივ ლეზგიური ზმნა თავისი ბუნებით ნეიტრალურია — ერთი და იგივე ზნა შეიძლება იყოს გარდამავალიცა და გარდაუვალიც, რაც კონტექსტით ირკვევა. ამასთანავე, სუბიექტი გარდამავალ ზმნასთან ყველა დროში ერგატივში დგას (პირდაპირი ობიექტი კი სახელობითში), ხოლო გარდაუვალ ზმნასთან — სახელობითში. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

ყინ „მოკვლა“, „მოკვდომა“

ხალყდრ (ერგ.) დაცრან ჯურტ ფთაჩჩაპ ჩაზ კანდაჩ ლაპანა, ფთაჩჩაპ (სახელ.) ყუნა — ხალხმა, ხარისმაგვარი მეფე ჩვენ არ გვინდა, თქვა რა, მეფე მოკლა.

მაგრამ ფთაჩჩაპ ყუნა — მეფე მოკვდა.

(რუ) ხუნ „დაბადება“ (ბადებს, იბადება)

ტეჩრტ (ერგ.) ქქაქქა (სახელ.) ხანა — ქათამაკვერცხი დადო (= დაბადა).

მაგრამ ააალ ხანა — ბავშვი დაიბადა.

ასევე, ჩურუნ „შეწვა“ (შეწვავს, შეიწვება)

ხუნ „გატეხა“, „გატყდომა“ და სხვ.

ამ (და მსგავს ზმნებში) დაცულია პირველადი სურათი. ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში, როგორც ცნობილია, ამგვარი კონსტრუქცია ივარაუდება ამოსავლად. ყველა ის გადახრა, რომელიც სხვადასხვა ენაში გვაქვს, მეორეულია და შემდეგი ფორმაციისაა.

თანამედროვე ლეზგიურში ზმნის ფუძის ნეიტრალობა დარღვეულია. ზოგი ზმნა მხოლოდ გარდამავალი შინაარსით იხმარება, ზოგი კი გარდაუვალთ. რიგ შემთხვევაში სხვაობა მნიშვნელობაში მორფოლოგიური საშუალებებითაა შეტანილი.

ზმნის გარდამავლობასთან მჭიდრო კავშირშია კაუზატივის კატეგორია. ამ შემთხვევაში ლაპარაკია კაუზატივზე არა როგორც კონტაქტზე, არამედ კაუზატივზე, როგორც ფუძის ნააქტიურებელ საშუალებაზე, როდესაც გარდაუვალ ზმნა კაუზატივის -რ სუფიქსის დართვით აქტიური ხდება, გარდამავლად იქცევა.

<sup>26</sup> Л. Жирков, Табасарванский язык, М.—Л., 1948, გვ. 126.

-რ ბოლოსართი გამოყენებულია იმ შემთხვევაში, როდესაც ნეიტრალურმა ზმნამ გარდამავლობის გაგება დაკარგა და მხოლოდ გარდაუვალი მნიშვნელობა შეინახა.

ყ ე ჟ რ ნ „დასველება“ (სველდება), მაგრამ, ყ ე ჟ რ-რ-უნ „დასველება“ (ასველებს).

ა წ უ ნ „ავსება“ (ივსება), მაგრამ ა წ უ-რ-უნ „ავსება“ (ავსებს).

კ უ რ უ ნ „სიცილი“ (იციინის), მაგრამ კ უ რ უ-რ-უნ „სიცილი“ (აციინებს)...

რამდენივე შემთხვევაში ნეიტრალურ ზმნას დართული -რ ფორმანტი ხაზს უსვამს ზმნის გარდამავალ შინაარსს:

ყ უ რ უ ნ „გახმობა“ (ხმება, ახმობს), მაგრამ ყ უ რ უ-რ-უნ მხოლოდ გარდამავალი მნიშვნელობით იხმარება (ახმობს).

კ ჯ ა ლ უ ნ „ჩვენება“ (აჩვენებს, ჩანს), მაგრამ კ ჯ ა ლ უ-რ-უნ „ჩვენება“ (აჩვენებს) და სხვ.

ზმნის ნეიტრალური ბუნება მიმღეობებშიც მქლავნდება. მაგალითად, მიმღეობას ხ ა ღ რ (ზმნისაგან ხ უ ნ „დაბადება“) ორი მნიშვნელობა აქვს: 1. შობილი, ე. ი. რაც (ვინც) დაიბადა, იშვა და 2. მშობელი, დედის მნიშვნელობით (ახტი).

ზმნის გარდამავლობა-გარდაუვალობას ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით კაუზატივის კატეგორიასთან დაკავშირებით. ამჟამად შევნიშნავთ მხოლოდ, რომ, რამდენადაც ზმნის ფუძე ნეიტრალურია, იმდენად სავსებით გასაგებია, რომ ლეზგიური ზმნა გვარებს ვერ არჩევს.

ერგატიული და ნომინატიური კონსტრუქციების გარდა ზმნას სხვა კონსტრუქციებიც მოეპოვება, უწინარეს ყოვლისა — დატიური. დატიური კონსტრუქცია გვაქვს რამდენიმე ზმნასთან, რომელნიც რეალურ სუბიექტს მიცემით ბრუნვაში მოითხოვენ. ეს ზმნებია *verba sentiendi*: ქ ი კ ე ხ უ ნ „შეშინება“, ა ქ ე უ ნ „ხედვა“, კ ა ნ ხ უ ნ „სიყვარული“, ნ დ ო მ ა „მეყრბ ხ უ ნ „შეცივება“, გ ი შ რ ნ ხ უ ნ „მიმშილი“ და სხვ. რამდენიმე მაგალითი:

ა ღ ლ აზ (მიც.) ა ქ ე უ ნ ა ჰ ა ჰ ე უ რ ა ს ფ ფ უ ლ ნ ა წ ე ჯ ჯ ე კ ნ ა ჟ ა — მან ნახა იმ ორმოში სამი ლერწავი ამოსული.

ფ ფ ა რ ი ა ჰ ა ჰ ჯ დ ი ზ (მიც.) დ ე რ ლ ე ქ რ ე ყ რ ი ზ კ ა ნ ხ ა ნ ა — მეუფეს დალაქის მოკვლა მოუნდა.

ანდაზ ფფარა კქეშინ ხანტაჲ — მას ძალიან მოშივდა (ახტი) <sup>27</sup>. რამდენიმე ზმნასთან ლოკატიური კონსტრუქციაც დასტურდება:

ზაჲ ბალკან აჲ — მე ცხენი მყავს ( || ზაზ ფფალქქან აჲ (ახტი) || ზაზ ბალკან აჲ, სალიტ.).

ზაგ ქ(ი)თთაბ გაყუნა — მე წიგნი ვნახე (ახტი) <sup>28</sup>.

ფორმათა წარმოების თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ზმნის რამდენიმე ფორმა, სახელდობრ: მასდარი, აბსოლუტივი, ნამყო ძირითადის ორი ფორმა და ბრძანებითი. პირველი ოთხი (ბრძანებითის გავრცელებით) საფუძველია ლეზგიური ზმნის ფორმაგვარებისათვის და ამასთანავე ხასიათდება წარმოების ნაირსახეობით და არა რეგულარობით. ამდენად, თითოეული ზმნისათვის მათი წინასწარი ცოდნაა საჭირო. ზმნის სხვა ფორმებისათვის საყრდენად ეს ოთხი ფორმა გამოიყენება. მაშასადამე, სავსებით გამართლებული იქნება, თუ დროის ფორმათა განხილვას მათი ანალიზით დავიწყებთ.

### მ ა ს ღ ა რ ი

ლეზგიური ენის ზმნას, ისევე როგორც ტაბასარანულ და აღლულურ ენათა ზმნებს, მოეპოვნება მასდარი. მასდარს პ. უსლარი უწოდებს неопределенное, გამოჰყოფს რა მათ აბსოლუტივისაგან (неопределенное). თავსებით სანართლიანად შენიშნავს ლ. ჟირკოვი, რომ ლეზგიური ზმნის განუაზღვრელი ფორმა (неопределенное предложение) ფუნქციურად არ შეესაბამება სხვა ენათა, კერძოდ, ხუნძური და დარგუული ენების неопределенное ფორმებს. უკანასკნელს იგი უთანაბრებს ლეზგიურ აბსოლუტივს <sup>29</sup>.

მასდარის მორფოლოგიური გამოწატეულია ლეზგიურში ძირითადად -უნ სუფიქსი. იგი მოედის ზმნათა დიდ ჯგერავლესობას.

<sup>27</sup> სინტაქსურ კონსტრუქციათა ურთიერთმიმართების შესახებ იხ. გამოკვლევა: არნ. ჩიქობავა. ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბ., 1948, გვ. 1—6 და სხვ. აგრეთვე, მისივე, ერგატიული, კონსტრუქციის პრობლემისათვის კავკასიურ ენებში: ამ კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები (წინასწარი მოხსენება), ენიმკ-ის მოამბე, ტ. XII, თბილისი, 1942.

<sup>28</sup> დავჯიღლებით ზმნათა კონსტრუქციების შესახებ იხ. М. Гаджиев, Синтаксис лезгинского языка. Часть I. Простое предложение, Махачкала, 1954, გვ. 79—116.

<sup>29</sup> Л. Чирков, Грамматика лезгинского языка, Махачкала, 1941, გვ. 70—71.

|             |                     |
|-------------|---------------------|
| რაგეტურ -უნ | „გაგზანა“           |
| ალკ-უნ      | „მიწებება“          |
| ცც-უნ       | „დათესვა“           |
| რაბ-უნ      | „ლაპარაკი“ და ა. შ. |

ახტის დიალექტში -უნ დაბოლოების ხმოვანი უ შეიძლება. დავიწროვდეს და მოკლე უ-დ იქცეს. უფრო ხშირად კი იგი ისმის როგორც ირაციონალური ხმოვანი ჯ (უ → უ → ჯ) <sup>20</sup>.

გგ-უნ „გადაცემა“  
ჩჩარჩ-უნ „შეწვა“

სამეცნიერო ლიტერატურაში საერთოდ გაზიარებულია მოსაზრება, რომ -უნ ელემენტი ნაშთია მეშველი ზმნისა აჭუნ „კეთება“, „ქმნა“. ასეთი ვარაუდისათვის, ერთი შეხედვით, საფუძველს იძლევა რამდენიმე ენობრივი ფაქტი. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი მოსაზრების გაზიარება არ იქნებოდა მართებული, რამდენადაც აჭუნ მეშველი ზმნის -უნ დაბოლოება და მასდარის -უნ სუფიქსი ერთი და იგივეა და მათ საერთო გენეზისი უნდა მოეპოვებოდეთ. ამდენად, ეს უკანასკნელი პირველის ნაშთად ვერ მიიჩნევა (ამის თაობაზე დაწვრილებით გვექნება მსჯელობა მეშველ ზმნათა ანალიზის დროს).

მასდარის მეორე დაბოლოებაა -ჟნ, ფონეტიკური ვარიანტი -უნ სუფიქსისა. იგი შედარებით ახალი მონაცემია <sup>21</sup> და არც-თუ ისე ხშირად გვხვდება:

ჭჭრ-ჟნ „სიცილი“ (იციინის)

გ-ჟნ „თიბვა“

ჩიგ ზმნათა მასდარის ფორმანტად გამოდის -ინ:

ძ-ინ „წასვლა“

ეკ-ინ „მარგვლა“

ჩ(ი)ხ-ინ „ბანა“ (იბანს—ახტი)

ამგვარად, დასტურდება მასდარის სამი დაბოლოება: -უნ, -ჟნ, -ინ. თანხმონითი ნაწილი ერთი და იგივეა, ამდენად იგი საერთო ოდენობაა სამივე ფორმანტში; განსხვავებაა ხმოვნებში, მაგრამ ეს სხვაობა მეორეულია. უ და უ ზმოვნების ურთიერთობა ექვს არ იწვევს. რაც შეეხება ი-ს, იგი უნდა მომდინარეობდეს ისევე უ ხმოვნისაგან. უ და ი ხმოვანთა მონაცვლეობა სხვა შემთხვევა-

<sup>20</sup> ყველგან პირობითად ვწერთ უ-ს.

<sup>21</sup> -უნ ფორმანტის დამკვიდრება უნდა მიეწეროს აზერბაიჯანულ ენას, რომლის გავლენითაც ლეზგიურში უ ფონემა გაჩნდა.

შიც გვაქვს, სასელდობრ: ფუძისეული უ-ს ნაცვლად რამდენიმე ზმნის ნამყო ძირითადში გვხვდება **ჟ**, მაგალითად: **ღ უ ჯ უ ნ** „მორწყვა“, მაგრამ **ღ (ი) გ ა ნ ა** „მორწყა“; **ჯ უ ლ უ ნ** „პოვნა“, „ნახვა“, მაგრამ **ჯ (ი) ღ ა ნ ა** „იპოვა“ და სხვ.

ამგვარად, მასდარის პირველადი და ძირითადი მაწარმოებელია -უნ.

კიურიულ (resp. სალიტერატურო ლეზგიურში) ზმნას მასდარში შესაძლებელია ორმაგი დაბოლოება ჰქონდეს, განმეორდეს -უნ:

ჯ(უ)ყ-უნ-უნ || ჯ(უ)ყ-უნ „ტირილის შეწყვეტა“, „დამშვიდება“  
 ჯ(ი)თყ-ინ-უნ || ჯ(ი)თყ-ინ „გასკდომა“  
 ტ(უ)შ-უნ-უნ<sup>22</sup> || ტუშ-უნ „მოხელა“, „მორევა“

ახტის დიალექტი ასეთ ორმაგ წარმოებას არ იცნობს.

რამდენიმე ზმნის მასდარში განმეორებულია ძირის თანხმოვანი:

ძინ || ძინრძ „წასვლა“  
 ხუნ || ხუნრხ „ყოფნა“  
 ყინ || ყინრყ „მოკვლა“, „მოკვდომა“  
 ღუნ || ღუნღ „მოტანა“ (ახტი)  
 გუნ || გუნგ „მიცემა“ (ახტი)<sup>23</sup>

ყველა მასდარი ბრუნებისას ერთ საერთო ყალიბს მისდევს:

სახ. ეჯჯუნ „სიარული“ ამჟყუნ „დარჩენა“  
 ერგ. ეჯჯუნ-ი ამჟყუნ-ი  
 ნათ. ეჯჯუნ-ი-ნ ამჟყუნ-ი-ნ  
 მიც. ეჯჯუნ-ი-ზ... ამჟყუნ-ი-ზ...

ამ წესმა გამონაკლისი არ იცის.

## აბსოლუტივი

აბსოლუტივი ლეზგიურში ერთ-ერთი დასაყრდენი ფუძეა ზმნის რამდენიმე ფორმის საწარმოებლად. ფუძის მხრივ იგი უპირისპირდება ნამყო ძირითადს. ეს დაპირისპირება ნაჩვენებია ქვემოთ ნამყო ძირითადის ფუძის ანალიზისას.

<sup>22</sup> ამ ზმნების ფორმათა წარმოებისას ფუძედ გაგებულია პირველადი მასდარი. მაგ., ტ უ შ უ ნ-უნ მასდარის მიხედვით გვაქვს: აბსოლუტივი — ტუშ-უნ-იზ || ტუშ-უნ-ზ, მყოფადი — ტუშ-უნ-და, ნამყო ძირითადი I — ტუშ-უნ-ნა...

<sup>23</sup> ორი უკანასკნელი მაგალითი ამოღებულია რ. ჰ ა ი დ ა რ ო ვ ი ს შრომის ავტორგეფრატიდან: Ахтынский диалект лезгианского языка. Автореферат канд. диссертации, Махачкала, 1955, გვ. 15.



აბსოლუტივის მაწარმოებელი ფორმანტია ზ, რომელსაც ჩვე-  
ულებრივ წინ რომელიმე ხმოვანი უძღვის, ამიტომ აბსოლუტივის  
სუფიქსამა შეიძლება მრავალგვარი სახე მიიღოს: -უზ, -ჟუ, -აზ, -იზ,  
-ეზ; ასევე -აზ (მაგრამ ფუფისეული უ → ი), -ანზ, -ენზ; შეიძლება  
ამავე დროს თავი იჩინოს ლაბიალურმა ელემენტმა (თანხმოვნებთან:  
გ, ქ, კ, ჯ, ჯ, ყ, ხ<sup>34</sup>) და გვექნება -ჭაზ, -ჭანზ, -ჭეზ, -ჭენზ. რაიმე  
წესის დადგენა ამ ფორმანტთა გამოყენებაში ჯერჯერობით ვერ ხერ-  
ხდება. ამის გამო სრული უღვლილებისათვის თითოეული ზმნის  
აბაოლუტივის ფორმის წინასწარი ცოდნაა საჭირო.

მიუხედავად ამისა, ერთი ზოგადი კანონზომიერების დადგენა  
მაინც შეიძლება: -უზ, -აზ, -იზ დაბოლოებანი აბსოლუტივს აქვს  
მაშინ, როდესაც მასდარის სუფიქსიაა -უნ, ხოლო -ჟუ, -ეზ ან -იზ  
ფორმანტები მაშინაა, როცა მასდარაა -უნ (ასევე -ინ) სუფიქსი  
ააასიათებს<sup>35</sup>. თითოეულ სუფიქსზე პ. უსლარს საკმაოდ აქვს  
მოყვანილი სათანადო მაგალითები, ამიტომ აქ სულ რამდენიმეთი  
დავკმაყოფილებით:

|      | მასდარი | აბსოლუტივი         |
|------|---------|--------------------|
| -უზ: | ყაწ-უნ  | „დასვრა“ (ისვრება) |
|      | ლუჰ-უნ  | „თქმა“             |
| -აზ: | გათ-უნ  | „ცემა“             |
|      | ყ-უნ    | „პერა“ (უქირავს)   |
| -იზ: | ღ-უნ    | „მოტანა“           |
|      | გალკ-უნ | „მოდება“ (ედება)   |
| -ეზ: | ეკ-ინ   | „მარგულა“          |
|      |         | ეკ-ეზ და ა. შ.     |

აბსოლუტივის ფორმას სამეცნიერო ლიტერატურაში სხვა-  
დასხვა სახელწოდება აქვს: პ. უსლარი (აგრეთვე ლ. ჟირკოვი)  
მას უწოდებს *депримацие*-ს, ხოლო რ. ჰაიდაროვი — *иллация*  
*чара*-ს<sup>37</sup>. ორივე შემთხვევაში ტერმინს საფუძვლად უდევს ამ  
ფორმის ცალკეული ფუნქცია.

აბსოლუტივი ლეზგიურში ორი ძირითადი ფუნქციით იხმა-  
რება:

<sup>34</sup> И. У с л а р, დასახ. შრ., გვ. 208.

<sup>35</sup> იქვე.

<sup>36</sup> ყ ა წ - უ ნ და მისთანა ზმნების აბსოლუტივში მეორდება უ ხმოვანი, მაგ-  
რამ იგი ფუფისეული არაა (შღა, ნამყო ძირითადი I — ყაწ-ანა). ეს დამთხვევა  
ხმოვნებისა შემთხვევითია.

<sup>37</sup> P. I' a n d a r o v, დასახ. შრომა, გვ. 16.

ა) გამოხატავს მიზანს, იმას, რისთვისაც ხდება მოქმედება. იგი ითარგმნება რუსული ინფინიტივით:

ზუნ ქ(ი)თთაბ ქვაჩუზ ჩიზუა — მე მივდივარ წიგნის საყიდლად (შდრ. ძვ. ქართული: ყიდვად).

ბ) გადმოსცემს რუსული აწმყოს აბსოლუტივს:

ააღლი ძუ ქვაჩუზ ნეზუა — ბავშვი პურს იღებს რა, ჰამს (беря ест).

ხშირად ამ მეორე ფუნქციით გამოყენებულა ე. წ. ორმაგი აბსოლუტივი. ასეთ შემთხვევაში აბსოლუტივის ფორმა მთლიანადაა რედუპლიცირებული, ფუძის განმეორება ხაზს უსვამს მის მეორე ფუნქციას. ამგვარი აბსოლუტივი მხოლოდ ასეთ ვითარებაშია გამოყენებული და დამოუკიდებლად არ არსებობს.

ნებირბან ბალაბა აა'ლიზ-აა'ლიზ ხუარუზ ხთთანა — მწყემსი სალამურზე დაკვრით სოფელში დაბრუნდა (ე. ი. დაკვრით დაბრუნდა და არა დასაკრავად).

მაღლ ყუწი იაჩზ-იაჩზ კუალრზ ხთთანა უა ქვათქანა — მოლა კოკლობით შინ დაბრუნდა და დაწვა.

ზოგ შემთხვევაში წინადადებაში შეიძლება გამოყენებული იქნეს ნხოლოდ აბსოლუტივის ფორმა, განსაკუთრებით ანდაზებში, ლექსებში. ორიოდე მაგალითი:

ტურუნი ნეზ, თთუმუნი ტილ აქქუდიზ — კოვზით ჰამს, ტარით თვალს უღებს (ანდაზა).

ეფუტნი ააღზუაზ, დანა ტაკუაზ — თოკი წყალს სვამა, ხოსივდება (გამოცანა, ახტი).

გენეტურად აბსოლუტივის ზ იგივე ოდენობაა, რაც მიცემითის ბრუნვია ნიშანი -ზ (შდრ. აბსოლუტ. აქქუდი-იზ და მიცემითი ბრ. თთარცტრ-ზ „ხეს“). აღსანიშნავია, რომ იგივე ზ ფორმანტი აწარმოებს ვითარებათ ზმნისართებს ზედსართავი სახელებისგან: აექქუდილი, აექქუ-ზ „დიდად“; ჰსან „კარგი“, ჰსან-ზ „კარგად“ და ა. შ. ამგვარად. მიცემითის, აბსოლუტივისა და ვითარებითი ზმნისზედების ფორმებში დადასტურებული ზ ელემენტი საერთო მონაცემია. ისტორიულად და ფუნქციურადაც ასეთი კავშირი საესებით მოსალოდნელია.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე ის ფაქტი, რომ აღულურსა და ტაბასარანულ ენებში სავეებით ანალოგიური სურათია აბსოლუტივისა და მიცემითის ფორმანტთა ურთიერთობისა და წარმოების მხრივ. აღულურში მიცემითი ბრუნვის ნიშანია -ს, იგივე -ზ გვაქვს აბსოლუტივიშიც, ხოლო ტაბასარანულში მატერიალურადაც

სრული შეხვედრაა ლეზბიურთან: აქაც ორივე შემთხვევაში დამკვიდრებულია -ზ. ლეზბიური და ტაბასარანული ზ და აღულური ს ერთი წარმოშობისა ჩანს. პირველადი უნდა იყოს ს.

### ნამყო ძირითადი

ლეზბიური ზმნის უღვლილების სისტემაში აბსოლუტივის ფუძეს უპირისპირდება ნამყო ძირითადის ფუძე. ამ უკანასკნელის ფორმა მეორე საწარმოებელი ფუძეა- იგი საფუძვლად უდევს ზმნის რამდენიმე ფორმას. ორივე ფუძეს თავ-თავისი შესაბამისი დროის ფორმები მოეპოვება.

მაგრამ მთელ რიგ ზმნებთან დაპირისპირება ნამყო ძირითადისა და აბსოლუტივის ფუძეებს შორის ხელშესახები არაა და არ ხერხდება იმის გარკვევა, თუ რა განსხვავებაა ამ ორ ფუძეს შორის. ასე, მაგალითად, ფუძეთა შორის განსხვავება არაა მკაფიოდ გამოკვეთილი იმ ზმნებთან, რომელთაც აბსოლუტივში მახასიათებლად მოუდით -იზ ფორმანტი, რომელიც ნამყო ძირითადის წარმოებისას მთლიანად იკვეცება და ფუძეს ემატება -ნა ელემენტი (წინამავალი ხმოვნის გარეშე<sup>28</sup>):

| აბსოლუტივი | ნამყო ძირითადი |            |
|------------|----------------|------------|
| აჭჭაე-იზ   | აჭჭაე-ნა       | „გაწია“    |
| ეცტრგ-იზ   | ეცტრგ-ნა       | „დადო“     |
| გაღარ-იზ   | გაღარ-ნა       | „გაჯდაადო“ |

აბსოლუტივის -აზ ნიშნიან ზმნასთან კი ნამყო ძირითადში -ნა სუფიქსის წინ რჩება აბსოლუტივისეული ფორმანტის ა ხმოვანიო, იფიქრებდა კაცი, მაგრამ უფრო სწორი იქნება, თუ ვივარაუდებთ, რომ ზმნებში მთლიანად მოკვეცილია -აზ და შემდეგ ფუძეს დამატა ნამყო ძირითადის -ანა.

| აბსოლუტივი                  | ნამყო ძირითადი |                   |
|-----------------------------|----------------|-------------------|
| ცც-აზ                       | ცც-ანა         | „დათესა“          |
| ხრ-აზ                       | ხრ-ანა         | „მოქსოვა“         |
| ჭუყუ-აზ                     | ჭუყუ-ანა       | „ტირილი შეწყვიტა“ |
| იგივე ითქმის ე ხმოვანზედაც: |                |                   |
| ჭურ-აზ                      | ჭურ-ანა        | „გაიციანა“        |

<sup>28</sup> გამონაკლისი აქაც შეიძლება შეგვხვდეს: აბსოლუტივშია ძ-იზ „მიდის რა“, მაგრამ ნამყო ძირითადშია ძ-ენა „წავიდა“; ლ-იზ „მოაქვს რა“, მაგრამ ლ-ანა „მოიტანა“.

მიუხედავად აბსოლუტივისა და ნამყო ძირითადის ფუძეთა ასეთი გაუდიფერენცირებლობისა, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ფუძეები ისტორიულად განსხვავებულა. განსხვავება შეაქვს ხმოვნებს. ესაა, ერთის მხრივ, ნამყო ძირითადის ფორმანტის წინამავალი ხმოვანი, ხოლო მეორე მხრივ, აბსოლუტივისეული ხმოვანი:

| აბსოლუტივი | ნამყო ძირითადი                      |
|------------|-------------------------------------|
| ყ-აზ       | ყ-ჟნა „დაიქირა“                     |
| აქქჟ-ზ     | აქქ-ჟნა „დაინახა“                   |
| ატ-ჟზ      | ატ-ჟნა „მოკრა“                      |
| გ-ჟზ       | გ-ჟნა „მისცა“                       |
| კ(უ)ცც-ჟზ  | კ(უ)ცც-ჟნა „დადგა“ (გარდაუვ., ახტი) |

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევენ ის ზმნები, რომელნიც უღვლილებისას ფუძეს იცვლიან და ეს მონაცვლეობა სწორედ აბსოლუტივში ხდება:

|       |          |       |        |                        |
|-------|----------|-------|--------|------------------------|
| ხ-უნ  | „ყოფნა“  | ჟეზ   | ხ-ჟნა  | „იყო“                  |
| ტჟნ   | „კამა“   | ნეზ   | ტჟნა   | „შეკამა“               |
| ათთჟნ | „მოსვლა“ | ჯჯჟჟზ | ათთჟნა | „მოვიდა“ <sup>30</sup> |

ფუძეთა ამგვარი მონაცვლეობა დასტურდება იმ ზმნებთანაც, რომელნიც თავისი ფორმებით მორფოლოგიურ სიძველეს გვიჩვენებენ:

|                      |          |                      |       |           |
|----------------------|----------|----------------------|-------|-----------|
| ყინ (   რეყინ, ახტი) | „მოკვლა“ | რეყინ <sup>30</sup>  | ყენა  | „მოკლა“   |
| კჟჟნ „გაცივება“      |          | რეკჟჟზ <sup>31</sup> | კჟჟნა | „გაცივდა“ |

აბსოლუტივისა და ნამყო ძირითადის ფუძეთა განსხვავების საბუთად ისიც გამოდგება, რომ თითოეულ ფუძეს უკავშირდება გარკვეული დროები, რომელნიც წარმოების მიხედვით მკვეთრად ემიჯნებიან ერთმანეთს: აბსოლუტივის ფუძეს ემყარება აწმყო და მყოფადი, ე. ი. ის დროები, რომელნიც წარმოშობის თვალსაზრი-

<sup>30</sup> შთაბეჭდილება ისეთი იქნება, თითქმის ნამყო ძირითადის ფორმები მასდარს ემყარება, მაგონა აქ არსებითად ორ დამოუკიდებელ ფუძესთან გვაქვს საქმე — მასდარსა და ნამყო ძირითადს ი ერთი ფუძე შემოგვრჩა, აბსოლუტივში კი მეორე.

<sup>30</sup> აბსოლუტივში თავს იჩენს კლასის ნიშანი (რე-), რომელიც სალიტერატურო ლეზგიურის მასდარში არ ჩანს, ხოლო ახტის დიალექტში მასდარიც კლასის ნიშნითაა წარმოდგენილი.

<sup>31</sup> აქ სიძველეს აბსოლუტივი გვიჩვენებს. აქაც რე- გრამატიკული კლასის ექსპონენტია.

სით ახალი ფორმაციისა არიან, ნამყო ძირითადთან შედარებით. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი ქვემოთ.

არსებობს ნამყო ძირითადის სამი ფორმა, რომელთაც თავ-თავისი დაბოლოებები აქვთ. ეს დაბოლოებებია: -ნა, -რა, -აჰა.

|             |                      |                               |
|-------------|----------------------|-------------------------------|
| -ნა: დაკ-უნ | „გასივება“           | დაკ-უ-ნა (გასივდა)            |
| აქქ-უნ      | „ხედვა“              | აქქ-უ-ნა (დაინახა)            |
| -რა: ტუშ-უნ | „მოხელვა“            | ტუშ-უ-რა (მოხილა)             |
| ყ-უნ        | „კერა“               | ყ-უ-რა (დაიკირა)              |
| -აჰა: აწ-უნ | „ავსება“             | აწ-აჰა (ავისო)                |
| გალჩუქ-უნ   | „მოხვევა“, „გახვევა“ | გალჩუქ-აჰა. (მოიხვია, გახვია) |

ეს ფორმები ყველა ერთნაირად არ იხმარება. ყველაზე გავრცელებულია -ნა ფორმანტი, რომელიც მოუღის ყველა ზმნას უკლებლივ. რაც შეეხება -რა და -აჰა სუფიქსებს, ამ ორი მაწარმოებლიდან ზმნას -ნა-ს პარალელურად ერთ-ერთი ემატება. ამგვარად, ზმნათა ორი ჯგუფი იქმნება: ერთი ჯგუფი აერთიანებს იმ ზმნებს, რომელნიც ნამყო ძირითადს ნა- || -რა სუფიქსებით აწარმოებენ, ხოლო მეორე ჯგუფში შედის ზმნები ნა- || -აჰა დაბოლოებებით.

სამეცნიერო ლიტერატურაში -ნა-თი წარმოებულ ნამყო ძირითადს უწოდებენ ნამყო ძირითად I-ს, ხოლო -რა || -აჰა ელემენტებით ნაწარმოებს — ნამყო ძირითად II-ს<sup>42</sup>.

ხშირად -ნა || -რა მაწარმოებლები<sup>43</sup> წინამავალი ხმოვითაა წარმოდგენილი. ასეთ შემთხვევაში გამოყენებულია ყველა ხმოვანი, რომელიც კი ლეზგიურს მოეპოვება: -ა-ნა, -უ-ნა, -ჟ-ნა, -ე-ნა, -ი-ნა; ასტის დიალექტში შეიძლება შეგვეხვდეს -ჟ-ნა → -ჯ-ნა ვარიანტებით.

კანონზომიერების დადგენა, თუ რა ხმოვანი უძღვის -ნა სუფიქსს ამა თუ იმ ზმნაში, არ ხერხდება, რადგან მრავალფეროვნებასთან გვაქვს საქმე. ამოსავალი ვითარება გაურკვეველია. ჟირკოვს მოყვანილი აქვს ნამყო ძირითადი I-ის დაბოლოებათა ცხრილი მასდარის დაბოლოებებთან შეპირისპირებით. იგი შვიდ ტიპს გამოყოფს:

<sup>42</sup> ამგვარი დაყოფა პ. უსლარიდან მოდის. კლასიფიკაცია პირობითია და არავითარ შინაარსობრივ სხვაობაზე არ მიუთითებს. იხმარება აღწერის სიმარტივისათვის.

<sup>43</sup> ეს უფრო ეხება -ნა სუფიქსს.

|      |       |     |                   |                     |
|------|-------|-----|-------------------|---------------------|
| I.   | ფუძე: | -უნ | ნამყო ძირითადი I: | -უნა                |
| II.  | "     | -უნ | "                 | -ანა                |
| III. | "     | -ჸნ | "                 | -ჸნა                |
| IV.  | "     | -ჸნ | "                 | -ენა                |
| V    | "     | -ინ | "                 | -ინა                |
| VI.  | "     | -ინ | "                 | -ენა                |
| VII. | მალუნ | "   | "                 | -მანა <sup>45</sup> |

VII ტიპი არსებითად განოსაყოფი არაა, რადგან იგი ნეორე ტიპს ეკედლება, ოღონდ ადგილი აქვს ფონეტიკური ცვლილებას, რომელიც რამდენიმე ზმნასთან გვაქვს — იკარგება ფუძის ბოლოკიდური ლ თანხმოვანი<sup>45</sup>.

ასევე არავითარი გამართლება არა აქვს II ტიპის განოყოფას I-საგან, IV-ისას — III-საგან, ისევე, როგორც VI-ისას — V-საგან, რადგან თითოეულ წყვილში განსხვავება მხოლოდ ნამყო ძირითადშია, მაშინ როცა მასდარი ერთნაირი აქვთ; ხოლო იმის გარკვევა, თუ როდის მოუღის ზმნას -უნა ან -ანა, -ჸნა ან -ენა -ინა ან -ენა მაინც არ ხერხდება. ამიტომ ლ. ჟირკოვის ცხრილის გაპარტიკებული სქემა შემდეგ სახეს მიიღებს:

|      |       |     |             |              |
|------|-------|-----|-------------|--------------|
| I.   | ფუძე: | -უნ | ნამყო d. I: | -უნა    -ანა |
| II.  | "     | -ჸნ | "           | -ჸნა    -ენა |
| III. | "     | -ინ | "           | -ენა    -ინა |

ამგვარად, მასდარის დაბოლოების მიხედვით გვექნება ზმნათა სამი ტიპი. ესაა ზოგადი წესები. სხვა უფრო კონკრეტული წესების დადგენა არსებული მასალებით ჯერ-ჯერობით არაა შესაძლებელი.

3. უსლარი ცალკე გამოყოფს იმ შემთხვევებს, როდესაც -ანა და -ენა დაბოლოებებს წინ უძღვის ზ თანხმოვანი (ჯ ა ყ ჸ ნ „ღეწვა“, ჯ ა ყ -ჸ-ანა; ხ ჸ ნ „შენახვა“ (содержать), ხ-ჸ-ჸნა<sup>46</sup>... ზ აქ ლაბიალიზაციით უნდა იყოს გაჩენილი. ასეთი ვარაუდის საშუალებას იძლევა ის პოზიცია, რომელშიც იგი თავს იჩენს<sup>47</sup>.

<sup>45</sup> Л. Жирков, Грамматика лезгинского языка, გვ. 72.

<sup>46</sup> იგივე ლ იკარგება აგრეთვე ბრძანებითის ფორმაში. იხ. У. Мейлашова, Типы образований повелительного наклонения глагола в лезгинском языке, გვ. 266.

<sup>47</sup> II. Услар, დასახ. შრ., გვ 203—204.

<sup>48</sup> იქვე, გვ. 204.

მაინც შეიძლება დაიბადოს ეკვი, ხომ არაა უ მეშველი ზმნის ა ტუ ნ-ის ნაშთი (სამეცნიერო ლიტერატურაში ხომ გამოთქმულია მოსახრება, რომ დროის ფორმანტები მომდინარეობენ ამ მეშველი ზმნისაგან, იხ. გვ. 77—79). მაგრამ ასეთი ვარაუდი გამორიცხულია: ჯერ ერთი, თვით ა ტუ ნ ზმნის ნამყო ძირითადის ფორმაა ა ტუ ნ ა, ხოლო -ტი-უნ ა დაბოლოება არსად არა გვაქვს. ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში დასტურდება მხოლოდ -ტი-ანა, -ტი-ენა ფორმანტები. ამის გარდა, უ ელემენტი თავს იჩენს ისეთ შემთხვევებშიც, რომელთაც ა ტუ ნ ფორმას არაერთარი კავშირი არა აქვს, ესაა აბსოლუტივი: ა ქ ქ უ ნ „ხედვა“, აბსოლ. ა ქ ქ ტუ ა ზ (მდრ. ნამყო ძირითადი | ა ქ ქ უ ნ ა).

მაშასადამე, უ ლაბიალობის ელემენტი.

რამდენიმე შემთხვევაში ნამყო ძირითადის დაბოლოებაა მხოლოდ -ნა წინამავალი ხმოვნის გარეშე (მასდარის დაბოლოებაა -უნ):

|           |           |           |
|-----------|-----------|-----------|
| კვარალ-უნ | „ადგომა“  | კვარალ-ნა |
| აყახ-უნ   | „ადრომა“  | აყახ-ნა   |
| ქილრგ-უნ  | „შეხედვა“ | ქილრგ-ნა  |

-ნა სუფიქსი მოუდის ყველა ზმნას, რომელსაც ფუძის ბოლოს რ თანხმოვანი აქვს. ამგვარი ზმნები უმთავრესად კაუზატიური არიან:

|            |                      |            |
|------------|----------------------|------------|
| კვალუ-რ-უნ | „ჩვენება“ (უჩვენებს) | კვალუ-რ-ნა |
| აწუ-ო-უნ   | „ავსება“ (ავსებს)    | აწუ-რ-ნა   |

ორი ნ იწერება იმ შემთხვევაში, თუ მასდარის დაბოლოება ორმაგი წარმოებისაა (კიურულ დიალექტში, resp. სალიტერატურო ლეზგიურში, იხ. მასდარი):

კვაზ-უნ-უნ „დახევა“ კვაზ-უნ-ნა

პ. უსლარს ჩამოთვლილი აქვს ოცამდე ზპნა, რომელთაც ნაქო ძირითადის დაბოლოებად მოუდის -ანა, მაგრამ ფუძისეული -უ- ხმოვანი შეცვლილია -ი-თ<sup>18</sup>.

|                         |         |
|-------------------------|---------|
| ჯულ უნ „ნახვა“, „პოვნა“ | ჯიდ-ანა |
| ქიუს უნ „ძილი“          | ქის-ანა |
| ხურ უნ „ქაოვა“          | ხირ-ანა |

უნდა შეინიშნოს, რომ ნამყო ფორმებში უ → ი ფონეტიკური პროცესია შედეგად (მახვილის გამო) ი მეტად სუსტად ისმის და გამოთქმაში თითქმის სრულადა იკარგვის: ჯლანა, ქსანა, ხრანა.

<sup>18</sup> II. Услар, დასახ. შრ., გვ. 203.

რაც შეეხება ნამყო ძირითადი II-ის მაწარმოებელ -რა-ს (წინამავალი ხნოვნით), იგი იმავე წესებს ექვემდებარება, რასაც ნამყო ძირითადი I, რა ხმოვანიცაა -ნა-ა წინ, იგივეა აქაც.

ხოლო -რა და -ააა ფორმანტთა მონაცვლეობის შესახებ ლ. ჟირკოვი მიუთითებს, რომ პირველი გვხვდება I, III, V და VII ტიპის ზმნებში, ხოლო II, IV და VI ტიპებში გამოყენებულია -ააა<sup>49</sup>, ე. ი -ააა მაწარმოებელი ახასიათებს მხოლოდ იმ ზმნებსო, რომელნიც ნამყო ძირითად I-ს აწარმოებენ -ანა, -ენა ფორმანტებით. ფორმანტთა ასეთი განაწილება სწორი ჩანს<sup>50</sup>. რამდენიმე მაგალითი:

| მასღარო           | ნამყო ძირითადი I | ნამყო ძ. II |
|-------------------|------------------|-------------|
| კვალუნ „ჩვენება“  | კვალ-ანა         | კვალ-ააა    |
| კურუნ „სიცილი“    | კურ-ენა          | კურ-ააა     |
| ატუნ „მოკრა“      | ატ-ანა           | ატ-ააა      |
| გუნ „მიცემა“      | გ-ანა            | გ-ააა       |
| უიპინ „გადაგდება“ | უეპ-ენა          | უეპ-ააა     |

მაგრამ:

|   |          |              |
|---|----------|--------------|
| ყუნ -ქერა“ (უპირავს)                                  | ყ-უ-ნა   | ყ უ-რა       |
| დაკუნ -გისივება“                                      | დაკ-უ-ნა | დაკ-უ რა     |
| დაეუმატებთ, რომ -ააა დაბოლოება მოუღის                 |          | იმ ზმნებსაც, |
| რომელთაც ნამყო ძირითად I-ის ფორმანტად -ნა მოეპოვებათ. |          |              |

ქილრგ-ნა „წებება“ ქილრგ-ააა  
გალბთ-ნა „დაილალა“ გალბთ-ააა

აქვე შევნიშნავთ, რომ თუ ნაწყო ძ. I-ის ფორმანტია -ენა, მაშინ -ააა დაბოლოების პირველი ა იკვეცება:

ქ-ენა „წავიდა“, ხოლო ქ-ე-ააა → ქ-ააა (აგრეთვე ზემოთ ნოყვანილი მაგალითებიდან — კურ-ა-ააა, უეპ-ა-ააა).

მაშასადამე, ნამყო ძირითადს სამი დაბოლოება მოეპოვება -ნა, -რა და -ააა. საკითხი ისმის, არსებობს თუ არა ამ სამ ფორმას შორის რაიმე ფუნქციური სხვაობა. რაიმე განსხვავების დადგენა მათ შორის ამჟამად ქირს. მცირეოდენი ნიუანსური სხვაობა მნიშვნელობაში მაინც შეინიშნება, იაიც მხოლოდ ნამყო ძირითადი I-ისა და II-ის ფორმებს შორის, ხოლო ნამყო ძირითადი II-ის ორივე ფორმა თანაბარი უფლებებით სარგებლობს და მსგავს შემთხვევებში იხმარება. აღსანიშნავია, რომ ნამყო ძი-

<sup>49</sup> Л. Жирков, Грамматика лезгинского языка, გვ. 73.

<sup>50</sup> გამონაკლისი არც აქაა გამოირიყბული: რ უგ-უ-ნა „მონარმა“ (-უ-ნა დაბოლოებით), მაგრამ ნამყო ძ. II რ უგ-ა-აა.



რითად II-ის ფორმები ძალზე იშვიათად გვხვდება თანამედროვე ლეზგიურ ენაში, შინაარსობრივად კი სხვაობა შემდეგნი მდგომარეობს: ნამყო ძირითადმა II-მ შეიძლება გადმოსცეს ისეთი ნოქმედება, რომელიც მთქმელისათვის მოულოდნელად მოხდა. ზოგჯერ კ. უსლარის მაგალითი, რომელსაც იყენებს ლ. ეირკოვი (მაგალითის განზოგადება ლ. ეირკოვის ეკუთვნის):

ამ ქსან ჰაქიმ თთუშ, ადა ჰიკ ატანი, იმ ქსან აჩურა — ის კარგი ექიმი არაა, [ნაგრამ] მან, როგორც არ უნდა იყოს, იგი მოარჩინა (ეს უკანასკნელი მოსალოდნელი არ იყო, რადგან იგი ცუდი ექიმი) <sup>51</sup>.

ზა ადაზ აქქუნი ლუჭუჭუ, ადაზ აქქურა-ხა — მე მას, ვერ დაგვინახავს [მეთქი], ვეუბნებოდი, მან აკი დაგვინახა <sup>52</sup>.

სხვა შემთხვევაში ინავე ფორმით გადმოიცემა ისეთი მოქმედება, რომელსაც შეიძლება გარკვეული შედეგი მოჰყვეს, თუ ეს მოქმედება არ შეწყდა. აქ ერთგვარი პირობითობა იჩენს თავს.

კყიმირ, ზე ლილ ხაჰა (ახტი) — ნუ მიქერ, ხელი მომტყდა (ნაგრამ ჯერ არ მომტეხია, შეიძლება კი, რომ მომტყდეს). ქართული თარგმანი ზუსტად გადმოსცემს ამ ფორმის მნიშვნელობის ნიუანსს.

ამგვარი სხვაობა მნიშვნელობაში მეორეული ზოგენაა. პ. უსლარის ტექსტებშიც გვხვდება მაგალითები, სადაც ეს ფორმები ჩვეულებრივი ნამყო ძირითადის მნიშვნელობით იხმარება. რაძდე-ნიმე მაგალითი პ. უსლარის შრომიდან:

ი სიკრჩიდაზ ლაჰაჰა — ამ მელამ მას უთხრა (გვ. 281).

ი ქასბდინი ყაბულ აჩუნა, რდან ხაქ ჩილაჰ აჯჯურა — ეს ქოსაც დაეთანხმა რა, მისი სოლი მიწიდან ამოიღო (გვ. 273).

ამგვარად, თანამედროვე ლეზგიურ ზმნას ამჟამად როგორცაა ორ-ორი ფორმა -ნა || -რა ან -ნა || -ჰა დაბოლოებებით. რა ვითარება იყო ამოსავალი ისტორიულად? ნამყო ძირითადის ფორმათა დიალექტობრივი შედარება საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ ერთსა და იმავე ზმნას სამივე ფორმა შეიძლებოდა ჰქონოდა, მაგალითად:

კიურიულ დიალექტში იხმარება ნამყო ძირითადი II-ის ფორმა ეცცრგ-რა „დადო“, ხოლო ახტის მეტყველებაში გვხვდება

<sup>51</sup> Л. Жирков, Грамматика лезгинского языка, გვ. 74.

<sup>52</sup> მაგალითი აულ ალკადარის (ალყუადარ) მეტყველებიდანაა.

ე ც რ გ - ა ჰ ა . ასევე კიურიულში ქ ტ შ ხ - რ ა „დაიკარგა“, ახტში — ქ ტ შ ხ - ა ჰ ა ; კიურ. ე ლ რ გ - რ ა „დაარტყა რითიმე“, ახტში ე ლ რ გ - ა ჰ ა და სხვ. მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ ცალკეულ ზმნას ნაძყო ძირითადის გადნოსაცემად სამივე ფორმა მოეპოვებოდა, მაგრამ ერთ დიალექტში ერთი გარჩა, მეორეში — მეორე. შემდეგ უკვე ამგვარ ორმაგ წარმოებას საფუძველი შეერყა გარკვეული პირობების გამო, რაზედაც ქვემოთ გვეჩვენება საუბარი. ასეთი ვარაუდის წამოყენების საშუალებას იძლევა მიმღეობათა წარმოებაც (ნაძყო ძირითადის საკითხს ჩვენ კიდევ დავეუბრუნდებით მიმღეობებთან 'დაკავშირებით).

დასასრულ, მიუთითებთ ნაძყო ძირითადი I-ის ერთ ფუნქციანზე, რომელიც განიხილატება შემდეგში: ზმნის ეს ფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ნაძყო ს აბსოლუტივი. თუ წინადადებაში ნაძყო ძირითადი I-ის ფორმით რანდენინე ზმნა გეხვდება, მაშინ ყველა ზმნა, გარდა უკანასკნელისა, იხნარება წარსულის აბსოლუტივის (деепричастие прошед.) შინაარსით, ზმნის უკანასკნელი ფორმა კი ჩვეულებრივ ნაძყოს გადმოსცემს.

ეს ფუნქცია ნაძყო ძირითადი I-ისა შენიშნული აქვს პ. უსლარს, თუმცა მასზე არსად არ ჩერდება. იგი რომ ცნობილია მისთვის, ჩანს ზმნის პარადიგმებიდან<sup>53</sup> და ტექსტების თარგმნისას. ორიოდ მაგალითი პ. უსლარისა:

ბ ბურუნი იმ თ უ კ უ ნ ა , ა ლ ა ჯ ნ ა , მ ა კ ა რ კ უ კ ტ შ რ ნ ა , ქ უ თ თ ე კ ნ ა ნ ა ზ , ჯ ა ნ ა ლ უ რ დ ი ს ი კ რ ე ზ ნ ი ს ე ტ რ ე ზ ლ ა ჰ ა ნ ა — მ ა თ ი გ ი დ ა - კ ლ ე ს რ ა , გ ა ა ტ ყ ა ვ ე ს რ ა , ხ ო რ ც ი დ ა კ რ ე ს რ ა , (და) რ ო გ ო რ ც კ ი დ ა ა მ თ ა ვ რ ე ს , მ გ ე ლ მ ა მ ე ლ ა ს ა და დ ა თ ე ს უ თ ხ რ ა <sup>54</sup>.

მ ა ლ ლ ა ნ ე ს რ ე ლ ი ნ ა კ ე ლ თ უ კ უ ნ ა , წ ა ჰ ა ლ უ ზ ნ ა , ხ უ რ ე ჯ ე ა ბ ზ ბ ა შ ლ ა მ ი შ ნ ა — მ ო ლ ა ნ ა ს რ ე ლ ი ნ მ ა ც ხ ვ ა რ ი დ ა კ ლ ა რ ა , ც ე ც ბ ლ ი დ ა ა ნ თ ო რ ა , ს ა კ მ ლ ი ს კ ე თ ე ბ ა დ ა ი წ ყ ო <sup>55</sup>.

სხვა მაგალითები:

ი ს ი რ ს ა ნ დ ა ზ ნ ი ლ უ ჰ უ დ ა რ ლ ა ჰ ა ნ ა , ყ ი ნ ყ უ ნ ა — ა მ ს ა ი დ უ მ - ლ ო ს ა რ ა ვ ი ს ა რ ვ ე ტ ყ ვ ი , თ ქ ვ ა რ ა , დ ა ი ფ ი ც ა .

კ ვ ა რ ა ბ ხ რ ზ გ ი კ ე ქ ხ ა ნ ა ზ ა დ ე ჟ ლ ე თ ა რ ჩ ი ლ ე ლ თ ე ნ ა , ჩ ე ბ ქ ქ ა თ ნ ა — ყ ა ჩ ა ლ ე ბ ს შ ე ე შ ი ნ დ ა თ რ ა და დ ო ვ ე ლ ა თ ი მ ი წ ა ზ ე დ ა ტ ო - ვ ე ს რ ა , თ ვ ი თ ო ნ გ ა ი კ ე ნ ე ნ (ახტი).

<sup>53</sup> П. Услар, დასახ. შრ., გვ. 200.

<sup>54</sup> П. Услар, გვ. 285 (ფორმათა თარგმანი ყველგან ჩვენია. პ. უსლარი ერგატის მოკმედებით თარგმნის).

<sup>55</sup> იქვე, გვ. 267.

ნამყო ძირითადი I-ის ეს ფუნქცია მის თავისებურებას წარმოადგენს. ნამყო ძირითადი II ამგვარ როლში არასოდეს არ გამოდის.

ნამყო ძირითადი I-ის ამ ფუნქციას იყენებს ლეზგიური ზმნის დროის ერთ-ერთი ფორმა — ნამყო 'შედევობითი'.

ამგვარად, განხილული იყო მასდარი, აბსოლუტივი და ნამყო ძირითადის ორი ფორმა. ამ ფორმათა წინასწარი ცოდნა აუცილებელია, რომ შევძლოთ ლეზგიური ზმნის ფორმათა ცვლა. აბსოლუტივის ფუძისაგან იწარმოება დროის სამი ფორმა: აწმყო, მყოფადი და მყოფადი განუსაზღვრელი, ხოლო ნამყო ძირითადისაგან — ნამყო 'შედევობითი'.

### ნამყო 'შედევობითი'

ნამყო 'შედევობითი' გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც წარსულში მოხდა, მაგრამ შედეგი ეხლაც, მეტყველების მომენტშიც ჩანს. ამ ფორმას პ. უსლარი არ იცნობს<sup>56</sup>. იგი იწარმოება ნამყო ძირითადი I-ის ფორმაზე მეშველი ზმნის ატა-ს („არის“) დართვით, ოღონდ ხშირად იკარგება ა ხმოვანი, როგორც დროის ფორმანტიკისეული, ისე მეშველი ზმნის პირველი ხმოვანი. ზოგ შემთხვევაში კი ჩავარდნილია მხოლოდ ერთი ხმოვანი, უნდა ვივარაუდოთ, მეშველი ზმნისეული.

კვაჩ-ნ-ტა ← კვაჩ-ნა-ატა „აიღო“, „იყიდა“ (და ეხლაც აღებულია, იქ აღარ არის ან ხელში უჭირავს ეხლაც).

ასევე: კვაჩ-ნ-ტა „დასია“ (ეხლაც დახეულია)

გალჩქ-ნა-ტა „მოიხვია“ (ეხლაც მოხვეული აქვს).

ამგვარი თარგმანი ფორმისა მხოლოდ შინაარსობრივია, ხოლო ფორმის შესაბამის ზუსტი გადმოცემა ხერხდება რუსულად:

ქილგნატა ПОСМОТРЕВ СТЬ.

ამ ფორმაში თავს იჩენს ნამყო ძირითადი I-ის უნარი გადმოსცეს ნამყოს აბსოლუტივის გაგებაც.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ფორმის ასეთი გაგება ადგილობრივ მკვიდრთა გაგებაში ამგამად სავსებით დაჩრდილულია. მათთვის იგი ნამყოს ერთ-ერთი ფორმაა მხოლოდ.

<sup>56</sup> არა აქვს იგი არც ლ. ჟირკოვს.

ქაზ ზა ბალკან ჯჯაჩუნთა — მე შენ ცხენი გიყიდე  
(= ნაყიდი).

აღაზ აქქუნა სა ქურა ფფუდ ნაწ ექქქუნა — მან  
დაინახა ორმოში სამი ლერწამი ამოსული.

აქა მეშველი ზმნის ნაცვლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს  
მეორე მეშველი ზმნა ამას „რჩება“ (остаётся).

ჯჯაჩუნაძა — აილო რა, რჩება.

საყურადღებოა აგრეთვე ის ფაქტი, რომ ამ ფორმითაა გად-  
მოცემული სტატიკური ზმნების აწმყო:

აცუყნაქა „ზის“ (ე. ი. დაჯდა და ახლაც განაგრძობს  
ჯდომას), მაგრამ აცუყნაქა „ჯდება“.

ასევეა ჯჯარაღნაქა „დგას“.

გიუნეის დიალექტში აქა მეშველი ზმნა იღებს უფუ სახეს,  
საესებით ისე, როგორც აწმყოში: ხთთანუქა „დაბრუნდა“,  
აცუყნუქა „ზის“<sup>57</sup>.

## ა წ მ ყ ო

აწმყო დროის ორგანული წარმოება ლეზგიურ ენას არ ახა-  
სიათებს. იგი მხოლოდ აღწერიტად გამოიხატება. ამითაა შეპირო-  
ბებული ის ფაქტი, რომ პ. უსლარს იგი უღვლილების პარა-  
დიგმაში შეტანილი არა აქვს<sup>58</sup>. აწმყოს იგი მხოლოდ მეშველ  
ზმნებთან განიხილავს<sup>59</sup>. სისრულისათვის ჩვენ შესაძლებლად ვცა-  
ნით დროის ეს ფორმა დროთა საერთო სისტემაში შემოგვეტანა  
მისი წარმოების თავისებურების გათვალისწინებით.

იწარმოება აწმყო მეშველი ზმნით აქა „არის“, რომელიც  
ერთვის უშუალოდ აბსოლუტივის ფორმას:

ქიზ + აქა → ქ-იზ-ქა „მიდის“

ყაზ + აქა → ყ-აზ-ქა „უქირავს“

რაახზ + აქა → რახ-აზ-ქა „ლაპარაკობს“

რ(უ)გაზ + აქა → რ(უ)გ-აზ-ქა „ხარშავს“

ელქებ + აქა → ელქ-ებ-ქა „თხრის“

ამ ზმნებში დაკარგულია მეშველი ზმნის პირველი ა ხმოვანი  
და მეშველი ზმნა უკვე შერწყმულია აბსოლუტივის ფორმასთან.  
რიგ ზმნებთან კი აქა სრულად არის შენახული, ოღონდ ჩავარ-

<sup>57</sup> У. Мейланова, Краткая характеристика гюнейского диалекта лезгинского языка, გვ. 236.

<sup>58</sup> П. Услар, დასახ. შრ., გვ. 200.

<sup>59</sup> იქვე, გვ. 93—96, 109.

დნილია აბსოლუტივისეული ფორმანტის ხმოვანი, ყველაზე ხშირად ი:

- გალთ-იზ + აჲ → გალთ-ზ-აჲა „ილღება“
- კვარლ-იზ + აჲ → კვარლ-ზ-აჲა „ღღება“
- გადარ-იზ + აჲ → გადარ-ზ-აჲა „აღღებს“
- ელკვტორ-იზ + აჲ → ელკვტორ-ზ-აჲა „ტრიაღებს“ (ახტი)

ასევე შეიძღება დიკარგოს ა:

- ალთ-აზ + აჲ → ალთ-ზ-აჲა „მოვარღნა“, „მოძრობა“ (ახტი)
- აგყ-აზ + აჲ → აგყ-ზ-აჲა „მიღწევა“ (ДОИТИ) (ახტი).

ყურადღებას იქცევს ერთ-ერთი დიალექტის<sup>60</sup> აწმყოს ფორმები, რომელთა წარმოება თანდათან ორგანულ ხასიათს იღებს, თუმცა მისი მახასიათებელი ფორმანტის კავშირი იმავე აჲ მეშველ ზნასთან მაინც ხელშესახებია. როგორც უ. მეილანოვა მიუთითებს, დროის ფორმანტის ბოლოკიდური ა ხმოვანი მოკვეცილია, ხოლო ფუძის (აბსოლუტივის ფორმის) ბოლოკიდურ თანხმოვანსა<sup>61</sup> და აფიქსის თანხმოვნით კომპონენტს შორის ჩასმულია უ ხმოვანი, რომელიც რამდენადმე რედუცირღება.

- ჲზ-ჲჲ „ზღება“ (სალიტ. ჲზჲა)
- ჲიზ-ჲჲ „მიღის“ (სალიტ. ჲიზჲა)
- ლჲჲზ-ჲჲ „ლაპარაკობს“ (სალიტ. ლჲჲზჲა<sup>62</sup>).

ზოგ შემთხვევაში მთქმელი მოქმედების გაძღიერებისა და აქცენტუაციისათვის მიმართავს აწმყოს მეძღვე ფორმებს:

- ქიკვზჲაჲა „ეშინია“ (სალიტ. ქიკვზჲა)
- იღიზჲაჲა „აკეთებს“ (სალიტ. იღიზჲა)

უ. მეილანოვა ამ ფორმებში გამოყოფს გაორმაგებულ -ჲა ან -ზჲა აფიქსებს<sup>63</sup>, ე. ი. მისთვის ეს ფორმა იშღება, როგორც ქიკვ-ზ-ჲა-ზჲა, მაგრამ უფრო მართებული ჩანს სხვა დაშლა: ქიკვ-ზ-ჲა-ზ-ჲა „ეშინია“, სადაც ქიკვ-ზ აბსოლუტივის ფორმაა, რომელსაც ერთვის მეშველი ჲზნის აჲ-ს აბსოლუტივი აჲ-ზ, რომელიც შემდეგ კვლავ გართულღებულია ჲა ← აჲ მეშველი ჲზნით, აწმყოს

<sup>60</sup> იხილესამება გიუნეის დიალექტი. მისი გავრცღების ტერიტორიის შესახებ იხ. У. Мейлано́ва, Краткая характеристика гюнейского диалекта лесгинского языка, გვ. 213—217.

<sup>61</sup> აქ გასწორღებულია კორექტურული შეცღომა, რომელიც დაშვღულია ტექსტში: უნდა იყოს ასე, და არა „...ფუძის ბოლოკიდური თანხმოვნის წინ...“ იქვე, გვ. 236.

<sup>62</sup> იქვე, გვ. 235—236.

<sup>63</sup> იქვე, გვ. 236.

წარმოების საერთო წესით. ასეთ შემთხვევაში ჭა და ზჭა აფიქსე-  
ბად ვერ მიიჩნევა, რადგან ძირითადი ზმნის აბსოლუტივის მომ-  
დევნო ნაწილი ჭა ა ზ ჭა (← აჭაზაჭა) მეშველი ზმნის აჭა-ს გა-  
რთულებული სახეა, რომელსაც პ. უსლარი იცნობს<sup>64</sup>: აჭა-ზ აბსო-  
ლუტივი პლუს ჭა ← ა ჭა იგივე მეშველი ზმნა „არის“.

მეორე მეშველი ზმნა, რომელიც შეიძლება დაერთოს აბსო-  
ლუტივს და იგივე აწმყო გამოხატოს შინაარსის ოდნავი ნიუანსური  
სივარობით, არის ა მ ა „რჩება“.

ძრბ (ა)მა „მიდის“, რ(უ)გაზ-მა „იხარშება“, ხარშავს“ და  
სხვა.

### მეოცედი

მყოფადი დროისთვისაც ამოსავალ ფუძეს წარმოადგენს აბსო-  
ლუტივი, რომელსაც ემატება -და ფორმანტი (აბსოლუტივისეული  
ზ მოკვეცილია, ხოლო სმოვანი დაცულია)<sup>65</sup>.

|         |                   | აბსოლ.   | მყოფადი                |
|---------|-------------------|----------|------------------------|
| ღენ     | „მოტანა“          | ღ-იზ     | ღ-რ-და (მოიტანს)       |
| ქუგაჲ   | „წევა“            | ქუგაჲ-აზ | ქუგაჲ-ა-და (მოწევს)    |
| ჯ(უ)ღენ | „ნაბევა“, „პოვნა“ | ჯ(ი)ღ-რბ | ჯ(ი)ღ-რ-და (ნახავს)    |
| რ(უ)გაჲ | „ხარშვა“          | რ(უ)გ-აზ | რ(უ)გ-ა-და (მოხარშავს) |

ახტის დიალექტში ღ → ზ<sup>66</sup>

|         |               |            |             |
|---------|---------------|------------|-------------|
| ქ(უ)თთჲ | „ქვეშ დადება“ | ქ(უ)თთ-ჲ-ზ | ქ(უ)თთ-ჲ-ზა |
| უჲჲ     | „მოდრაობა“    | უჲ-აზ      | უჲ-ა-ზა     |

შთაბეჭდილება ისეთია, რომ ახტის დიალექტში, განსხვავე-  
ბით სალიტერატურო ლეზგიურისაგან, მყოფადი აწარმოებს აბსო-  
ლუტივის ფორმაზე -ა-ს დარტვა. ასეთ ვარაუდს გამოთქვამს  
რ. ჰაიდაროვი<sup>67</sup>. ფაქტობრივ კი აქ სავესებით იგივე წარმოებაა, რაც  
სხვა დიალექტებში. ფორმათა დამთხვევა შემთხვევითია და გამო-  
წვეულია ღ → ზ ფონეტიკური ცვლილებით, ე. ი. უჲა-ზა ← უჲა-და.  
ახტის დიალექტში მყოფადს რომ ნხოლოდ -ა არ აწარმოება, და-

<sup>64</sup> П. Услар, დასახ. შრ., გვ. 115.

<sup>65</sup> ამ წესმა გამონაკლისი არ იცის

<sup>66</sup> ასეთი ფონეტიკური ცვლილება მოუდის ახტის დიალექტში ყველა  
ფორმანტისეულ დ-ს (გრგატივის ნიშანი -ღი, ლოკატივის ერთ-ერთი ბრუნვის  
ნიშანი -და, მიმღობის მასუბსტანტივებელა სუფიქსი -ღი). ეს წესი მკაცრად  
გატარებული და გაკვეთა ვნის მთელ სისტემას. გამონაკლისს შეადგენს ნაცვალ-  
სახელი და უარყოფითობის პრეფიქსი დ-.

<sup>67</sup> P. I a u r a o v, დასახ. შრ., გვ. 16—17.

სტურდება შენდები მაგალითითაც: აჯანზ-უნ „წევა“ (ფუძე ბოლოვ-  
დება ზ თანხროვნი), აბსოლუტივი: აჯანზ-ან, მყოფადი: აჯანზ-ზა.

უარყოფით ფორმებში (სუფიქსური წარმოებისას) უარყოფითობის -ჩ სუფიქსის წინ -და ფორმანტი შეიძლება სავსებით დაი-  
კარგოს, მაგრამ ფორმა მაინც მყოფადად გაიგება: ეეჩ ← ეე-და-ჩ;  
ა ქ ქ ჭ ა ← ა ქ ქ ჭ -და-ჩ. არ არის სწორი ლ. ჟირკოვის ვარაუდი,  
რომელიც ეეჩ და მისთანა ფორმებს აბსოლუტივის უარყოფით-  
ფორმად მიიჩნევს<sup>65</sup>.

-და ფორმანტის გენეზისის შესახებ ლ. ჟირკოვი სავსებით  
სამართლიანად აღნიშნავს, რომ ეს იგივე ზმნა-მაერთია (copula),  
მნიშვნელობით „არის“, რომელიც დაერთო აბსოლუტივის: ყაზ+  
და>ყადა<sup>66</sup>, ე.ი. ფორმის აგებულება გამკვირვალეა — აბსოლუტივი  
და copula. მისი სრული თარგმანი იქნებოდა: ყაზ-და>ყადა „ქე-  
რით არის“ (უფრო ზუსტ შესატყვისის იძლევა რუსული თარგმა-  
ნი — *дежда есть*). ასეა წარმოშობის მხრივ, თორემ ამჟამად  
ასეთი გაგება ფორმისა, რასაკვირველია, დაჩრდილულია.

ამგვარად, ირკვევა, რომ გენეზისურად მყოფადის დღევან-  
დელი ფორმა გადმოსცემდა არა მყოფადს, არამედ აწმყოს. მყო-  
ფადობა ამ ფორმისა მეორეული ფუნქციაა. მართლაც, ლეზგიური-  
ენის მყოფადი დღესაც ზოგიერთ შემთხვევაში ზოგადი აწმყოს-  
როლში გამოდის, ე. ი. გადმოსცემს ისეთ მოქმედებას, რომელიც  
ხშირად მეორდება, საერთოდ ხდება:

გათთუზ ჩიძჩ ე ქ და — ზაფხულში სიცხეა (ხოლმე).

ა ინსან ჰამიშა აზარლუ ე ქ და — ეს კაცი ყოველთვის ავადაა.

გიშინ ჭეჩრეზ ახუზარანი ცუქ ა ქ ქ ჭ ა და — მშიერი ქათამი-  
ძილშიც ხორბალს ხედავს (ანდაზა).

ამგვარი ფორმები განსაკუთრებით ხშირია თბრობისას, ზღაპ-  
რებში, ამბებში. რამდენიმე მაგალითი:

ძეყრიდი ჩიქქ ნე და ჩ, ელაღლა ფირაშნი თ და ჩ — მოლა  
ხახვს არ ქამს, როცა ნახავს, ფოჩებსაც არ (და)ტოვებს (ანდაზა).

გადაჩი ამ ჭეჩ გელ აბტა, ხაბარ ყაზა — ბიჭი, ეს რა კვა-  
ლიაო, ეკითხება (ახტი).

ჭაზ აყადარ ჰჭრმეტარ აჭურ ბუბაზინ ყედრინი ე ქ ზ ა ჩ, ჰა-  
ნჯზ ქილჩანა ჭაქა ზაზ აულღაშნი ე ქ ზ ა ჩ, ლაჰანა ანდა რეშ რ ე-  
ყ რ ზ ა — შენ ამდენი სიყეთის გამკეთებელი მამის ფასი არა გაქვს.

<sup>65</sup> Л. Жирков, Грамматика лезгинского языка, § 79, გვ. 93. პ. უსლა-  
რი კი მართებულად თვლის მას მყოფადის ფორმად.

<sup>66</sup> იქვე, გვ. 78.

ამის შემხედვარე, შენგან ჩემი მეგობარი არ იქნება, თქვა რა, იმ გოგოს (მო)კლავს.

აფიქსის გენეზისიდანაც ჩანს, რომ ამ ფორმის პირველადი მნიშვნელობა იყო აწმყო ზოგადის გადმოცემა. შემდეგ კი აწმყოს ფორმების ჩამოყალიბების გავლენით ამ ფორმამ თანდათანობით იცვალა პირველადი ფუნქცია და საბოლოოდ მყოფადის როლში მოგვევლინა.

### მყოფადი განუსაზღვრელი

ლუზგიურ ზმნას მოეპოვება მყოფადის კიდევ ერთი ფორმა — ესაა მყოფადი განუსაზღვრელი. ეს ფორმა მიუთითებს ისეთ მოქმედებაზე, რომლის შესრულება ან მომავალი ფაქტი რაიმე პირობაზეა დამოკიდებული. საწარმოებელ ფუძედ იყენებს იმავე აბსოლუტივს, რაც მყოფადშია.

მყოფადი განუსაზღვრელის ფორმები განსხვავებულია იმის მიხედვით, წინადადებაში რეალური პირობაა მოცემული თუ არა-რეალური (ირეალური)<sup>70</sup>. პირველ შემთხვევაში იხმარება -დი სუფიქსი, ხოლო მეორეში — -დირ<sup>71</sup>.

თანამედროვე ლუზგიურში ამ ფორმებს თითქმის აღარ იყენებენ. განსაკუთრებით იშვიათია -დირ სუფიქსით ნაწარმოები ფორმა, მაგრამ ტექსტებში, მეტყველებაში აქა-იქ შეიძლება მაინც შეგვხვდეს:

აღა ქ(ი)თთაბ ჯჯაჩუღირ, აჭაბტა — ის წიგნს იყიდდა, რომ ყოფილიყო.

ჭურჩმირ ჯჯუნშიდალ, ჟი ყილღნი ჯჯუქდი — ნუ დასცინი მე-ზობელს, შენს თავზედაც მოვა (ანდაზა)<sup>72</sup>.

-დი სუფიქსიანი ფორმა შეიძლება ჩვეულებრივი მყოფადის (resp. ზოგადი აწმყოს) როლშიც გამოვიდეს:

ჰარსა ქასდი ცკაბდი ჯჯახჩუღირ — ყოველი კაცი (= ყველა) [მის მიერ] დათესილს იღებს (ანდაზა).

<sup>70</sup> Л. Жирков, Грамматика лезгинского языка, гл. 79—80.

<sup>71</sup> უნდა აღინიშნოს, რომ პ. უსლარი სწორედ -დი სუფიქსიან ფორმას უწოდებს მყოფადს, ხოლო ნამდვილ მყოფადს — აღორსტს. რაც შეეხება -დირ ბოლოსართით დაბოლოებულ ფორმას, იგი მისთვის პირობისაგან დამოკიდებული ფორმაა, зависное от условия: П. Услар, დასახ. შრ., გვ. 200.

<sup>72</sup> Кюринские пословицы и сказки. Записаны и переведены Лио-мьядзе в Касум-Кенте. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. XIV, Тифлис, 1892, гл. 153.



იქნებ ამის გამოა, რომ პ. უსლარი სწორედ ამ ფორმას უწოდებს მყოფად.

ლ. ტირკოვი მიუთითებს ამ ფორმის ახტის დიალექტის ფონეტიკურ შესატყვისზე (დო → ზი) <sup>73</sup>, მაგრამ ახტის დიალექტს შესაბამისი ფორმა არ მოეპოვება. იგი საერთოდ არ იცნობს ამ მყოფადის არც ერთ ფორმას, მაგრამ როცა სურთ გამოხატონ მსგავსი მნიშვნელობა, იყენებენ აზერბაიჯანული წარმოშობის სიტყვას ბ ე ლ ქ ი „შეიძლება“, „იქნებ“ (МОЖЕТ).

-ღირ სუფიქსი რთული შედგენილობისა ჩანს და უნდა იშლებოდეს: დ-ირ, -დი მისი შეკვეცილი სახეობაა. -ღირ სავესებით იმავე აგებულებისა ჩანს, რა აგებულებისაც არის შეშველი ზმნა თ თ ი რ იყო“.

### -ა სუფიქსით ნაწარმოები დროები

ზემოთ განხილული იყო დროის ოთხი ძირითადი ფორმა — აწმყო, მყოფადი, ნამყო ძირითადი I <sup>74</sup> და ნამყო შედეგობითი <sup>75</sup>. ოთხივე ფორმას შეიძლება დაერთოს -ა ელემენტი, რომელიც წარსულობის გაგებას იძლევა პირველ ორ დროსთან, ხოლო ნამყოს ფორმებთან კი ფორმის მნიშვნელობაში კონკრეტული გაგება შეაქვს. ეს ფორმებია:

ნამყო უსრული I. იწარმოება აწმყოს ფორმაზე -ა-ს დართვით. ასევე უსრულია თავისი ბუნებით მყოფადისაგან ნაწარმოები დრო იმავე -ა სუფიქსის მეშვეობით (ნამყო უსრული II). ორივე ფორმა მიუთითებს მოქმედების უწყვეტლობაზე, იმაზე, რომ მოქმედება მიმდინარეობდა, მაგრამ არ დასრულებულა (ფუნქციურად ორივე დრო უდრის ქართულ ნამყო უწყვეტელს).

მაგალითები: ნ ა მ ყო უ ს რ უ ლ ი I

სა შეჭრზა დეჟლტლუ სა ბეგ და შ ა შ ა მ ი შ ე ქ ზ ჯ ა ე — ერთ ქალაქში ერთი მდიდარი ბეგი ცხოვრობდა (ახტი).

რუშაზ ამ ბეგ ფტარა ქ ქ ა ნ ხ ა ჯ ა ე — ქალიშვილს ეს ბეგი ძალიან უყვარდა (ახტი).

<sup>73</sup> Л. Жирков, Грамматика лезгинского языка, გვ. 79.

<sup>74</sup> ნამყო ძირითად II-ს აქ არ ვეხებით, რადგან მისგან -ა-თი ნაწარმოები ფორმები არა გვაქვს.

<sup>75</sup> უფრო ზუსტი იქნებოდა გველაპარაკა სამ ძირითად ფორმაზე, ნამყო შედეგობითის გამოროცხვით. მაგრამ, რამდენადაც ფორმაცვლის თვალსაზრისით ეს უკანასკნელი მიჰყვება დროის სხვა ფორმებს, ვამჯობინეთ მივუთითოთ ოთხ ძირითად ფორმაზე.

მალლანესრედინა ჰა ინალ ჰამრშა ძიქრზაჟაე — მოლა  
ნასრედინი ამ ადგილზე ყოველთვის ფიქრობდა.

აბურ კჟალტ კჟულტზჟაე — ისინი შინ თამაშობდნენ.

ნამყო უსრულ I-თან შედარებით ნამყო უსრული II-ის  
ფორმები შედარებით იშვიათად გვხვდება ტექსტებში:

კჟარ თთრტა, ზუნ კჟუჯანი გათადაანი? <sup>76</sup> — მოხუცი  
(ქალი) რომ არ ვიყო, მე მოხუცი გამლახვდა?

თთახაიტი, ანინ კჟუნ კჟუნცტლ აღამჟყდაჩირ <sup>77</sup> —  
რომ ესე არა, მისი (კონტექსტით იგულისხმება ქალაქი) კვა კვაზე  
არ დარჩებოდა.

კითხვა ისმის, რა სხვაობაა ნამყო უსრულის ამ ორი ფორმის  
მნიშვნელობაში. საფიქრებელია, რომ ნამყო უსრული I გადმო-  
სცემდა ისეთ მოქმედებას, რომელიც მიმდინარეობდა მთქმელის  
თანადასწრებით, იგი მოქმედების უშუალო მოწმეა, ხოლო ნამყო  
უსრული II-ით გაძოხატული მოქმედება მრავალგზის მეორედობ-  
და, საერთოდ ხდებოდა ხოლმე. ასეთი განსხვავება შესაძლებელია  
ამ ფორმებს თავდაპირველად ახასიათებდა, რამდენადაც ნამყო  
უსრული II-თვის ამოსავალია ის ფორმა, რომელიც აწმყო ზოგადს  
გადმოსცემდა და ეს ზოგადობა დროისა ამ ფორმამაც შემოგვი-  
ნახა. მაგრამ ამჟამად ნამყო უსრულის I და II ფორმათა ხმარება,  
როგორც მაგალითებიდანაც ჩანს, აღრეულია.

ნამყო შედეგობითი წარსული იწარმოება ნამყო შედეგობითის  
ფორმაზე იმავე -ა-ს დართვით. ამ ელემენტს თავისებური სხვაობა  
შეაქვს მნიშვნელობაში: მიუთითებს ისეთ მოქმედებაზე, რომლის  
შედეგიც ჩანდა, მაგრამ ეხლა უკვე ეს შედეგი შეიძლება აღარ  
ჩანდეს.

ძ-ტნ-ჟ-აჟ წასული იყო (მაგრამ გაურკვეველია, ახლაც  
წასულია თუ არა).

კჟაჩჟ-ნ-ჟა-ა „აღებული იყო“.

ამავე ფორმითაა გადმოცემული სტატიკური ზმნების ნამყო  
უსრული:

აცჟყ-ნა-ჟა-ა „იჯდა“ (შდრ. აცჟყნაჟა „ზის“)

კჟარანლ-ნა-ჟა-ა „იდგა“ (შდრ. კჟარანლნაჟა „დგას“)

<sup>76</sup> -ნი კითხვითი ნაწილაკია.

<sup>77</sup> აღამჟყ-და-ჩირ ზმნის უარყოფითი ფორმაა -ჩარ სუფიქსით, -ა დკარ-  
გულია.

ნამყო შორეული წარსულის გაგებას გვაძლევს ნამყო ძირითად 1-ზე -ა-ს დართვა. ეს ფორმა მიუთითებს მოქმედების ჩადენის შორეულ წარსულობაზე, რომ მოქმედება დიდი ხანია, რაც მოხდა <sup>76</sup>.

გ-ანა-ა „მისცა“ (უკვე დიდი ხანია); კჷლახ-ნა-ა „იმუშავა“.

ეს ოთხი ფორმა იმითაცაა საყურადღებო, რომ ყველა ეს, უკანასკნელის გარდა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მიმღეობის ფუნქციით, ხოლო ნამყო შედეგობითის სათანადო ფორმა უმთავრესად სწორედ მიმღეობის როლში გამოდის.

მიმღეობისა და დროის ფორმათა სრული დამთხვევა გვაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც მიმღეობა მსაზღვრელის როლში გვხვდება, ხოლო თუ მიმღეობა ცალკე დგას, მაშინ მას ემატება მასუბსტანტივებელი ელემენტი -დი (ახტის დიალექტში დი → ზი).

მიმღეობისა და დროის ფორმათა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ დაწვრილებით გვექნება საუბარი მიმღეობებთან დაკავშირებით. აქ მაოლოდ მაგალითებით დავემაყოფილებით:

**მიმღეობა მსაზღვრელის როლში:**

ჷირდა კვარფუზდინ გ ა დ არ ნ ა ჷ ა ე ც ცილერ ტუნა — ყველამ საზამთროს გადაყრილი მარცვლები შექამა.

მულლდალ ჩფფინ შეჭერდინ ჳ ჳ ჳ ჳ ჳ ჳ ა ჩ ჩ რ და ე სა ქას ჰალტნა — მოლას მის ქალაქში მომავალი ერთი ნაცნობი კაცი შეხვდა.

ბალიშ ა ჳ ჳ რ ბალკანდინ სარაროზ კილიგიჩ — ნაჩუქარ ცხენს კბილებს არ უსინჯავენ (ანდაზა).

კვარფუზდინ ა მ ა ე ფა ე ითირმდი ხ ი ჳ ტუნ ტექლიძ ა ჳ ჳ ნა — საზამთროს დარჩენილი ნაწილის ადამიანივით ჳამა შესთავაზა.

**ცალკე მდგომი მიმღეობა:**

ლ ა ჳ ა დ ი ა ხ მ ა ხ ხ ა ნ ი ტ ა ნ ი, ა ბ ა ქ ა ლ ზ ა ჳ ა დ ი ყ ჳ ა ნ ნ ი ა ყ უ ლ უ ხ ა ნ ა კ ა ნ დ ა — მოლაპარაკე რომ სულელი იყოს, მსმენელი მაინც უნდა იყოს ჳკვიანი.

ხერ ა ქ ქ ჳ რ დ ი ხ ი რ ე ნ უ ს ტ ა რ ა — კრილობის მნახველი კრილობის მკურნალია (ოსტატია).

ა მ ბ რ გ ჳ ჩ ი რ ე ჳ ჳ ა ჳ ი ჳ ჳ ა თ ა ს ა ს ა ჳ ჳ ა ჳ ჳ ი ჳ ჳ ბ უ ბ ა ნ ი პ ე რ ყ უ ჳ ხ ა ნ ჳ ჳ ა ჳ ჳ ი — მათ ვაიგეს, [რომ] ჳვეყანა ძაძებში მყოფი [არის] და მამაც ბრმად მყოფი [არის] (ახტი).

<sup>76</sup> ა. დ ი რ ი ამ ფორმას Plusquamperfect-ს უწოდებს: Einführung in das Studium..., გვ. 287.

## მიმღეობა

მიმღეობა ლეზგიურ ენაში ნათლად გამოხატული კატეგორიაა. იგი უკავშირდება დროის ყველა ფორმას, გარდა ნამყო ძირითადი I-ისა, ე. ი. აწმყოს, მყოფადს, ნამყო ძირითად II-სა და ნამყო შედეგობითს. ამათგან განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის ნამყო ძირითად II-თან დაკავშირებული მიმღეობები.

ნამყო ძირითადის სამი ვარიანტიდან მიმღეობა მოეპოვება მხოლოდ ორს, ნამყო ძირითად II-ს. ნამყო ძირითად I-ს მიმღეობა არ ეწარმოება. ეს ფაქტი ფრიად ფასეულია ამ ფორმანტთა ქრონოლოგიისათვის.

ნამყო ძირითად II-თან დაკავშირებული მიმღეობის ერთი ფორმისათვის გამოყენებულია -რ სუფიქსი (წინამავალი ხმოვნითურთ)<sup>70</sup>, ხოლო მეორისათვის -აჰ დაბოლოება.

|      | ნამყო ძ. II | მიმღეობა |
|------|-------------|----------|
| -რ:  | ტუშ-უ-რა    | ტუშ-უ-რ  |
|      | ყ-უ-რა      | ყ-უ-რ    |
| -აჰ: | აწ-აჰა      | აწ-აჰ    |
|      | გალბთ-აჰა   | გალბთ-აჰ |

-აჰ ფორმანტი შეიძლება გართულდეს ო ხმოვნით, რომელიც მას ერთვის, მაგრამ მისი ხმარება ხშირად (და არა ყოველთვის) აუცილებელი არაა:

|                      |                     |            |        |
|----------------------|---------------------|------------|--------|
| ქქაჰ(რ)              | „რამწვარი“ (სალიტ.) | ქქაჰ       | (ახტი) |
| გაჰ(რ) <sup>80</sup> | „მიცემული“ (სალიტ.) | გაჰ    გჰჰ | (ახტი) |

ა. გენკო მიუთითებს, რომ ის მიმღეობები, რომლებიც კ. უსლარს მოჰყავს ო ხმოვნით, კუბის დიალექტში წარმოდგენილია ხმოვნის გარეშე: შაჰი „წასული“, კუბის დიალექტში ძეჰ „წასული“<sup>81</sup>.

ფუძეხმოვნიან ზმნებთან მიმღეობებში ჩვეულებრივ იხმარება -ჰი (იმ შემთხვევებში, თუ ნამყო ძირითადში გვაქვს -აჰ დაბოლოება):  
გუჰ-ჰრ „მომკილი“

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში მიმღეობები ყოველთვის ნამყო ძირითადი II-ის შესაბამ ფორმებს უკავშირდებოდა. მაგრამ ზმნას შესაძლებელია მოეპოვებოდეს მიმღეობის ის ფორმაც, რომლის

<sup>70</sup> იგივე ხმოვანი მეორდება ნამყო ძირითადი II-ის ფორმაშიც.

<sup>80</sup> ი-ს გარეშე ფორმას მახვილი ა-ზე მოუღის.

<sup>81</sup> А. Генко, Материалы по лезгинской диалектологии. Кубинское наречие, Изв. АН СССР, Отд. гум. наук, 1929, № 4, Л., გვ. 331.

შესაბამი დროის ფორმაც არ დასტურდება. ამგვარი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. დავკმაყოფილებით რამდენიმე ნიმუშით:

|         |            |            |       |           |       |            |
|---------|------------|------------|-------|-----------|-------|------------|
| ეცტრგუნ | „დადება“   | ეცტრგ-რა:  | მიმლ. | ეცტრგ-ურ, | ასევე | ეცტრგ-აჰ   |
| დაქუნ   | „გასივება“ | დაკ-ურ-რა: | „     | დაკ-ურ,   | „     | დაკ-აჰ     |
| ჯუნ     | „სმა“      | ჯშ-აჰა:    | „     | ჯშ-აჰრ,   | „     | ჯშ-არ      |
| გუნ     | „მიცემა“   | გ-აჰა:     | „     | გ-აჰრ,    | „     | გ-ურ(ახტი) |
| ჰინ     | „წასვლა“   | ჰტ-აჰა:    | „     | ჰტ-ე-აჰრ, | „     | ჰტ-ირ      |

ამ მიმღეობებში მოსალოდნელი იყო საერთო ფუძე, მაგრამ ჰ-იან და -რ-იან მიმღეობებთან იგი განსხვავებული ჩანს. -რ-თი დაბოლოებულ მიმღეობაში დაცულია ის ხმოვანი, რომელიც მასდარშია, მაშინ როცა -ჰ-სთან იგი დაკარგულია (და არა შეცვლილი): შეადარე გ-უნ: გ-ურ და გ-აჰ(რ). ფუძეთა ეს განსხვავება მოჩვენებითია. რ-სთან, რომელიც ხმოვნის გარეშეა, რჩება ის ხმოვანი, რაც მასდარშია (ჰ-ინ, ჰ-ი-რ), ხოლო ჰ-ს წინ უძღვის ხმოვანი ა, რომელიც იწვევს მასდარისეული ხმოვნის ჩავარდნას<sup>82</sup> (იგი აფიქსისეულია და მიტომ!). ამითაა შეპირობებული ფუძეთა მოჩვენებითი სხვაობა.

ზოგიერთ შემთხვევაში მიმღეობის ფორმა არ დასტურდება საერთოდ, მაგრამ მისი კვალი მაინც შეიძლება დაიძებნოს ზმნის სხვა ფორმებში. ასეთია, მაგალითად, ჟერ (მიმღეობაა ზმნისა ჰ-უნ „ყოფნა“). იგი ცალკე არ იხმარება (ან ძალზე იშვიათადაა), მაგრამ ჩვეულებრივია ზმნისაგან ნაწარმოებ აბსტრაქტულ სახელში: ექრჟალ „ყოფნა“ (წარსულში). ასევე შეიძლება მოინახოს მსგავსი მიმღეობები ზმნის სხვა ფორმებშიც.

ცხადია, რომ მიმღეობის წარმოებაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ერთი და იმავე ზმნისათვის სამივე ფორმა ნამყო ძირითადისა (-ნა, -რა, -აჰა) უცხო არ უნდა ყოფილიყო (მიმღეობით ხერხდება აღდგენა ნამყო ძირითადის ერთ-ერთი ფორმისა, რომელსაც ემატება -ნა ფორმანტიტ წარმოებული ნამყო).

მაშასადამე, გვაქვს მიმღეობის ორი ფორმა (ჯჟარ || ჯჟაჰრ). მათ შორის მცირე ნიუანსური სხვაობაა მნიშვნელობაში, რაც მეორეული მოვლენა უნდა იყოს.

---

<sup>82</sup> აქ რამდენიმე ხმოვანი იყრის თავს, ხოლო ლეზგიური ენა საერთოდ ვერ იტანს ასეთ თავმოყრას. თუ აუცილებლობა გაჩნდა რამდენიმე ხმოვნის შეხვედრისა, მაშინ ხმოვანთა შორის ა ჩნდება გამყარად. ასე, მაგალითად, სახელთა მრავლობითობის წარმოებისას ფუძებოლოხმოვნისა სახელებთან მრავლობითრიცხვში ჩაერთვის ა: გადა „ბიჭი“, მრავლ. გადა-ჰ-არ.

-რ ელემენტით ნაწარმოები მიმღობა ჩვეულებრივ გამონახატავს მოქმედების განმეორებითობას, ხოლმეობითობას, შეიცავს, ასე ვთქვათ, ზოგადი დროის გაგებას. მაგალითად:

ქუარ ინსან „მსმელი კაცი, ვინც ჩვეულებრივ სვამს, ლოთი“.  
ქუაჲრ ინსან „მსმელი კაცი“<sup>83</sup>.

დაეუბრუნდეთ ნამყო ძირითადის საკითხს: მისი სამი ფორმა არსებობს სამი ნაწარმოებლით — ნა, -რა, -აჲ. საკითხი ისმის, შეიძლება თუ არა სამივე მორფოლოგიური ელემენტი ერთ და იმავე ქრონოლოგიურ ჩარჩოში მოვათავსოთ? ასეთი ვარაუდი არ იქნებოდა მართებული.

-ნა ფორმანტი მხოლოდ ნამყო ძირითადის ნაწარმოებელია და სხვა არაფერი. მას მიმღობა არ უკავშირდება, ზმნის სისტემაში იგი განცალკევებით დგას, მაშინ როდესაც -რა || -აჲ ფორმანტებთანაა დაკავშირებული დროცა და მიმღობაც. ამასთანავე, მათთან უშუალო კავშირში მყოფი მიმღობაა ხშირად საფუძველი ზმნის სხვა ფორმათა წარმოებისათვის:

1. მიმღობაა გამოყენებული ზმნისგან ნაწარმოებ აბსტრაქტულ სახელებში — ჭირ-ჟალ, ჭეჲრ-ჟალ... (იხ. გვ. 61).
2. მიმღობის ფორმა ემთხვევა ბრძანებითის ფორმას — თურ (შდრ. ნამყო ძ. II — თურა, მიმღობა — თურ) (იხ. გვ. 51).
3. ინტერესს არაა მოკლებული უკუთქმითი ბრძანებითის წარმოებაც, სადაც ამოსავალ ფუძეს წარმოადგენს აგრეთვე მიმღობა: მე-ჭჭჭარ! „ნუ წახვალ!“ (მიმლ. ჯჭუარ, იხ. გვ. 57).
4. დროის ნაქვემდებარებელი ფორმების გადმოსაცემად იხმარება სუფიქსი -ლა, რომელიც დაერთვის სწორედ მიმღობის ამ ფორმებს (და არა დროის ფორმებს) და დროულობის გაგებას იძლევა: ჭირ-ლა, ჭეჲრ-ლა „როცა წავიდა“ (იხ. გვ. 58—61).

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოყვანილ ფორმებში -ნა დაბოლოებებიანი ნამყო ძირითადი არსად არაა გამოყენებული, მას შეიძლება დაემატოს მხოლოდ -ჲ, რომელიც მიუთითებს მოქმედების ჩადენის შორეულ წარსულზე (давни прошедшее).

როგორც დავინახეთ, ნამყო ძირითად II-თან დაკავშირებული მიმღობის ფორმებია უმთავრესად საფუძველი ლეზგიური ზმნის უღვლილებისათვის. ეს გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ სწორედ მიმღობაა ამოსავალი ზმნური წარმოებისა-

<sup>83</sup> ზმნის ფუძე ნეიტრალურია: ქუარ || ქუაჲრ ინსან „მსმელი კაცი“, მაგრამ ქუარ || ქუაჲრ ჲად „სასმელი წყალი“.

თვის, ხოლო -ნა ფორმანტი ახალი მონაცემია. ამგვარად, -ნა და -რა II -აა თავისი წარმოშობით უნდა გაითიშოს <sup>81</sup>.

მაშასადამე, ლეზგიური ზმნის დროის ფორმებისათვის საყრდენია მიმლეობა. განსხვავებას დროის ფორმასა და მიმლეობას შორის ქმნის ხმოვანი ა, თითქოს იგი კისრულობს ნამყოს გადმოცემის ფუნქციას. მაგრამ ორიოდ შემთხვევაში, მეშველ ზმნებთან თთიჩ „იყო“ და თთუშიჩ „არ იყო“, ნაჩვენები იქნება, რომ ამ ზმნათა ერთი და იგივე ფორმა დროსაც გადმოსცემს და მიმლეობასაც, ა-ს გარეშე. თუ ასეთი რამ შესაძლებელი იყო და არის, მაშინ გასარკვევია როდის გაჩნდა -ა ან რის მაქნისია იგი? საკითხს დამატებითი შესწავლა ესაქიროება. უთუოდ გასათვალისწინებელი იქნება სხვა მონათესავე ენათა ჩვენებები.

დაბოლოს, ერთი საკითხიც. როგორ მოხდა, რომ ნამყო ძირითადის სამივე ფორმა ერთი და იმავე ფუნქციით იქნა გამოყენებული? საფიქრებელია, რომ თავდაპირველად ნამყო ძირითადის შინაარსს გადმოსცემდა -რა და -აა ელემენტები, ხოლო შემდეგ -ნა ფორმანტის დამკვიდრებასთან დაკავშირებით გარკვეული პერიოდის განმავლობაში სამივე ფორმანტი ასრულებდა ნამყო ძირითადის როლს, შემდეგ თანდათანობით -ნა-მ საფუძველი შეურყია ძველ წარმოებას და მერე კი სავსებით გაბატონდა. ძველი სისტემის მოშლა იმით დაიწყო, რომ ეს ორი მორფოლოგიური ელემენტი დიალექტების მიხედვით განაწილდა (-რა უფრო ჩრდილოეთის მეტყველებაში დამკვიდრდა, ხოლო -აა -- სამხრეთისაში) <sup>82</sup>. თანამედროვე ლეზგიურში კი ეს ფორმები თუმცა მორფოლოგიურად მყარია, მაგრამ იშვიათად იხმარება.

თუ დაეუშვებთ, რომ -რა და -აა ელემენტები თავიდანვე ამ ფუნქციით გამოდიოდნენ, მაშინ გასარკვევია, რატომ დასქირდა ენას ერთი და იმავე მორფოლოგიური ფუნქციით ორი სხვადასხვა ფორმანტის გამოყენება, ავლუტინაციურ ენათათვის (რომელსაც კავკასიური ენებიც ეკუთვნის) ხომ ეს უცხო უნდა ყოფილიყო. მაგრამ აქ თავს იჩენს ის მორფოლოგიური კატეგორია, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია იბერიულ-კავკასიური ენებისათვის. ესაა გრამატიკული კლასის კატეგორია. ამგვარად, რ და ჯ თავისი გენეზისით

<sup>81</sup> არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ნ იყოს რ-ს ფონეტიკური სახესხვაობა. მაშინ დაისმებოდა საკითხი, თუ როგორ მოხდა, რომ ფონეტიკურმა ცვლილებამ ესოდენ დიდი მორფოლოგიური განსხვავება მოგვცა.

<sup>82</sup> თუმცა ასეთი განაწილება სავსებით ზუსტი არაა.

გრამატიკული კლასის ექსპონენტებად უნდა ჩავთვალოთ; უფრო მეტიც, სხვა კავკასიურ ენათა მონაცემების გათვალისწინებით აქ საე-სებით მოსალოდნელი იქნებოდა სხვა თანხმოვანი ელემენტებიც (ვ, ზ, დ), რომელნიც გრამატიკული კლასის ნიშნებს წარმოადგენენ იბერიულ-კავკასიურ ენებში საერთოდ. და მართლაც, ლეზგიურის ახლო მონათესავე ალულურ ენაში ნამყო ძირითადის (Praeteritum — რ. შაუმიანი) სხვა მაწარმოებელთა შორის დასტურდება რ ელემენტი სხვადასხვა ვარიანტით: -არუ, -ირუ (-არჷუ, -ირჷუ) და, რაც მთავარია, დ: -ადუ, -ედუ (-ადჷუ, -ედჷუ); იხმარება აგრეთვე f: -უწე, -იწე, -ეწე (ხომ არ მომდინარეობს f ← ჷ(ვ)-საგან?). მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მიმლეობები, რომელნიც ამ დაბოლოებებს უკავშირდებიან, ლეზგიური მიმლეობების სრულ ანალოგიას წარმოადგენენ. ალულურის მიმლეობათა დაბოლოებები: -უწ, -ეწ, -იწ; -ად, -ედ; -არ, -ირ. აქაც ბოლოკიდური ხმოვნები ისევე, როგორც ლეზგიურში, არ ჩანს. რას წარმოადგენენ -ე და უ(ჷუ) ელემენტები? როგორც რ. შაუმიანი მიუთითებს, ისინი ენკლიტიკები არიან „არის“ მნიშვნელობით, ხოლო -წ, -რ და -დ ზედსართავეების მაჩვენებლები<sup>86</sup>. ამგვარად, ალულურში ნამყო ძირითადის მაწარმოებლები -არ-უ, -ირ-უ (-არ-ჷუ, -ირ-ჷუ); -ად-უ -ედ-უ (-ად-ჷუ, -ედ-ჷუ); -უწ-ე, -იწ-ე, -ეწ-ე (f ← ჷ) იშლება, პირველი ნაწილი შეიცავს კლასის ნიშანს (წინამავალი ხმოვნით)<sup>87</sup> და მეშველ ზმნას. თუ ეს ანალიზი სწორია, შეიძლება ლეზგიური ნამყო ძირითადის ფორმანტები -რ-ა და -აჷ-ა დაგვეშალა და ბოლოკიდური ა ელემენტი აა და და მეშველ ზმნათა ნაშთად მიგვეჩნია ისევე, როგორც ეს ალულურში გვაქვს.

საყურადღებოა, რომ ამ ფორმანტებს ამნაირადვე შლის რ. ჰაიდაროვიც, მაგრამ -რ-ა და -(ა)ჷ-ა ელემენტებში გამოყოფილ ა-ს იგი უკავშირებს მყოფადის ფორმანტისეული დ-ა-ს ა ხმოვანს<sup>88</sup>. ასეთი დაკავშირება გამართლებული უნდა იყოს, მაგრამ აქ აუცილებელია ამ ორი ფორმანტის გამოყოფა ნამყო ძირითადის -ნა სუფიქსისაგან, რადგან იგი სხვა წარმოშობის ჩანს.

<sup>86</sup> ალულური ენის მასალა ამოღებულია რ. შაუმიანის წიგნიდან Грамматический очерк агулского языка, გვ. 88—89, 96.

<sup>87</sup> ის ფაქტი, რომ f, რ და ა ელემენტები ზედსართავეის მაჩვენებელია, მათ კლასის ნიშნობას კი არ გამორიცხავს, პირიქით, გულისხმობს მას.

<sup>88</sup> P. Гагдуров, Автореферат..., გვ. 17.



ამასთანავე, არ უნდა იყოს მართებული ამ თვალსაზრისით ნამყო ძირითადი I-ის -ნა სუფიქსის დაშლა, მით უმეტეს, რომ ავტორს ნამყო ძირითადი I მიაჩნია მასდარისა და ა სუფიქსის შეერთებით ნაწარმოებად<sup>99</sup>. იგულისხმება შემდეგი მაგალითები: აქქ-უნ, „ხედვა“, ნამყო ძ. I აქქ-უნ-ა; კვჩაჩ-უნ „აღება“. კვჩაჩ-უნ-ა და სხვა. ასეთი შთაბეჭდილება რჩება მხოლოდ მაშინ, როდესაც ზმნის მასდარს -უნ აწარმოებს და ნამყო ძირითად პირველშიც იგივე უ ხმოვანი რჩება (-უ-ნა), მაგრამ ეს შთაბეჭდილება მაშინვე ქრება, როდესაც ნამყო ძირითად პირველში სხვა დაბოლოებაა, ვთქვათ, -ანა (ათთ-ანა „მოვიდა“, შდრ. მასდარი ათთ-უნ). ამგვარად, -რა, -აჰა ფორმანტიებისა და -ნა სუფიქსის ერთ სიბრტყეზე დაყენება არ არის მართებული. -ნა სხვა რიგის ფორმანტია. ფაქტი, რომ მიმღეობა კლასის ნიშნითაა ნაწარმოები, უცნაური არ უნდა იყოს. ხუნძურში დღესაც მიმღეობა კლასის ნიშნითაა (სუფიქსით) წარმოდგენილი: ბუგ-ებ.

ამგვარად, ლეზგიური მიმღეობის ეს ფორმები ზმნის სხვა ფორმებთან შედარებით უძველესად მიიჩნევა. ხომ არ ლაპარაკობს ამის საწინააღმდეგოდ მათი სუფიქსური წარმოება? ცნობილია, რომ სუფიქსაციას წინ უსწრებდა პრეფიქსაცია. მაშ, როგორ მოხდა, რომ სუფიქსიანი ფორმები ყველაზე ძველი აღმოჩნდა და პრეფიქსაცია აქ არაერთაა როლს არ თამაშობს? მოვიგონოთ, რომ ყველა ენაში, სადაც მიმღეობა გვაქვს, იგი სუფიქსების საშუალებითაა ნაწარმოები. მაშასადამე, ეს საერთო საკითხია იბერიულ-კავკასიური ენებისათვის. ლეზგიურის ცალკე გამოყოფა ამ შემთხვევაში არ იქნებოდა მართებული. საკითხი საერთო გადაწყვეტას მოითხოვს.

და მაინც აქ ერთი საკითხი ღიად რჩება. საკითხი ეხება ამ ფორმათა თავდაპირველ ფუნქციას — იმთავითვე მიმღეობებს გამოხატავდა ეს ფორმები, თუ ისინი სხვა როლში გამოდიოდნენ. ბუნებრივი ჩანს საკითხის შემდგენიანი დაყენება: ხომ არ არის ეს ფორმები წარმოშობით ნათესაობით ბრუნვასთან დაკავშირებული, ვთქვათ, გაკეთების და შემდეგ უკვე გაკეთებული<sup>100</sup>? ასეთ შემთხვევაში გასარკვევი იქნებოდა, სად ვეძებოთ ამ ფორმათა ზმნურობა?

<sup>99</sup> Р. Гаїдаров, Автореферат..., გვ. 17.

<sup>100</sup> ასე დააყენა ეს საკითხი წახურულ-რუთულურ ენათა მონაცემების მიხედვით ევგ. ჯეიჩანიშვილმა ერთ-ერთი მოხსენების შესახებ გამართული მსჯელობის დროს.

მიუხედავად ამგვარი დაბრკოლებისა, ვვარაუდობთ, რომ მიმღეობობა არ არის პირველადი ფუნქცია ამ ფორმებისა. მიმღეობაში ხომ მოქმედების შედეგი ჩანს (გაკეთებული — ე. ი. ის, რაც გაკეთდა). ამდენად, არ იქნებოდა მართებული მოქმედების შედეგის გამომხატველი ფორმა მიგვეჩნია პირველადად. მოქმედების შედეგი რომ სახეზე გვექონდეს, მას მოქმედების პროცესი უნდა უსწრებდეს წინ. ამგვარად, კითხვა ისმის, რა კატეგორია უნდა ყოფილიყო ასეთი, თუ არა დრო. ასეთ კატეგორიად ჩვენ ასპექტი მიგვაჩნია. ეს ვარაუდი წინასწარია, რადგან სათანადო მასალა ამჯერად ხელთ არა გვაქვს. მაგრამ იმ შინაარსობრივ სხვაობაში, რომელიც მიმღეობის ორ ფორმას შორის დასტურდება, რაზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი, კჭარ „მსმელი საერთოდ, ზოგადად“ (დიურატიული ასპექტი) და კჭარ „მსმელი“ კონკრეტულად (მომენტობრივი ასპექტი), ჩვენ ვხედავთ ასპექტის კატეგორიის შორეულ გამოძახილს.

ნამყო ძირითადი მეორის მიმღეობათა ანალიზის შემდეგ შეგვიძლია გადავიდეთ მიმღეობის სხვა ფორმებზეც. როგორც აღნიშნული იყო, ეს ფორმები მორფოლოგიურ იდენტურობას იჩენს სათანადო დროის ფორმებთან. ესენია — ნამყო უსრული I და II, ნამყო შედეგობითის წარსული.

ჭრ-ჭა-ე აწმყოს მიმღეობა (resp. ნამყო უსრ. I)

ჭრ-და-ე მყოფადის „ (resp. „ „ II)

ჭრ-ჭა-ე ნამყო შედეგობითის მიმღეობა.

ამ სახით მიმღეობები გვხვდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი მსაზღვრელის როლში გამოდიან და საზღვრულს წინ უძღვიან — ჭრჭაე რუშ „მიმავალი ქალიშვილი“, ხოლო თუ განკერძოებით დგანან, მაშინ ისინი მორფოლოგიურადაც განსხვავდებიან დროის ფორმებისაგან: სუფიქსად მოუდით -დო (ახტის დიალექტში დი→ზი).

### ბრძანებნი

მიუხედავად იმისა, რომ ლეზგიური ზმნა პირებს არ განარჩევს, ბრძანებნიში მას სამივე პირისათვის სხვადასხვა ფორმა ეპოვება.

პირველი და მესამე პირი წარმოების მხრივ სირთულეს არ ქმნის, აქ სურათი ნათელია.

განსაკუთრებული სიძნელეები გვხვდება მეორე პირის ბრძანებნიის წარმოებისას, სადაც მეტად დიდ სიჭრელესთან გვაქვს საქმე. ხერხდება ექვსი ძირითადი ჯგუფის გამოყოფა.

I ჯგუფი. ამ ჯგუფში შემავალი ზმნები ბრძანებითში წარმოდგენილია წმინდა ფუძის სახით, ყოველგვარი ფორმანტის გარეშე.

|        |                        |        |
|--------|------------------------|--------|
| გუბთუნ | „გასკდომა“, „გახეთქვა“ | გუბათ! |
| ალუკუნ | „ჩაცმა“                | ალუკ!  |
| აზუყუნ | „დაჯდომა“              | აზუყ!  |

ამ ტიპის წარმოება ერთ-ერთ უძველესად უნდა მივიჩნიოთ. ტიპოლოგიურად იგი ქართულ (მო)კალ ტიპს ეკედლება. უძველესად მიიჩნევა აფხაზურ ენაში ბრძანებითის ანალოგიური წარმოება — ზმნა ფუძის სახითაა წარმოდგენილი და ამასთანავე გარდამავალ ზმნებთან დაკარგულია სუბიექტის ნიშანიც:

იყაწა! „გააკეთე“<sup>91</sup>.

საყურადღებოა აღულური ენის მონაცემები. აქაც ზმნათა დიდი უმრავლესობა ბრძანებითში (მხოლოდ რიცხვში) ზმნის ფუძეს ემთხვევა:

|       |        |                    |
|-------|--------|--------------------|
| უჯას  | „სმა“  | უჯ!                |
| დიტას | „წევა“ | დიტ! <sup>92</sup> |

ეს სიძველე კარგადაა შემონახული ახტის დიალექტში, სადაც ბრძანებითში ამ ტიპის ზმნები მხოლოდ ფუძის სახითაა დაცული მაშინ, როდესაც სხვა დიალექტში მათ შეიძლება გარკვეული მორფოლოგიური ელემენტი დაირთონ.

|         |                    |                      |
|---------|--------------------|----------------------|
| აცუყუნ  | „დაჯდომა“, „ჯდომა“ | აცუყ!    აცყ! (ახტი) |
| ეცცუჭუნ | „კვრა“             | ეცცუჭ!               |
| ქილრგუნ | „ყურება“           | ქილრგ!               |

ამ ტიპიდან ცალკე უნდა გამოიყოს ის ზმნები, სადაც ბრძანებითში გაჩენილია უ ხმოვანი:

|        |         |         |
|--------|---------|---------|
| აქქუნ  | „ხედვა“ | აქქ-უ!  |
| ქუგუნ  | „წევა“  | ქუგ-უ!  |
| კჯაჩუნ | „აღება“ | კჯაჩ-უ! |

აქ ორი ვარაუდი შეიძლება გამოითქვას: პირველ შემთხვევაში შესაძლებელია დავუშვათ, რომ უ ფუძისეული არაა და მასდარის დაბოლოების (-უნ) კუთვნილებას წარმოადგენს და რაღაც მიზეზითაა გარჩენილი, ხოლო მეორე მხრივ, იგი შეიძლება ლა-

<sup>91</sup> ქ. ლ. მ. თ. თ. ი. ძ. ე. აფხაზური გარდამავალი ზმნის უსუბიექტო ფორმები, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. II, 1948, თბ., გვ. 11—12.

<sup>92</sup> P. III a y m a v, Грамматический очерк агульского языка, გვ. 79—80.

ბიალიზებული ბგერის რეფლექსი იყოს — ქი→ქუ, ჩი→ჩუ. საკითხს დამატებითი შესწავლა ესაქიროება<sup>92</sup>.

ამ სახის ზმნათა ბრძანებითის წარმოება ზოგიერთ მკვლევარს ცალკე აქვს გამოყოფილი<sup>93</sup>, ხოლო უ. მეილანოვა მათ სავსებით სამართლიანად აერთიანებს ზემოთ აღნიშნულ ჯგუფში<sup>94</sup>.

II ჯგუფი. ამ ჯგუფში შედის ყველა ზმნა, რომელსაც ბრძანებითში სუფიქსად -ა მოუდის. კიურიულ დიალექტში (resp. სალიტერატურო ლეზგიურში) ასეთი წარმოება მოეპოვება ზმნათა დიდ უმრავლესობას. წარმოება მარტივია და სისტემური. ზმნას შორდება მასდარის -უნ დაბოლოება და ფუძეს ერთვის -ა:

|          |                      |           |
|----------|----------------------|-----------|
| აქახუნ   | „შერევა“ (გარდაუე.)  | აქახ-ა!   |
| კვარალუნ | „ადგომა“             | კვარალ-ა! |
| აშათუნ   | „დაცემა“             | აშათ-ა!   |
| აგათუნ   | „მიახლოვება“         | აგათ-ა!   |
| ართუხრუნ | „მომატება“ (გარდამ.) | ართუხრ-ა! |

როგორც მავალითებიდანაც ჩანს, ამგვარი წარმოებისას ზმნები გარდამავლობა-გარდაუვალობის მიხედვით გარჩეული არაა. ორივე შემთხვევაში სუფიქსია -ა (შდრ. ხუნძური: ყოტ-ჟ! „გაქერი“; ჟაკ -ა! „მოდი!“)

სუფიქსური წარმოება ბრძანებითისა შედარებით ახალი მონაცემია. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ -ა ფორმანტის ხმარება აუცილებელი არაა. ბრძანებითის გაგება მის გარეშეც ხერხდება. ზემოთ მოყვანილ ყველა ზმნაში ბრძანებითი შეიძლება -ა-ს გარეშეც გამოიხატოს, განსაკუთრებით ზეპირ მეტყველებაში.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ -ა-ს გამოუყენებლობა მეორეული მოვლენაა და მისი დაკარგვა მახვილს მიეწერებაო (შდრ. აყახ-(ა)! მაგრამ ეს ვარაუდი უნდა გამოირიცხოს, რადგან ანტის დიალექტში იგი ჯერ კიდევ არაა დამკვიდრებული და საერთოდ არ იხმარება. მაშასადამე, ეს სუფიქსი ახლა-ლა იკვლევს გზას და ფეხს იკიდებს.

<sup>92</sup> საგულისხმოა, რომ ამგვარ ზმნებს ყველა ფორმაში გაყვება ეს უ: კვარუნ „აღება“: კვარუნ, კვარუნა, კვარუნა; აქქუნ „ხედვა“: აქქუნა, აქქუნა.

<sup>93</sup> Л. Жирко в, Грамматика лезгинского языка, გვ. 76.

<sup>94</sup> У. Мейланова, Типы образования повелительного наклонения глагола в лезгинском языке, გვ. 267—268. ბრძანებითის ტიპები მას ოდნავ სხვაგვარად აქვს დალაგებული.

უნდა აღინიშნოს, რომ -ა მაწარმოებელი თითქმის ყოველთვი-  
საა დატული იმ ზმნებთან, რომელთა ფუძე რ თანხმონით ბო-  
ლოვდება. ამგვარი ზმნები ჩვეულებრივ კაუზატიურნი არიან (კა-  
უზატივის მაწარმოებელია -რ).

აყალტარუნ „დამთავრება“ (ამთავრებს) აყალტარა! აყალტრა!

ზურზურუნ „აკანკალება“ ზურზურა!

გალთარუნ „დაღლა“ (გარდ.) გალთარა!

ჭურჭურუნ „გაცინება“ (გარდ.) ჭურჭურა! <sup>96</sup>

-ა სუფიქსი გვხვდება სხვა შემთხვევაშიც. სალიტერატურო  
ლექსიურში ზმნის მასდარის ორმაგ დაბოლოებასთან ფუძედ გა-  
გებულია პირველადი მასდარი, რომელსაც ერთვის ბრძანებითის  
გამომხატველი ფორმანტი.

ჯჯაზუნუნ „დახევა“ ჯჯაზუნ-ა!

ტუშუნუნ „მოზელა“ ტუშუნ-ა!

იგივე ფორმანტი მოუღის რამდენიმე ზმნას, რომელნიც შეიცა-  
ვენ აზერბაიჯანულ -შიშ სუფიქსს.

აღდათ-მიშ-უნ „მოტყუება“ აღდათმიშა!

ბაშლა-მიშ-უნ „დაწყება“ ბაშლამიშა! <sup>97</sup>

ცალკე აქვს გამოყოფილი ლ. ჟირკოვს ზმნა ჯჯა ლუნ „ჩე-  
ნება“ ჯჯა ლ. იგი მას მიაჩნია ნამყო ძირითად I-ის ფუძიდან ნა-  
წარმოებად (ჯჯალანა) <sup>98</sup>. ეს ზმნა ცალკე გამოსაყოფი არაა. აქ იგი-  
ვე პრინციპია გატარებული, რაც სხვა ზემოთ აღნიშნულ ზმნებში.  
მაგალითად, ქუბაზუნ „დაკარგვა“, ქუბაზ-ა!

უ. მეილანოვა საერთოდ არ იზიარებს იმ ვარაუდს, რომ  
ბრძანებითი ლექსიურში შეიძლება იწარმოოს ნამყოს დროებიდან,  
რადგან ნამყოს ფორმები უფრო რთულია, ვიდრე ბრძანებითისა.  
უფრო დასაშვებია პირიქით, ბრძანებითი იყოს ამოსავალი ნამყო-  
სათვისო <sup>99</sup>. ლექსიური ენის მასალაზე მართლაც არ ჩანს ნამყოს  
ფუძე ბრძანებითში, მაგრამ არც ის იქნებოდა მართებული გვე-  
თქვა, რომ ბრძანებითის ფორმას ეყრდნობა ნამყო. უფრო სწორი  
იქნება, თუ ვიტყვით, რომ ბრძანებითი და ნამყო იყენებს ერთ  
საერთო ფუძეს (resp. მასდარის ფუძეს).

<sup>96</sup> У. Мейянова, დასახ. შრ., გვ. 266.

<sup>97</sup> იქვე.

<sup>98</sup> Л. Жирков, Грамматика лезг. языка, გვ. 76.

<sup>99</sup> У. Мейянова, დასახ. შრ., გვ. 268.

-ა-ს გენეზისის შესახებ საერთოდ გაზიარებულია მოსაზრება, რომ -ა მომდინარეობს მეშველი ზმნის ა ტუ ნ-ის ბრძანებითის ფორმიდან ა ღ ა, მის შემოკლებულ სახეს წარმოადგენს. მაგრამ ქვემოთ ა ღ ა ფორმის ანალიზის დროს ნაჩვენებია იქნება, რომ ბოლო-კიდური ა აქაც იგივე ოდენობაა, რაც სხვა შემთხვევაში. ამდენად, ა-ს გენეზისის საკითხი კვლავ ღიად რჩება.

ა ღ ა-ს საშუალებით ბრძანებითი ბევრ ზმნას ეწარმოება აღწერიითად, ისევე, როგორც ა ტუ ნ და ი ღ რ ზ ფუძეები იძლევიან ზმნის აღწერიით ფორმებს. ამგვარი ზმნები ქმნის III ჯგუფს.

ამ ჯგუფის ზმნებში აღებულია ზმნის ფუძე და ა ღ ა ფორმა, ვიღებთ ბრძანებითის გაგებას.

თთაბ ა ღ ა (თთაბუნ || თთაბ ატუნ „მოტყუება“, თთაბ „ტყუილი“)

ფუჩ ა ღ ა (ფუჩუნ „გაფუქება“, „მოსპობა“)

ჰარა ღ ა (ჰარაღუნ „ყვირილი“) (ახტი)

IV ჯგუფიც საკმაოდ მრავალრიცხოვანია. აქ ერთიანდება ის ზმნები, რომელნიც ბრძანებითს რედუპლიკაციით აწარმოებენ.

პ. უსლარს ჩამოთვლილი აქვს საკმაოდ ღიდი რიცხვი ამგვარი ზმნებისა, რომლებთანაც სისტემატურად მეორდება ძირის თანხმოვანი; თუ რანდენიმე თანხმოვანია, მაშინ მეორდება უკანასკნელი<sup>100</sup>.

ერთთანხმოვნიან ბირებთან საკითხი მარტივად წყდება: განმეორებული თანხმოვანი უეკველად ძირისეულია:

ეკინ „მარგვლა“ ბრძ. ეკიქ!

აწუნ „აესება“ (გარდაუვ.) ბრძ. აწუწ!

მაგრამ, როდესაც სიტყვა რამდენიმე თანხმოვისაგან შედგება, მაშინ უკვე გასარკვევი ხდება, ყველა თანხმოვანია ძირისეული და მეორდება მხოლოდ უკანასკნელი (როგორც ეს პ. უსლარს აქვს აღნიშნული), თუ ყველა თანხმოვანი არაა ძირის კუთვნილება და ძირს მხოლოდ გაორკეცებული თანხმოვანი წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში სხვა თანხმოვანთა ფუნქციაა დასადგენი.

ზმნის ფორმათა შედარება საშუალებას იძლევა ამ კითხვაზე გარკვეული პასუხი გავცეთ.

შრომის იმ ადგილას, სადაც კლასების საკითხს ვეხებოდით, გაანალიზებული იყო რამდენიმე ზმნა: რ ე ყ ი ნ „ყინ“, „მოკვლა“, „მოკვდომა“; რ (უ) გ ტ ნ || ა ჟ გ ტ ნ || (ჟ) გ ტ ნ „ხარშვა“, რ უ ხ ტ ნ || ხ უ ნ „დაბადება“. ამ ზმნებში გამოყოფილ იქნა რ- და ღ- კლასის ნიშნე-

<sup>100</sup> П. У с п а р, დასახ. შრ., გვ. 205.

ბი, ხოლო ყ (რე-ყ-ინ), გ (რ[უ]-გ-უნ) და ხ (რუ-ხ-უნ) თანხმოვნები ძირისეულად იქნა მიჩნეული<sup>101</sup>. ამ ზმნების ბრძანებითის ფორმებია: დი-ყ!; რ(უ)-გ-უ-გ || დ-გ-უ-გ! || (გ)გ-უ-გ! რუ-ხ-უ-ხ || ხ-უ-ხ.

ამგვარად, ბრძანებითის რედუპლიკაციური წარმოებისას მეორდება მხოლოდ ძირისეული თანხმოვანი და არა ფუძე ზოლიანად, არ მეორდება კლასის ნიშანი, როგორც ეს ანდიურ ენებში გვაქვს, სადაც რედუპლიკაცია სხვა ფუნქციითაა გამოყენებული (ტ. გუდავა).

რედუპლიკაციის სხვადასხვა მორფოლოგიური ფუნქციით გამოყენება უცხო არაა კავკასიური ენებისათვის; ლეზგიურში ეს ფუნქცია ბრძანებითის გაფორმებაში გამოიხატა.

თუ ზემოთ მოცემული ანალიზი სწორია, მაშინ შესაძლებელი ხდება იგივე რ-თავსართი გამოყვით სხვა ზმნებშიც:

|       |            |      |           |
|-------|------------|------|-----------|
| რელუნ | „ფქვა“     | ბრძ. | რე-ლ-უ-ლ! |
| რახუნ | „ლაპარაკი“ | „    | რა-ხ-უ-ხ! |
| რუშუნ | „ქსელვა“   | „    | რუ-შ-უ-შ! |

ამ შემთხვევაში საინტერესოა სხვა მონათესავე ენებთან შედარება, რაც მომავლის საქმეა.

ამგვარივე ანალიზის შედეგად ხერხდება გამოიყოს აგრეთვე დ-თავსართი, რ-პრეფიქსის ტოლი ფუნქციისა:

|       |            |      |           |
|-------|------------|------|-----------|
| დაკუნ | „გასივება“ | ბრძ. | და-კ-უ-კ! |
| დუგუნ | „მორწყვა“  | „    | დუ-გ-უ-გ! |

ყურადღებას იქცევს ზმნათა ერთი ჯგუფი, რომელიც გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება, სახელდობრ: თუ ზმნის ფუძე რ თანხმოვნით ბოლოვდება, მაშინ ბრძანებითში ორმაგდება არა რ, არამედ მისი წინამავალი თანხმოვანი. ასეთი ზმნებია:

|       |           |      |                         |
|-------|-----------|------|-------------------------|
| ჭურუნ | „სიცილი“  | ბრძ. | ჭ-ურუ-ჭ                 |
| ყურუნ | „გახმობა“ | „    | ყ-ურუ-ყ                 |
| წურუნ | „დნობა“   | „    | წ-ურუ-წ                 |
| ხურუნ | „ქსოვა“   | „    | ხ-ურუ ხ    ხრახ (ახტი). |

ამგვარ ზმნათა ბრძანებითის ფორმა იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ რ (წინამავალი ხმოვნითურთ) ძირის კუთვნილებას არ შეადგენს და იგი დეტერმინანტ სუფიქსად შეიძლება მივიჩნიოთ. შდრ. ლეზგიური ყ-ურ-უნ და ხუნძური ბა-ყუ-აზე „გახმობა“. ამ სახის დე-

<sup>101</sup> იხ. გ. თოფურია, ბრძანებითის წარმოებისათვის ლეზგიურში. საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XVIII, № 3, 1957, თბილისი. გვ. 364—365.

ტერმინანტებს დალესტინის სხვა ენებშიც გამოყოფენ, მაგალითად, ხუნძურ-ანდიურ ენებში <sup>102</sup>.

ბრძანებითის რედუპლიკაციური წარმოება ამით არ ამოიწურება. არის მთელი რიგი ზმნები, რომელთაც გარკვეული თავისებურებები ახასიათებს. ამგვარი ზმნები შეიძლება სხვადასხვა ჯგუფში გავეართიანოთ.

ერთ-ერთი ასეთი ჯგუფია:

|          |                    |      |          |
|----------|--------------------|------|----------|
| კუყუნ    | „ტირილის შეწყვეტა“ | ბრძ. | კუყყყ    |
| ჩ(ჱ)ყუნ  | „დაწოლა“ (давить)  | „    | ჩ(ჱ)ყყყ  |
| ჯაყუნ    | „ღეჰვა“            | „    | ჯაყყყ    |
| შ(უ)ტყუნ | „წურვა“            |      | შ(უ)ტყყყ |

ამ ზმნათა ბრძანებითის ფორმებიდან ყურადღებას იქცევს ზმნათა მეორე ნახევარი ყუყ, რომლის მასდარი ყუნ დღესაც ცოცხალია და ნიშნავს „ჰერა“-ს (держать). პირველი ნაწილი სარკვევია. იგი შეიძლება სახელური წარმოშობისა იყოს. ასეთი ზმნები ქართული და დად-ყო-ს ტიპისად შეიძლება მივიჩნიოთ.

კომპოზიტური აგებულებისა ჩანს აგრეთვე ზმნათა მეორე ჯგუფი:

|         |                       |      |         |
|---------|-----------------------|------|---------|
| ალკუნ   | „მიკრა“, „მიწებება“   | ბრძ. | ალკჷკ   |
| გალკუნ  | „მოდება“ (защепиться) |      | გალკჷკ  |
| თ(უ)კუნ | „დაკვლა“              |      | თ(უ)კჷკ |
| ხ(უ)კუნ | „ხელის ხლება“         | „    | ხ(უ)კჷკ |
| ჩ(უ)კუნ | „დაშლა“               | „    | ჩ(უ)კჷკ |

აქაც ნათლად ჩანს, რომ ეს ზმნები ორ ნაწილად იშლება: მეორე ნაწილად გამოიყოფა კუნ — კუკ, რომლის მნიშვნელობის მიკვლევა ამჟამად ვერ ხერხდება. თავის დროზე იგი უნდა ყოფილიყო რომელიღაც დამოუკიდებელი ზმნა, რომელიც რთულ ზმნებს აწარმოებდა.

ზევით აღნიშნული იყო, რომ გამოცალკევებული პირველი ნაწილი სახელური წარმოშობისა უნდა იყოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ზმნაში სახელური ნაწილი ვეძიოთ. არსებობს სხვა შესაძლებლობაც: ივარაუდება პრევერბი.

<sup>102</sup> ილ. ცერცვაძე, ფუძის დეტერმინანტივი სუფიქსებისათვის ხუნძურსა და ანდიურ ენებში (წინასწარი მოხსენება), ენათმეცნიერების ინსტიტუტის V (XI) სამეცნ. სესია 1954 წლის 10, 11 და 12 ივნისს. მუშაობის გეგმა და თეზისები, თბ., 1954, გვ. 21—22.



პრევერბთა სისტემა აშუამად ლეზგიურში სავსებით მოშლი-  
ლია, მაგრამ არის ნიშნები, რომ ლეზგიურს პრევერბები მოეპო-  
ვებოდა. ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა ზოგიერთი  
ზმნა:

|           |  |
|-----------|--|
| ეჭრქუნ    | „ჩამოსვლა“                                   |
| ელაჰქუნ   | „გადასვლა“                                   |
| გელტქუნ   | „ჩამორჩენა“ (отстать — პ. უსლართან გვხედება) |
| აჭრქუნ    | „გამოსვლა“                                   |
| ხ(უ)ქქქუნ | „გამოსვლა“                                   |
| ეგქუნ     | „მისვლა“                                     |

ბრძანებითში ამ ზმნებს სუფიქსად -ა მოუდის. ძირია ჳ. იმის  
მიხედვით, თუ რა ელემენტები დაერთვის ზმნას თავში, მნიშვნე-  
ლობა იცვლება. თითქოს უნდა შეიძლებოდეს ზოგიერთი ელემენ-  
ტის მნიშვნელობის დადგენა, სახელდობრ:

ელაჰქუნ „გადასვლა“: ეს მასდარი უნდა შეიცავდეს მე-  
შველ ზმნას ალ, რომელიც ნიშნავს „არის ზევით, ზედაპირზე“.  
ალ უურო ნათლად ჩაის მეორე ზმნაში, რომელიც მოყვანილი  
აქვს პ. უსლარს: ალ უქუნ ← ალ ქუნ „ჩამოსვლა“ (сойти). ასეთ  
ვარაუდს მხარს უჭერს ახტის დიალექტის ფორმა — ალ გქუნ, იმა-  
ვე მნიშვნელობით. იგივე ალა საერთოს პოულობს ერთ-ერთ ადგი-  
ლობითი ბრუნვის -ლ ნიშანთან: სტრლდ-ალ, ყილ-ქლ „თავზე“.

აჭრქუნ „გამოსვლა“ (სახლიდან...), ხოლო ბრუნვაა ზაჳ  
„ჩემთან“ (ამ ბრუნვას სხვა მნიშვნელობებიც აქვს). ჳ საერთო  
ელემენტია სახელშიც და ზმნაშიც.

გელტქუნ „ჩამორჩენა“ (отстать): გელტ უნდა მომდინა-  
რეობდეს მეშველი ზმნისაგან გალ „находиться за“. ამის საბუ-  
თია ახტის დიალექტში: დადასტურებული გალ გქუნ (შდრ. ბრძ.  
გალქ!). მასასადამე, გელტ „ვინმეს უკან ყოფნა“ + სვლის აღმნიშ-  
ვნელი ჳ ძირი, იძლევა მნიშვნელობას „ჩამორჩენა“ (отстать).

მნიშვნელობის ამგვარი შეპირისპირებით პრევერბთა დადგენა  
სხვა ზმნებშიც შეიძლება<sup>102</sup>.

<sup>102</sup> რამდენადაც ჩვენს შრომაში პრევერბთა საკითხს დაწერილებით არ  
ვებებით, მივუთითებთ მხოლოდ ა. მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი ს შრომაზე Превербны в тата-  
саранском языке, Пневербно-кавказское языкознание, т. VIII, Тбилиси, 1956,  
გვ. 335—336 და სხვ. ამ შრომაში სხვა ენებთან ერთად ლეზგიური პრევერბების  
საკითხიცაა განილული.

ამგვარად, პრევერბთა საკითხი ლეზბიურში დადებითად წყდება. ამასთანავე, ეს საკითხი ადგილობრივი ბრუნვის ნიშნებსა და მეშველ ზმნებსაც უკავშირდება.

V ჯგუფი აერთიანებს იმ ზმნებს, რომელთა ბრძანებითის ფორმა მორფოლოგიურ იდენტურობას ამკლავებს მიმღობათა ფორმებთან. ამგვარი ზმნების რიცხვი მცირეა:

|          |                    |                          |
|----------|--------------------|--------------------------|
| თუნ      | „დატოვება“         | თურ!                     |
| თთუნ     | „შედება“, „ჩაღება“ | თთურ!                    |
| ქ(უ)თთუნ | „ქვეშ დადება“      | ქ(უ)თთურ!                |
| ქტუნ     | „მიბმა“, „გადაბმა“ | ქტურ! (ახტი)             |
| აჭჭულუნ  | „ამოღება“          | აჭჭულურ! (ახტი)          |
| აჭულუნ   | „ჩამოშვება“        | აჭულურ! (ახტი)           |
| ჭაჭჭულუნ | „წართმევა“         | ჭაჭჭულურ! <sup>101</sup> |

თურ და დანარჩენი ფორმები ემთხვევა ნამყო ძირითად II-თან დაკავშირებულ მიმღობებს. კითხვა ისძის, რა კავშირი აქვს მიმღობას ბრძანებითთან? როგორ მოხდა, რომ მიმღობა იქნა გამოყენებული ბრძანებითის გამოსახატავად? საფიქრებელია, რომ მიმღობის ფორმა ის ნაწილია, რომელსაც მოსდევდა რომელიღაც მეშველი ზმნა („ყოფნა“, „კეთება“) და რომელიც უშუალოდ ბრძანებითის ფორმაში იდგა, მაგრამ შემდეგ დაიკარგა. (შდრ. თ თ ა ბ ა ჯ ა — ტყუილი გააკეთე > მოიტყუე). ასეთი რამ რომ შესაძლებელია მომხდარიყო, ჩანს ზმნის სხვა ფორმებიდანაც. მაგალითად, აწმყოს გამოსახატავად ხშირად იყენებენ მიმღობის ფორმას: ზუნ ჭრ ზჷა ჯ დ ი ჯ — მე მიმავალი ვარ (ე. ი. მე მივდივარ). ჭ რ ზ ჷ ა ჯ დ ი აწმყოს მიმღობაა, ჯ ა კ ი მეშველი ზმნაა, რომელიც აწმყოს გადმოსცემს. ზეპირ მეტყველებაში ჯ ა იკარგება და ამბობენ: ზუნ ჭ რ ზ ჷ ა ჯ დ ი. ასეთი წარმოება დღეს ლეზბიურის ზეპირ მეტყველებაში საკმაოდ გავრცელებულია.

სხვადასხვა ზმნის გამოყენება ბრძანებითის აღწერითი წარმოებისათვის შეიძლება სხვა ენაშიც შეგვხვდეს, მაგალითად, ხუნძურში. პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, რომ ხუნძურში ბრძანებითის აღწერითი წარმოება ეხება III პირს და არა მეორეს, როგორც ეს ლეზბიურშია. ასე, მაგალითად, ხუნძურში იხმარება ფორმა ყოტეჯბე „გაქრას!“. იგი წარმოადგენს ბრძანებითში დასჯული ორი ზმნის ყოტე „ქერი“ და აბე

<sup>101</sup> უკანასკნელ სამ ზმნაზე მიმითითა უ. მელიანოვამ, რისთვისაც დიდ მადლობას ვუძღვნი.

„უთხარი“-ს შეერთებას (ა ხმოვანთგამყარია). შინაარსობლივად ეს შემდგენიარად წარმოიდგინება: „ქერი“—„უთხარი“, ე. ი. უთხარი, რომ (მან) გაქრას > მან გაქრას! განვითარების უკანასკნელ საფეხურს წარმოგვიდგენენ არკასული ყოტებე და ანწუხური ყოტიბი. ამ ორ ფორმაში მეორე კომპონენტის მნიშვნელობა აბე! (ზმნიდან აბდე, ხუნძახ. აბიზე) დაჩრდილულია და იგი შეეზარდა წინამავალ ზმნას<sup>105</sup>. ამგვარად, ხუნძურშიცა და ლეზგიურშიც ბრძანებითის აღწერითი წარმოებისას გამოყენებულია ორი დამოუკიდებელი ზმნა. სრული იდენტურობაა მეორე ნაწილში — ორივე კომპონენტი, რომლებიც უშუალოდ ბრძანებითობის გადმოცემას კისრულობენ, ბრძანებითში დგას. განსხვავებაა მნიშვნელობაში — ხუნძურში III პირის გაგებაა გადმოცემული. განსხვავებით ხუნძურისაგან, ლეზგიურში მეშველი ზმნა მთლიანად დაიკარგა, ხოლო ხუნძურში წინამავალ ზმნას შეერწყა და წარმოებამ ორგანული ხასიათი მიიღო.

VI ჯგუფი. თავისებური ზმნები. არის რამდენიმე ზმნა, რომლის ბრძანებითში ძირისეული თანხმოვანი უეჭველად რედუქციტირებულია, მაგრამ მას შემდეგ განუცდია ფონეტიკური ცვლილება. ასეთი შეცვლა ბგერისა სპონტანურ ხასიათს ატარებს.

|        |                       |                   |
|--------|-----------------------|-------------------|
| ქქუნ   | „წვა“                 | ქქუგ!             |
| კკუნ   | „ნოსვლა“ (წვიმისა...) | კკულ!             |
| ჩურტუნ | „შეწვა“               | ჩურტუქ!    ჩურაქ! |
| ცცუნ   | „ხვნა“                | ცცუზ!             |
| აცტუნ  | „წველა“               | აცტუზ!            |

ცალკე უნდა იქნეს განხილული ის ზმნები, რომელნიც ბრძანებითში ფუძეს იცვლიან, ან კიდევ რითმე განსხვავდებიან სხვა ფორმებისაგან.

1. გუნ „მიცემა“: ბრძ. ცე! || ჩა! (კუბის დიალექტი).

2. ლუნ „მოტანა“, „მოყვანა“: ბრძ. ლ ჭ ა შ (სალიტ.) || გაჭაშა (ახტის დიალექტი). ორივე ფორმა რთული შედგენილობისაა, ორივეში გამოიყოფა შ ძირი, რომელიც ნიშნავს „სვლას“ (შღრ. მუნ „წასვლა“), ხოლო ახტის დიალექტის ფორმის პირველი ნაწილი უნდა იყოს მეშველი ზმნის გაჭაშ-ს (თან ქონა,

<sup>105</sup> ხუნძური ენის მასალის ანალიზი ეკუთვნის ზ. ჯაფარიძეს, იხ. მისი: შენიშვნები ხუნძური დიალექტოლოგიიდან (დალესტინის ასსრ-ის ბუინაკსკის რაიონის აულების მანას-აულისა და არკასის მეტყველების მიხედვით), საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XVIII, № 6, თბ., 1957, გვ. 756—757.

ИМЕТЬ с) აბსოლუტივი, -ზე ფორმანტმოკვეცილი. მაშასადამე, გატაშა ← გატაზ-შა „თან ქონით მოდი“ > „მოიტანე“. სალიტერატურო ლეზგიურში კი მასდარის ძირი დარჩა პირველ ნაწილად.

ღ ძირი ფონეტიკურად სახეს იცვლის, როდესაც მას პრეფიქსად მოუღის მოქმედების განმეორებითობის აფიქსი ხ-ხ(უ) ღუნ → ხ(უ)ქქუნ. ბრძანებითში იგი წარმოების იმავე პრინციპს დაემყარა — ხ(უ)ქქტაშ! ახტის დიალექტი კი სხვა სურათს გვიჩვენებს. აქ განმეორებითობის პრეფიქსია არა ხ, არამედ ჯვ, ძირი კი იგივე რჩება — ჯვ(უ)ღუნ, მაგრამ ბრძანებითში ეს პრეფიქსი ისევ ხ-ს სახითაა: გა-ხ-ტაშ(ა)!

3. „წაღების“, „წაყვანის“ მნიშვნელობით იხმარება ზმნათ(უ)ხუნ. მისი ბრძანებითია თა ხ! ბრძანებითის ფორმაში დაცული ა ხმოვანი უნდა იყოს ამოსავალი, რომელიც შემდეგ ა → უ მასდარისეული უ-ს გაუღენით. იგივე ამოსავალი ფუძეა შენახული მოქმედების განმეორებითობის გამომხატველ ფორმაშიც ხ(უ)თა-ხუნ „კვლავ წაღება“.

4. ათთუნ „მოსვლა“: ბრძანებითია შა! ბრძანებითში დაცული დასტურებული ძირი დამოუკიდებელი ზმნის ნაშთია — შუნ „სვლა“. ეს ზმნა დღესაც იხმარება კასუმკენტის რაიონის რამდენიმე სოფელში: აბსოლუტ. შუნ, ნამყო ძირითადი I შანა<sup>106</sup>...

ათთუნ ზმნა ფუძეს იცვლის არა მარტო ბრძანებითში, არამედ აბსოლუტივშიც: ჯვტეზ, მაგრამ ახტის რაიონის სოფელ ფიას მეტყველებაში დასტურდება ათთუნ ფუძის სხვა ფორმებიც: აბსოლ. ეთთრზ, აწმყო ეთთრზა, მყოფ. ეთთრზა, ნამყო d. I ათთანა (ნამყო ძირითადი ორივე დიალექტში საერთოა).

5. ატუნ „ქმნა“, „კეთება“: ბრძ. ააა (ამ ზმნის შესახებ იხ. მეშველი ზმნები).

6. ჭინ „წასვლა“ (გვხვდება ყველა დიალექტში, გარდა რამდენიმე სოფლისა). ბრძანებითია — ალ დ! (სალიტ.) || ტაჩ! (ახტი)<sup>107</sup>.

7. ტუნ „კამა“: ბრძ. ნე!(სალიტ.) || ტნე!(ახტი). იგივე ძირია აბსოლუტივშიც. ორივე ფუძე ოდესღაც ფორმებს დამოუკიდებლად აწარმოებდა. ამას ადასტურებს უარყოფითი ბრძანე-

<sup>106</sup> კ. უსლარი მხოლოდ ამ ძირს იცნობს „სვლის“ მნიშვნელობით.

<sup>107</sup> ტაჩ ფორმაში უ, როგორც ჩანს, კლასის ნიშანს წარმოადგენს, შდრკრიწული უუ-ჩ „წადი“ (მაპაკ.) და ბი-ჩ-ვე „წადით“ (თქვენ). ჩ ძირი საერთოა ლეზგიურისა (შემორჩენილია ბრძანებითში) და კრიწული ათავის (ჩ-ჯ-ჩი „მიღის“).

ბითის პარალელური ფორმები: ტ უ მ ი რ (ახტი) || ნ ე ე ი რ (სალიტ.)-

ნ. ლ უ ჰ უ ნ „თქმა“: ბრძ. ლ ა ჰ ! ამოსავალი უნდა იყოს ბრძანებითის ფორმა (ზღრ. თ[უ]ხ უ ნ „წაღება“, ბრძ. თ ა ხ !). ზეპირმეტყველებაში შესაძლებელია ჰ დაიკარგოს: აბსოლუტ. ლ უ ჰ უ ზ || ლ უ ზ, ნამყო ძ. I ლ ა ჰ ა ნ ა || ლ ა ნ ა...

9 და 10. ორი ზმნა ბრძანებითში ავლენს 2 კლასის ნიშანს, თუმცა სხვა ფორმებში იგი არ ჩანს. ეს ზმნებია: ყ უ ნ (სალიტ.) || კ ე უ ნ (ახტი) „ქერა“ (перхаты). ორივეს ბრძანებითია და-ქ! მეორე ზმნაა ა ტ უ ნ „მოქრა“, ბრძ. ა ტ უ ტ ! (სალიტ.) || და -ტ ! (ახტი)- რ ე ყ რ ნ || ყ ი ნ, რ უ ხ უ ნ || ხ უ ნ, რ უ გ უ ნ || ჯ უ გ უ ნ || 2 გ უ ნ ზნების შესახებ უკვე ზემოთ გვქონდა საუბარი.

ყველაფერი, რაც აქამდე ითქვა, ეხებოდა II პირის ბრძანებითს. მაგრამ ლეზგიურ ზმნას, როგორც აღნიშნული იყო, აქვს უნარი გამოხატოს ბრძანება I და III პირისადმიც.

I პირის ბრძანებითი გულისხმობს მრავლობით რიცხვს, როდესაც ბრძანება ან თხოვნა ეხება რამდენიმე პირს, რომელთა შორის მოლაპარაკე პირიცაა. ამ ფორმის მორფოლოგიურ გამოხატულებას -ნ სუფიქსი წარმოადგენს (ფუძე აბსოლუტივისაა, -ზ არ ჩანს).

|        |            |         |                  |
|--------|------------|---------|------------------|
| ყუნ    | „ქერა“     | ყ-აზ    | ყ-ა-ნ!           |
| ასუნუნ | „შელესვა“  | ასუნ-იზ | ასუნ-ი-ნ! (ახტი) |
| რახუნ  | „ლაპარაკი“ | რახ-აზ  | რახ-ა-ნ!         |

ყველა ზმნის I პირის ბრძანებითი ამ სახით იწარმოება.

რამდენიმე შემთხვევაში წასდარისა და I პირის ბრძანებითის ფორმები ერთმანეთს ემთხვევა (როდესაც აბსოლუტივის დაბოლოებაა -უზ):

|              |                     |      |       |
|--------------|---------------------|------|-------|
| ატუნ         | „მოქრა“             | ატუზ | ატუნ! |
| შუნ          | „(წა)სვლა“          | შუზ  | შუნ!  |
| აწუნ         | „ავსება“ (გარდაუვ.) | აწუზ | აწუნ! |
| აგრეთვე: ჭინ | „წასვლა“            | ჭიზ  | ჭინ!  |

ახტის დიალექტში ამ ფორმათა საწარმოებელი ფუძე იგივეა, ოღონდ დაბოლოებისეული -ნ იკარგება, ან ზოგიერთ შემთხვევაში ნაზალიზაციის სახით რჩება.

აქქუა! „დავინახოთ!“  
იშე! „ვიტიროთ!“

III პირის ბრძანებითში ერთი საერთო ფორმა გვაქვს მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვისათვის. საწარმოებელ ფუძედ გამოყენებულია მასდარი დაბოლოების მოკვეციტ. ფორმანტია -რაჰ:

|          |                   |                    |
|----------|-------------------|--------------------|
| გალათუნ  | „დაღლა“           | გალათ-რაჲ!         |
| გაჭჭუღუნ | „წართმევა-“       | გაჭჭუღ-რაჲ! (ახტი) |
| ქ(ი)ყრნ  | „დაწოლა“ (ЛАБИТИ) | ქ(ი)ყრ-რაჲ! (ახტი) |

ახტის დიალექტში ფუძის მხრივ გამონაკლისს შეადგენს ღუნ „მოტანა“. მისი ბრძანებითია ღრრაჲ. ამ ფორმას საფუძვლად უდევს აბსოლუტივი (ღიზ) და არა მასდარი, მაშინ როცა სალიტ. ლეზგიურში ღურრაჲ იხმარება.

ზოგიერთ შემთხვევაში დაცულია ხმოვანი უ. ფორმათა შედარებით ირკვევა, რომ ის ფუძისეული არაა, არამედ მასდარი-სეულ კუთვნილებას წარმოადგენს.

|      |         |                               |
|------|---------|-------------------------------|
| ყუნ  | „ქერა“  | ყ-უ-რაჲ! (შდრ. აბსოლ. ყაზ)    |
| ჭუნ  | „სმა“   | ჭ-უ-რაჲ! (შდრ. აბსოლ. ჭჭაზ)   |
| ცცუნ | „კერვა“ | ცც-უ-რაჲ! (შდრ. აბსოლ. ცცჭაზ) |

თუ ზმნის ფუძე რ თანხმოვნით ბოლოვდება, მაშინ ბრძანებითში ორი რ იყრის თავს.

|          |                  |            |
|----------|------------------|------------|
| აწურ-უნ  | „ავსება“ (გარდ.) | აწურ-რაჲ!  |
| გაღარ-უნ | „გადაგდება“      | გაღარ-რაჲ! |

-რაჲ ფორმანტის გენეზისი უცნობია, მაგრამ იგი უნდა იშლებოდეს. ამაზე მიუთითებს ისეთი პარალელური ფორმები, როგორიცაა:

|         |          |   |
|---------|----------|---|
| რ(უ)გუნ | „ხარშვა“ | რ(უ)გუ-რაჲ    რ(უ)გუ ჲ                    |
| ხ(უ)რუნ | „ქსოვა“  | ხ(უ)რუ-რაჲ    ხ(უ)რა-ჲ    ხრახრა-ჲ (ახტი) |
| ელუნ    | „თხრა“   | ელუ-რაჲ    ელუ-ჲ                          |
| ხუნ     | „ყოფნა“  | ხუ-რაჲ    ხუ-ჲ <sup>108</sup>             |

მეორე პარალელურ ფორმებში არ ჩანს რ(ა). ეს ფორმები იშვიათად იხმარება და გავრცელებულია მხოლოდ ზოგიერთი სოფლის მეტყველებაში (მაგ., ალუჭადარ'ში — კასუმქენტის რაიონი).

რა-ჲ (თუ რ-აჲ) ელემენტის პირველ ნაწილში არსებული -რ შესაძლებელია იგივე ოდენობა იყოს, რაც კაუზატივის -რ, რამდენადაც III პირის ბრძანებითი იძულების რალაც მომენტსაც გულისხმობს. ამ შემთხვევაში იგი შესაძლებელია იგივე -რ იყოს, რაც მიმლეობებში გვაქვს, რამდენადაც მეორე პარალელური ფორმები (რ'უ'გუჲ...) ემთხვევა მიმლეობებს (შდრ. ბრძანებითის წარმოების V ჯგუფი).

<sup>108</sup> ეს უკანასკნელი ფორმა ამ ზმნისა უფრო გავრცელებულია

## უაჩუოფითი (უაუთჰმითი) ბრძანებითი

უაუთჰმითი ბრძანებითის ფორმებისათვის სპეციალური ფორმანტი ახასიათებს მხოლოდ მეორე პირს<sup>109</sup> და გამოხატავს მოქმედების აკრძალვას. იწარმოება იგი აბსოლუტივის ფუძიდან, როგორც ეს პ. უსლარსაც აქვს შენიშნული<sup>110</sup>. მისი მახასიათებელი ფორმანტია -შირ, რომელიც ერთვის აბსოლუტივის -ზ მოკვეცილ ფორმას (ზოგიერთ შემთხვევაში იკვეცება ის ხმოვანიც, რომელიც წინ უძღვის ზ-ს)<sup>111</sup>.

|         |                  |          |                    |
|---------|------------------|----------|--------------------|
| გუწ     | „თიბვა“          | გ-უზ     | გუ-მირ!            |
| უუგუწ   | „გადაცემა“       | უუგ-უზ   | უუგუ-მირ!          |
| კუწუნ   | „გაგზავნა“       | კუ-უზ    | კუუ-მირ! (ახტი)    |
| ქითქქუწ | „ანთება“ (გარდ.) | ქითქქ-უზ | ქითქქუ-მირ! (ახტი) |
| ქუბუწუნ | „დაკარგვა“       | ქუბუწ-იზ | ქუბუწ-მირ!         |

საწარმოებელი ფუძე უფრო ნათლად გამოიკვეთება ფუძე-მონაცვლე ზმნებთან, რომელთაც აბსოლუტივი სხვა ფუძისაგან ეწარმოებათ. ასევე კარგად ჩანს ფუძე იმ ზმნებთან, რომელნიც აბსოლუტივში რაიმე გადახრას გვიჩვენებენ მასდარისაგან.

|       |          |       |                  |
|-------|----------|-------|------------------|
| ათთუწ | „მოსვლა“ | კუწუზ | კუწუ-მირ!        |
| ყინ   | „მოკვლა“ | რეყიზ | რეყი-მირ! (ახტი) |
| ტუწ   | „ქამა“   | ნეზ   | ნე-მირ!          |
| ხუწ   | „ყოფნა“  | ჟეზ   | ჟე-მირ!          |

უკანასკნელ ორ ზმნას მოეპოვება პარალელური ფორმები: ნე მირ || ტუ მირ და ეე მირ || ხუ მირ<sup>112</sup>, რომელთა მეორე ფორმები მასდარს ეკედლება. ასეთი გადახრის ახსნა ადვილად ხერხდება. ამ ზმნებთან შემონახულია ძველი ვითარება, როდესაც ტუწ და ხუწ ფუძეებს ყველა ფორმა მოეპოვებოდა<sup>113</sup>.

გამონაკლისის სახით რამდენიმე ზმნასთან გამოყენებულია მასდარის ფუძე.

|          |           |  |
|----------|-----------|--|
| თ(უ)ქქუწ | „დაკვლა“  | თ(უ)ქქუბუზ, მაგრამ თ(უ)ქქუ-მირ! (ახტი) |
| კუბუწუნ  | „დახვევა“ | კუბუწუზ, მაგრამ კუბუწუ-მირ!            |

<sup>109</sup> რიცხვი გარჩეული არაა.

<sup>110</sup> П. Услар, დასახ. შრ., § 274, გვ. 208.

<sup>111</sup> თუ როდის იკვეცება ან არ იკვეცება ხმოვანი, ამის დადგენა პირს. საფუძრებელია, ეს კომპლექსზე იყოს დამოკიდებული.

<sup>112</sup> ხუ მირ ამჟამად მეტად იშვიათად იხმარება, მაგრამ ფორმა ჯერ კიდევ ცოცხალია.

<sup>113</sup> ხუწ-ის შესახებ იხ. მეშველი ზმნები.

მაგრამ ეს გამონაკლისები იმ საერთო სურათს, რომელიც უკუთქმითი ბრძანებითის წარმოებისას შეიმჩნევა, ვერ არღვევს.

დიდ ინტერესს იწვევს რამდენიმე ზმნასთან გადმონაშთის სახით შემორჩენილი უკუთქმითი ბრძანებითის წარმოება მ- პრეფიქსით. ამ ფორმათა სიძველეზე ლაპარაკობს მათი პრეფიქსული წარმოება და აგრეთვე ის ფაქტი, რომ ამგვარი ფორმები დასტურდება თითქმის ყველა ახლო მონათესავე ენაში.

ეს ზმნებია:

|            |        |                     |                    |                |
|------------|--------|---------------------|--------------------|----------------|
| მე - კვტარ | (კვუნ  | „მოსელა“            | წვიმის, თოვლის...) | <sup>114</sup> |
| მე - ეარ   | (ხუნ   | „ყოფნა“, „გახდომა“) |                    |                |
| მა - გურ   | (გუნ   | „მიცემა“)           |                    |                |
| მა - რახარ | (რახუნ | „ლაპარაკი“)         | (ახტი)             |                |
| მა - ჰლურ  | (ლუჰუნ | „თქმა“)             |                    | <sup>115</sup> |

მა-, მე- ელემენტების პრეფიქსულობა ექვს არ იწვევს, რადგან ნათელია მეორე ნაწილის რაობა — იგი წარმოადგენს ნამყო ძირითად II-თან დაკავშირებულ მიმლეობას (კვტარ, ეარ → ეერ, გურ სათანადო ზმნების მიმლეობებია). ასეთი წარმოება დადებით ბრძანებითშიც გვქონდა (იხ. V' ჯგუფი). მაშასადამე, უარყოფის პრეფიქსმა ბრძანებითის დადებით ფორმას უარყოფითობა მიანიჭა საერთო წესის მიხედვით. შინაარსობრივად ეს ასე წარმოიდგინება:

მე - კვტარ „არ წამსვლელი“ [იყავ]!

ასეთი ფორმები დღეს ენაში ხშირი არაა, მაგრამ ტექსტებში შეიძლება შეგვხვდეს. მაგალითები:

ბუბზი მეკვტარ ლაჰაჰ ყულან რეჰჰა ზუნა — მამამ არ წახვიდე, რომ უთხრა, იმ შუა გზით წავიდა (ახტი).

ლაჰ აჰა, მაჰლურ აჰა, მიჩჩაჰა შაჰმურ აჰა — ყველაფერი არ უნდა თქვაო (იდიომატური გამოთქმა) <sup>116</sup>.

ამჯამად ეს ზმნები უარყოფით ბრძანებითს საერთო წესით აწარმოებენ:

კვტა-მირ!

გუ-მირ!

ეე-ნირ!

ლუჰუ-მირ!

<sup>114</sup> იტყვიან მხოლოდ წვიმაზე, თოვლზე. სეტყვაზე... ეს ძირი, როგორც ჩანს, გადმოსცემდა „სვლის“ მნიშვნელობას საერთოდ. იმავე ძირისაა კვტეზ, რომელიც ენაცვლება ათ თუნ „მოსელა“ ზმნას აბსოლუტივში.

<sup>115</sup> მეტათეზისია მომხდარი ლჰ > ჰლ.

<sup>116</sup> სიტყვა-სიტყვით: თქვი, არ თქვა, მიჩაჰში [სოფელია] შაჰმური არის.



თვით დღეს მოქმედი სუფიქსი -შირ რთული შედგენილობისა ჩანს და იწლება შ-ირ: ამ ფორმაში შ-უარყოფის იგივე პრეფიქსია, რაც ში-, მე-ში, ხოლო -ირ შემოკლებული სახეობაა მიმღობისა იხირ (იხ. ზმნა აჭუნ და მისი ფორმები, გვ. 76), ე. ი. მირ ← მიხირ) <sup>117</sup>.

ამგვარად, -შირ წარმოადგენს მთლიანად ზმნის გაცვეთილ ფორმას, რომელიც უკვე შემდეგ ფორმანტად იქნა გამოყენებული ინტერესს არ იქნება მოკლებული, თუ მოვიყვანთ მონათესავე ენათა ჩვენებებსაც.

აღუღური: დ ი ტ! „გაწიე“! მ ა-დ ი ტ-ა! „არ გაწიო! უქ! „დალიე“! მ-უქა! „არ დალიო“ <sup>118</sup>.

ტაბასარანული: მ-აპან! „არ გააკეთო“ (აპუზ „გაკეთება“); მე-ღერხან „არ შეეკითხო“ (ღერხუზ „შეკითხვა“) <sup>119</sup>...

წახურული: იპა! „იტირე“, მე-პი „არ იტირო“ <sup>120</sup>...

აქ არ შევეუდგებით ყველა იმ თავისებურების გარკვევას, რომელიც ამა თუ იმ ენას ახასიათებს ბრძანებითის წარმოებისას. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ამჟამად მხოლოდ ის, რომ სხვა ენებშიც პრეფიქსია შ-, რომელიც უარყოფით ბრძანებითს განიხილავს. საგულისხმოა აგრეთვე, რომ ამ ენებში უკუთქმითი ფორმები მხოლოდ ამ პრეფიქსით იწარმოება. რაც შეეხება ლეზგიურს, უარყოფითობის შ-პრეფიქსი მხოლოდ უარყოფით ბრძანებითში გვხვდება, -შირ სუფიქსის გვერდით.

## დროის მაქვემდებარებელი ფორმები

ლეზგიური ზმნის თავისებურებათა შორის ყურადღებას იპყრობს ე. წ. დროის მაქვემდებარებელი ფორმები <sup>121</sup>. პ. უსლარი

---

<sup>117</sup> -შირ ბოლნისარტში რ ელემენტს შეიძლება შეენაცვლოს **ჟ** და გვექნება პარალელური ფორმები: ლუჭუ-შირ || ლუჭუ-მიჟ. აქვე იძლევა უ. მ ე ი ლ ა ნ ო ვ ა ამ ფაქტის ახსნას. მისი აზრით, ეს მონაცელოება შედგება რ და ა კლასის ნიშანთა არსებობისა ენაში. იხ. У. Мейлианова, Краткая характеристика гювейского диалекта..., გვ. 236.

<sup>118</sup> Р. Ш а у м я н, Грамматический очерк агульского языка, გვ. 80.

<sup>119</sup> Л. Ж п р к о в, Табасаранский язык, გვ. 138.

<sup>120</sup> А. Д и р р, Шахурский язык, გვ. 105.

<sup>121</sup> ეს ტერმინი შემოღებულია ლ. უ ი რ კ ო ვ ი ს მიერ — формы временного подчинения. იგი კარგად გამოხატავს ამ ფორმათა შინაარსს. Грамматика лезг. яз., გვ. 81.

ზმნის ამ ფორმას იცნობს, მაგრამ სპეციალური ტერმინი ამგვარი ფორმებისათვის არ მოეპოვება. მათი გადმოცემისათვის იგი ფორმის შინაარსის თარგმნას მიმართავს — в то время, как, когда<sup>122</sup>.

საფუძველს ამ ფორმათა წარმოებისათვის წარმოადგენს ყველა დროის მიმლეობები, რომელთაც ემატებათ სუფიქსი -ლა.

ნამყო უსრული I (resp. მიმლეობა) ჭრჭა-ლა „როცა მიდიოდა“  
ნამყო უსრული II (resp. მიმლეობა) ჭრდა-ლა „

ნამყო ძირითადი II-ის მიმლეობა {ჭრ-ლა „როცა წავიდა“  
{ჭრდა-ლა „როცა წავიდა“  
ნამყო შედეგობითის მიმლეობა ჭრჭა-ლა „როცა წასული იყო“

კითხვა იმის, რატომ მიმლეობა და არა დროის ფორმა უნდა ჩავთვალოთ ამოსავლად ამ ფორმებისათვის: ჭრჭა, ჭრდა ხომ დროის ფორმაცაა, გარდა მიმლეობისა. საკონტროლო საშუალებას აქაც ნამყო ძირითად II-თან დაკავშირებული მიმლეობა წარმოადგენს. დროის მაქვემდებარებელ ფორმებში ამ დროსთან დაკავშირებული მხოლოდ მიმლეობები გამოიყენება<sup>123</sup>. ამდენად, სხვა შემთხვევებშიც სწორედ მიმლეობები უნდა ჩაითვალოს საყრდენად დროის მაქვემდებარებელი ფორმების წარმოებისათვის. ასეთი ვარაუდის დროს დაცულია ფორმაწარმოების მთლიანი სისტემა.

ამასთანავე, ნამყო ძირითადი I-ისაგან ნაწარმოებ ფორმას (ჭრნა), რომელიც წარმოების მხრივ მისდევს ზემოთ მოყვანილ ფორმებს, არ შეიძლება დაერთოს სუფიქსი -ლა. რატომ? იმის გამო, რომ მიმლეობის ფუნქციით იგი არასოდეს არ გამოიყენება და მხოლოდ დროის გაგებას შეიცავს --- შორეული წარსულისას (давно прошедшее), მაშინ როცა ჭრდა და ჭრჭა მიმლეობაცაა და დროც.

მიუხედავად იმისა, რომ ყველგან ნიმლეობაა ამოსავალი, როგორც ფორმათა თარგმანიდან ჩანს, დროულობის გაგება მაინც ყველგან დაცულია (როცა მიდიოდა, როცა წავიდა...).

<sup>122</sup> П. Услар, დასახ. შრ., გვ. 200.

<sup>123</sup> ლ. ეიკოვი ნამყო ძირითად II-თან დაკავშირებით ამ ფორმებისათვის დროის ფორმას მიიჩნევს ამოსავლად და არა მიმლეობას. იგი შენიშნავს, რომ ნამყო ძირითადი II-დან იწარმოება: ჭ(ი)ხ-ელა < ნამყო ძ. II და(ჟ) დაბოლოებით; ელჟრ-ლა „როცა ამოთხარა“ < ნამყო ძ. II -რა დაბოლოებით, რაც არ არის მართებული, რადგან არც პირველ შემთხვევაში გვაქვს დაბოლოება და არც მეორე შემთხვევაში — რა ჭ(ი)ხ-ელა და ელჟრ — ორივე მიმლეობა (იხ. მისი Грамматика азерб. яз., გვ. 81); სხვაგან ამ მიმლეობებს იგი დროის შემოკლებულ სახეობად თვლის (იქვე, გვ. 82).

ასეთი ფორმები გვხვდება მხოლოდ რთულ წინადადებებში<sup>121</sup>.  
რამდენიმე მაგალითი:

ი ლჭლლ<sup>122</sup> რ წყ რ ზ ა ზ ა ლ ა იმ ინტუ-ანტუ ალჩჩუდ ექდაფ-  
ყუან — ის გველი, როცა კვდებოდა, ირგვლივ ეხვეოდა (პ. უსლარი,  
გვ. 271).

ქჭჭრქ იკ ლაჰჰა ლა ი ასლანდიზ ჩჩანდი წაფ ყურა — კურ-  
დღელმა ასე როცა თქვა, ლომს სულზე ცეცხლი მოეკიდა (პ. უს-  
ლარი, გვ. 298).

დეშქ შუ ზ ა ზ ა ლ ა, ოდალ ჰალტრა სა სიკ — აქლემი როცა  
მიდიოდა, მას შეხვდა ერთი მელა (პ. უსლარი, გვ. 281).

ადა უჩჩინი ყილ-ჩურქ თ თ უ ბ და ლ ა, დერლქქდიზ ეურდა —  
ის თავის თავ-წვერს როცა იპარსავდა, დალაქს უძახდა.

ჰარ მად ე ლ რ ზ ა ლ ა, მაჰმუდინ ბედტნზი გჭულ ოზაფ (← იფი-  
ზაფ) — ყოველთვის როცა წყალს ასხამდა, მაჰმუდის ტანი ხტოდა  
(ახტი).

სა ლილარჯ ამ ექქტუ ზ ა ლ ა, შეჰერზა ფფუდ რჯშ ჰალ-  
თაფა — ერთხელ, როცა ის ქალაქში მიდიოდა, [მას] სამი ქალი-  
შვილი შეხვდა (ახტი).

ნამყო ძირითადი II-ის მიმღეობასთან დაკავშირებულმა  
დროის მაქვემდებარებელმა ფორმან შეიძლება გამოხატოს ყველა  
დრო, იმის მიხედვით, მთავარი წინადადების ზმნა რა დროშია.  
აქაც თავს იჩენს კვლავ ასპექტის კატეგორია, რომელზედაც ჩვენ  
მიმღეობებთან დაკავშირებით გვქონდა საუბარი.

მაჰმუდაზ ჰემრშა მულდანშუჯუ ფულ ქჯა ც ც უ რ ლ ა, ვახგუზ  
ქქან ეუზაჩირ — მაჰმუდს ყოველთვის, როცა ამხანაგისგან ფულს  
იღებდა, მისი უკან დაბრუნება არ უნდოდა (ახტი).

ჭეყრდი ჩიქქქ ნედაჩ, ე ლ ა ლ ა, ფირიშნი თადაჩ — ხოჯა  
ხახვს არ ჰამს, როცა ნახავს, ფოჩებსაც არ დატოვებს (ანდაზა).

სხვა იბერიულ-კავკასიური ენებიდან, რომელთაც ასეთი ფორ-  
მები მოეპოვებათ, ყურადღებას იქცევს აფხაზური. მიუხედავად  
იმისა, რომ აფხაზურში წარმოების საესებით სხვა პრინციპია გა-  
ტარებული, ამგვარი ფუნქციური პარალელი არ უნდა იყოს  
ინტერესს მოკლებული.

აფხაზურში ინფინიტიური წარმოების შემთხვევაში აფიქსი -ან  
გადმოსცემს იმავე მნიშვნელობას, რასაც -ლა სუფიქსი ლეზგიურში:  
ს-ან-ყოუ „მე როცა ვარ“.

<sup>121</sup> ამგვარი ფორმა ყველგან ითარგმნება კავშირით „როცა“

<sup>122</sup> წ-თი გადმოცემით პ. უსლარის და ბერას.

დასასრულ, -**ლა** ფორმანტის გენეზისის შესახებ. ლ. ჟირკოვი მას უკავშირებს ადგილობრივი ბრუნვის ერთ-ერთ დაბოლოებას **ლ-ს** (მნიშვნელობით „ზედ“) <sup>126</sup>. ასეთი დაკავშირება სწორი ჩანს, მაგრამ უფრო ზუსტი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ -**ლა** აქ იგივე მეშველი ზნის ალ-ს („არის“ ზედ, ზედაპირზე) ნაშთია <sup>127</sup>. ამგვარი წარმოება ზნის სხვა შემთხვევებშიც გვაქვს და მაშინ უფრო გასაგები ხდება, თუ როგორ მოხდა, რომ ის ელემენტი, რომელიც საერთოს პოულობს ბრუნვის ნიშანთან, ზნაშიც იქნა გამოყენებული <sup>128</sup>.

ზოგიერთ, მეტად იშვიათ შემთხვევაში -**ლა** სუფიქსი შეიძლება გართულდეს ჯ ელემენტით. ეს არავითარ ცვლილებას არ იწვევს. მნიშვნელობაში:

ჭრდალა-ჯ „როცა მიდიოდა“

თავის მხრივ ჭრდალაჯ ფორმას შეიძლება დაემატოს მასუბსტანტივებელი სუფიქსი -**დი**: ჭრდალაჯ-დი, მაგრამ ფორმის გაგება იგივე რჩება.

### ნაზმნარი აბსტრაქტული სახელები

ლეზგიურ ენას მოეპოვება სპეციფიკური ფორმები, რომელთა სხვა ენაზე გადმოცემა ქირს. ესენია ნაზმნარი აბსტრაქტული სახელები. მათი წარმოება სავესებით ემთხვევა ზედსართავი სახელებისგან ზოგადი სახელების წარმოქმნას. ზოგადობის საერთო სუფიქსია -**შალ** (=ქართ. „ობა“, „სი-“-ე). იგი ღდაერთვის მიმღობის ყველა ფორმას (არა სუბსტანტივირებულს, -**დი-ს** გარეშე).

ჭრზ-შა-ა-შალ „წასულობა“

ჭრ-და-ა-შალ „

ჭრ-რ-შალ

ჭრ-ა-შალ

ჭრ-ნ-შა-ა-შალ <sup>129</sup>

<sup>126</sup> Л. Жирков, Грамматика лезгинского языка, გვ. 81.

<sup>127</sup> მეშველი ზნის ალ და ბრუნვის ნიშნისეული -**ლ-ს** ურთიერთკავშირი ნათელია: შდრ. სტოლ-და-ლ ალა „მაგიდაზე არის ზედ“.

<sup>128</sup> Л. Жирков, იქვე.

<sup>129</sup> შდრ. ზედსართავებისგან ზოგადი სახელების წარმოება: ქსან „ქარგი“, ქსან-შალ „სიკარგი“, „სიკეთე“; ლაცუქ „თეთრი“, ლაცუქ-შალ „სითეთრე“ და სხვ.

როგორც ვხედავთ, ქართულად ყველა ეს ფორმა ერთნაირად გადმოიცემა, მაგრამ სპეციფიკურია ამ ფორმებისა იმაში მდგომარეობს, რომ მათ მაინც შერჩენილი აქვთ დროის გაგება.

ტექსტებში ამგვარი ფორმები შედარებით იშვიათად იხმარება. მოვიყვანთ ორიოდ მაგალითს:

გადაწი უიჩიზ ფფაჩჩაჰ რუშ ქქან ხ<sup>ა</sup>აჟალ ლუჰჰუზა — ბიქ-მა თავის მეფის ქალიშვილს სიყვარული უთხრა (ახტი).

ჰჰარფუზ ატანა, ნ<sup>ა</sup>აჟალ ხ<sup>ა</sup>ანა — საზამთრო გაქრა რა, ქამა ყო.

ამგვარი სახელები იბრუნება ერთი წესის მიხედვით. თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ერგატივში (ფორმანტია -ი) უალ-ი → უილ-ი:

|      |                     |
|------|---------------------|
| სახ. | ჰირდაჟ - ჟალ        |
| ერგ. | ჰირდაჟ - უილ-ი      |
| ნათ. | ჰირდაჟ - უილ-ი-ნ    |
| მიც. | ჰირდაჟ - უილ-ი-ზ... |

### უარყოფითი ფორმები

ზმნის ყველა ფორმას მოეპოვება შესაბამისი უარყოფითი ფორმა. უარყოფითობის გამონათქვა სხვადასხვაგვარად ხდება. ძირითადად გამოიყოფა წარმოების ორი სახე: პრეფიქსული და სუფიქსური.

პრეფიქსული წარმოება. პრეფიქსით შეიძლება გადმოიცეს ზმნის ყველა ფორმის უარყოფითობა. ამ წარმოების დროს ზმნას თავში დაერთვის პრეფიქსები დ-, თთ-, თ-. მათი გამოყენების არე სხვადასხვაა.

დ- გვხვდება მაშინ, როდესაც ზმნის თავკიდური თანხმოვანი ხორხზედაა ან ყრუ.

თთ- იხმარება გემინირებული ან მკლერი თანხმოვნის წინ.

თ- გამოყენებულია ვიწრო ხმოვნების წინ<sup>130</sup> (საერთოდ სულ ორიოდ შემთხვევაშია).

ამ სახით ეს ფორმანტები გვხვდება ხმოვნით დაწყებულ ფუძებთან:

<sup>130</sup> Л. Н. Криво, Грамматика лезг. языка, გვ. 92—93.

|         |          |           |
|---------|----------|-----------|
| აქქუნ   | „ნახვა“  | თთ-აქქუნ  |
| აყახუნ  | „ადრომა“ | თთ-აყახუნ |
| ეცცრგუნ | „დადება“ | დ-ეცცრგუნ |

მაგრამ თუ ზმნა უშუალოდ თანხმონით იწყება, მაშინ უარყოფითობის ელემენტებს ჩვეულებრივ რომელიმე ხმოვანი მოსდევს: ა, უ, უ, ე, ი. ეს ფორმანტები შემდეგი ვარიანტების სახით წარმოგვიდგება: და-, დე-<sup>121</sup>, თთა-, თთჟ-, თთე-, თუ- უველაზე გავრცელებული ეს სახეობებია. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ მათ სხვა სახეც მიიღონ.

თუ თანხმონის (დ, თთ, თ) გამოყენებაში გარკვეული კანონზომიერების დადგენა ასე თუ ისე ხერხდება (ამგვარი განაწილება პირობითია), ხმოვანთა საკითხი უფრო რთულია. როდის რა ხმოვანი იხმარება, ამის გარკვევა კირს. ამდენად, თითოეული ზმნის უარყოფითი ფორმის ცოდნა საკირო. საერთო პრინციპის გამოძებნა არ სერხდება. ერთი წესის გამოტანა მაინც შეიძლება თითქოს: ყველა ზმნა, რომელსაც ფუძეში ი ხმოვანი აქვს, უარყოფითობისას ე ხმოვანს იყენებს:

|         |           |   |
|---------|-----------|---|
| ჭინ     | „წასვლა“  | თთე-ჭინ    დე-ჭინ                         |
| ჩ(ი)ხინ | „ბანაობა“ | თთე-ჩ(ი)ხინ                               |
| ყინ     | „მოკვლა“  | დე-ყინ <sup>122</sup>    თთერე-ყინ (ახტი) |

დიალექტების მხრივ რაიმე განსხვავება არ დასტურდება. ორივე დიალექტში სამივე ფორმანტია გამოყენებული. სხვაობა შეიძლება მხოლოდ ის იყოს, რომ რომელიმე დიალექტი ამა თუ იმ პრეფიქსს უფრო ხშირად იყენებდეს.

ზემოთ მოყვანილი იყო დ-, თთ-, თ- ფორმანტების ყირკოვისეული განაწილების წესები. ამგვარი განაწილება ყოველთვის არ მართლდება. გამონაკლისები საკმაოდაა (ამას იგი თვითონაც აღნიშნავს). ამის გარდა დ- და თთ- ერთმანეთის პარალელურადაც იხმარება ერთსა და იმავე ზმნასთან.

|        |  |                        |             |
|--------|--|------------------------|-------------|
| და-გუნ |  | თთა-გუნ                | „არ მიცემა“ |
| და-ყუნ |  | თთა-ყუნ                | „არ კერა“   |
| და-ჯუნ |  | თთა-ჯუნ <sup>123</sup> | „არ სნა“    |

<sup>121</sup> დე-, დჟ- პრეფიქსები არ შეგვხვედრია.

<sup>122</sup> ლ. ქირკოვი დე-ყ ინ ფორმაში ე-ს არსებობას მიაწერს ძირისეულ ყ-ს (იხ. მისი დასახ. შრ., გვ. 93).

<sup>123</sup> სალიტერატურო ლეზიურის ორთოგრაფიაში მხოლოდ თთ- პრეფიქსია მიღებული. გამონაკლისს შეადგენს ერთი სიტყვა და თ თ უნ „არ მოსვლა“.

ეს უკვე იმის მაუწყებელია, რომ აღნიშნული განაწილება ფორმანტებისა ხელოვნურია და სიზუსტეს მოკლებული.

გარდა ამისა, არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული ა. გენკოს მოსაზრება, რომ პრეფიქსისეული თანხმოვანი ემსგავსება ძირის თანხმოვანს:

ატუნ            „მოკრა“            დატუნ || თატუნ  
ალკუნ        „მიწებება“        დალკუნ || თალკუნ<sup>134</sup>

კანონზომიერების დადგენა პრეფიქსების გამოყენებაში იმი-  
თაცაა გართულებული, რომ მრავალ ზმნასთან უარყოფითობის  
პრეფიქსული წარმოება (ორგანული) აღარ ხერხდება. ზმნათა დი-  
დი უმრავლესობა უარყოფას გადმოსცემს აღწერითად, იმ შემ-  
თხვევებშიც კი, როდესაც ზმნას დადებით ფორმათა ორგანული  
წარმოება მოეპოვება. და მაინც ახტის დიალექტში პრეფიქსებით  
ნაწარმოები უარყოფითობა უფრო ხშირია, ვიდრე კიურთულში,  
თუმცა აქაც ზმნათა კარბი ნაწილი აღწერით წარმოებას მიმარ-  
თავს.

ამთავითვე ერთის თქმა დაბეჯითებით მაინც შეიძლება —  
ხმოვნით დაწყებულ ყველა ზმნას მოეპოვება უარყოფითობის პრე-  
ფიქსი.

უარყოფითი ფორმების აღწერითი წარმოებისას გამოყენებუ-  
ლია ატუნ „კეთება“ მეშველი ზმნის უარყოფითი სახე თთატუნ,  
რომელიც დაერთვის დადებითი ზმნის მასდარს. განსხვავება დადები-  
თი ფორმებისაგან იმაში გამოიხატება, რომ მეშველ ზმნას თავში  
თთ- უზის მხოლოდ (თთ-ატუნ, თთ-იჯრზ). ასევე ბუნ-ს თავში  
ერთვის თთა-(თთა-ბუნ), ხოლო ეეზ ფუძეს თთე- —თთე-ეეზ.

კურუნ    თთატუნ            (კურუნ    „სიცილი“)

კურუნ    თთიჯრზ            „არ იცინის“

კურუნ    თთატუნა...        „არ გაიცინა“...

სხვა შემთხვევაში მოკვეცილია მასდარისეული -უნ ბოლო-  
სართი და ზმნა ფუძის სახითაა წარმოდგენილი:

კვარალ თთატუნ (კვარალ-უნ „ადგომა“), გალათ თთატუნ  
(გალათუნ „დაღლა“).

ნასახელარ ზმნებთან აღებულია მხოლოდ სახელი, რომელ-  
საც ერთვის თთატუნ, თთაბუნ.

<sup>134</sup> ეს ენება კუბის დიალექტს. იხ. А. Генко, Материалы по лезгиш-  
ской диалектологии. Кубинское наречие, Изв. АН СССР, 1929, № 4, Л.,  
გვ. 330.

ხერ თთაჲუნ, ხერ თთახუნ (ხერ „კრილობა“, ხერუნ || ხერ აჲუნ „დაკრა“, „კრილობის მიყენება“).

თთაბ თთაჲუნ (თთაბ „ტყული“, თთაბუნ || თთაბ აჲუნ „მოტყუება“).

დაბოლოს, ერთი საკითხიც: უარყოფითობის ამ სამი ელემენტიდან რა წარმოშობა აქვს თითოეულს, იძებნება თუ არა მათ შორის რაიმე კავშირი და, თუ იძებნება, რომელია ამოსავალი? ქვემოთ, უარყოფითი მეშველი ზმნების ანალიზის დროს ნათლად ჩანს, რომ თთუშ „არ არის“ ზმნა მომდინარეობს დუშ ფორმისაგან. მაშასადამე, პირველადი უნდა იყოს დ თანხმოვანი. უნდა ვიფიქროთ, რომ ანალოგიური ვითარებაა სხვა შემთხვევებშიც, ყველგან ამოსავალია დ. ამრიგად, თთ ← დ, ასევე თ ← დ. შებრუნებული პროცესი ნაკლებ მოსალოდნელია. ანლაუტში უფრო შესაძლებელია დ-ს დაყრუება, ვიდრე თთ-ს (თ-ს) გამჟღავნება.

პრეფიქსულ წარმოებასთან დაკავშირებულია რამდენიმე თავისებურება:

1. ჲიჰინ „გადაგდება“: უარყოფითი ფორმაა თთეჰჲინ (ქეტათეზისია მომხდარი ჲ და ჰ-ს შორის, ი დაკარგულია).

2. თუნ „დატოვება“: თუ-თთუნ, ორმაგდება ძირისეული თანხმოვანი.

3. ეჰახჲუნ „აღება“: და-ხჲუნ. დაკარგულია ეჰ. როგორც ჩანს, იგი რაღაც მორფოლოგიური ელემენტი უნდა ყოფილიყო და არა ძირის კუთვნილება, როგორც საეცებით სამართლიანად მიუთითებს ლ. ეირკოვი პ. უსლარზე დაყრდნობით <sup>135</sup>.

სუფიქსური წარმოება. პრეფიქსულისაგან განსხვავებით სუფიქსური წარმოებისას უარყოფითობის ბოლოსართი ზმნის ყველა ფორმას ვერ დაერთვის. სათანადო სუფიქსია -ჩ, რომელიც ემატება მხოლოდ დროის რამდენიმე ფორმას, ესენია:

|              |         |
|--------------|---------|
| აწყყო        | ჰიზჲა-ჩ |
| მყოფადი      | ჰიდა-ჩ  |
| ნამყო ძ. I   | ჰენა-ჩ  |
| ნამყო შედეგ. | ჰენჲა-ჩ |

-ჩ არ ერთვის მასდარს, აბსოლუტივს, მყოფად განუსაზღვრელს, ნამყო ძირითადი II-ის არც ერთ ფორმას. მათ პრეფიქსული წარმოება ენაცვლება.

<sup>135</sup> Л. Ж пр ко в, Грамматика лезгинского языка, გვ. 93.



ორიოდე შენიშვნა:

1. ლ. ჯირკოვის აზრით, -ჩ შეიძლება დაერთოს -ჴ მოკვეცილ აბსოლუტივს<sup>136</sup>, მაგალითად, ქჭჭეჩ<sup>137</sup> (ჯეუნ „მოსვლა“ წვიმისა...). მაგრამ ეს ფორმა აბსოლუტივი არაა, თუმცა ფუძე აბსოლუტივისაა, რომელიც გამოყენებულია მყოფადის საწარმოებლად: ქჭჭეჩ (და მისთანანი) მყოფადის ფორმაა, იმ ვანსხვაებლით, რომ მყოფადის ფორმანტი -და დაკარგულია. მაგალითად:

ჭილ ჭეჭენა, კილჩგაძლა, თვალი ესროლა რა, შეხედა,  
ქანჩი აქქტან<sup>138</sup> ხარაპადა, არეინ არ ჩანს ნანგრევებში.  
ზუნ ი ფუათთა. ჭუნ ა ფუათთა... მე ამ მხარეს, შენ იმ მხარეს...

ამგვარი შემოკლებული ფორმები განსაკუთრებით სშირია ზეპირ პეტყველებში. ყველა ლეზგს ეს ფორმა მყოფადად ესმის.

2. ლ. ჯირკოვი წიუთითებს, რომ ნამყო ძირითადი II-ის -რა და -აა (ი) დაბოლოებები უარყოფით ფორმებში შეცვლილია -ჩს სუფიქსით<sup>139</sup>. გაუგებარია, რატომ უნდა მომხდარიყო ასეთი შეცვლა. სხვა შემთხვევებში რ და ჯ ფორმანტები არავითარ ამგვარ ცვლილებას არ განიცდიან და არც იმის საფუძველია, რომ აქ ასიმილაცია დაეფუძეთ. უფრო სწორი იქნება, თუ ვივარაუდებთ, რომ აქ ისევ ნამყო ძირითადი I-ია ფორმის შემოკლებული სახე გვაქვს — ჭენა ა ჭენჩ.

კვლავ იაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ნამყო ძირითადი II-ის ფორმება უარყოფითობია სუფიქსი არ მოუდის. ეს ფაქტი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. დროის ამ ფორმათა გამოყოფა უარყოფით ფორმათა წარმოების საერთო პრინციპისაგან (კერძოდ, ნამყო ძირითადი I-საგან) კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ წარმოშობით ნამყო ძირითადი I და II სხვადასხვა ოდენობებია. პრეფიქსული წარმოებისას (რომელიც უფრო ძველია) ნამყო ძირითადი II მიჰყვება საერთო წესს, ხოლო უარყოფის სუფიქსური აღნიშვნის დროს (სუფიქსაცია კი უფრო ახალი მოვლენაა) ეს წესი დაირღვა, ნამყო ძირითადი II განცალკევებით დარჩა. ამის მიზეზი იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ როდესაც სუფიქსი -ჩ გაჩნდა, ნამყო ძირითად II-ს პოზიციები უკვე შესუსტებული ჰქონდა,

<sup>136</sup> Л. Жирков, Грамматика лезгинского языка, гл. 93.

<sup>137</sup> იქვე. გვ. 94.

<sup>138</sup> აქ -და დაკარგულია ლექსში მარცვალთა რაოდენობის დასაცავად.

<sup>139</sup> Л. Жирков, Грамматика лезгинского языка, гл. 93. იგივეა ნათქვამი ლეზგიურის სასკოლო გრამატიკაში: М. М. Гаджиев, Лезги чалаги грамматика. Сад лагъий пай. Фонетика ва морфология, Махачкала, 1955, გვ. 78 (§ 67).

-ნა (ნამყო d. I) კი მაშინ ბატონდებოდა (ან უკვე გაბატონებული იყო) და ენამ ამ უკანასკნელს მისცა უპირატესობა.

ამით არ ამოიწურება უარყოფითი სუფიქსაცია: თავისებური მდგომარეობაა ნამყო უსრულ I და II-თან და საერთოდ იმ ფორმებთან, რომელნიც **ა**-თი იწარპობიან (resp. მიმღეობები). აქ სუფიქსად გამოიყენება -ჩარ, დროის ფორმანტი **ა** დაკარგულია.

|                       |          |                         |
|-----------------------|----------|-------------------------|
| ნამყო                 | უსრული I | ჭიზტა-ჩირ ← ჭიზტა-ა-ჩირ |
| "                     | " II     | ჭიღა-ჩირ                |
| ნამყო შედეგ. წარსული  |          | ჭენტა-ჩირ               |
| ნამყო შორეული წარსული |          | ჭენა-ჩირ                |

ნამყო ძირითადი II აქაც განნარტობითაა. მას უარყოფის ამგვარი ფორმები არ მოეპოვება.

-ჩ სუფიქსის გენეზისი უცნობია. რ. შაუმიანს იგი სომეხური ენის კუთვნილებად მიაჩნია, შდრ. ლეზგ. ატა-ჩი „არ არის“ და სომხ. ჩე-კა „არ არის“<sup>140</sup>.

რაც შეეხება -ჩირ სუფიქსს<sup>141</sup>, იგი რუსული შედგენილობისა ჩანს და აგებულებით ემაგავება მ-ირ სუფიქსს (ე. ი. ჩირ ← ჩ-აირ). მაშასადამე, ჩირ და მირ წარმოშობით ერთი და იგივე ზნა უნდა იყოს უარყოფის სხვადასხვა პრეფიქსით წარმოდგენილი იმ განსხვავებით. რომ მ- (resp. მირ-) როგორც საკუთარი ენის მონაცემი (და უძველესი) ბრძანებითნი იქნა გამოყენებული (მეკვტარ), ჭიმირ), ხოლო ჩ- (resp. -ჩირ), შედარებით ახალი მონაცემი, დროისა და მიმღეობის ფორმებში დამკვიდრდა სუფიქსად.

-ჩ სუფიქსის გარდა ლეზგიური ენის ზოგ დიალექტში, კერძოდ, კუბის დიალექტში და აგრეთვე ყურაბის რაიონის ზოგი სოფლის მეტყველებამა დასტურდება -შ სუფიქსი. იგი ჩ-ს ფონეტიკური სახესხვაობა უნდა იყოს: ჭიღა-შ „არ წავა“, ატა-შ „არ არის“.

### მეშველი ზმნები

მეშველი ზმნები ლეზგიურში საკმაოდ ბევრია. ესენია: ზნა-მაერთი (copula) -აა, და, თთირ და მათი უარყოფითი ფორმა თთუშ, თთუშირ; მეშველი ზმნები — ატა, ალა, გტა, ქტა, გალა, ამბ, ატუნ, ბუნ.

<sup>140</sup> P. Шаумян, Аршера-Лезгика, сѣриум: «Академиუ Н. Маргу. XLV, 1935, М.—Л., ил. All СССР. გვ. 424.

<sup>141</sup> -ჩირ ბოლოსართთან რ-სა და ჯ-ს იგივე მონაცელობა დასტურდება. რაც უარყოფითი ბრძანებითის მწარმოებელ -მირ სუფიქსთან გეჭმედა. М. М. Шанидзе, Краткая характеристика..., გვ. 236 — 237.

თითოეულს ამ ზმნათაგან თავისი გამოყენების არე აქვს და გარკვეულ შემთხვევაში იხმარება.

დავიწყოთ კოპულით ჰა, და <sup>142</sup> (მნიშვნელობით „არის“, ССТГ, 1st).

ამ ორი ზმნიდან ახტის დიალექტში და სავსებით დაკარგულია, ხოლო კიურული დიალექტში (res). სალიტ. ლეზგიურში) მეტად იშვიათად იხმარება. ენაში იგარძნობა ტენდენცია და-ს სრული გაქრობისა. ამჟამად გაბატონებულია ჰა. იგი თითქმის ერთადერთი მეშველი ზენაა, რომელიც copula-ს ფუნქციას ატარებს.

და მაინც მნიშვნელობაში რაიმე განსხვავების დადგენა ჰა და და ზმნებს შორის ამჟამად მეტად ჰკირს. ჩანს, პ. უსლარის დროსაც მათი გათიშვა ერთმანეთისაგან თვით ლეზგებსაც უჭირდათ. პ. უსლარს მოცემული აქვს ცდა, რაიმე განსხვავება დაადგინოს ამ ორ ზმნას შორის, მაგრამ ის სხვაობა შინაარსში, რომელზედაც მიუთითებს იგი, ხელოვნურია და ყოველთვის არ მართლდება. მისი აზრით, ჰა უფრო ზოგადი შინაარსის მატარებელია, ვიდრე და. ეს უკანასკნელი გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც მთქმელს უნდა გამოხატოს ისეთი მოქმედება, რომელიც მისთვის მოულოდნელი, წინათ უცნობი იყო <sup>143</sup>.

იმასვე იმეორებს ლ. ზაგურსკი <sup>144</sup>.

ისმის კითხვა, რითაა გამოწვეული ის ფაქტი, რომ ერთი და იმავე დროის ფორმაში ორი სხვადასხვა ზმნა გამოყენებული ერთი და იმავე მნიშვნელობით? თუ საკითხს ისტორიულ ასპექტში განვიხილავთ, იგი გასაგები იქნება. აქ არსებითად საქმე გვაქვს არა ორ ზმნასთან, არამედ ერთთან, რომელიც განსხვავებულია კლასებით. თუ რომელი ზმნა რომელ კლასს განეკუთვნება, ამჟამად ამის გარკვევა არ ხერხდება, რადგან კლას-კატეგორიის სისტემა ლეზგიურში, როგორც აღნიშნული იყო, სავსებით მოშლილია, მაგრამ მაინც ჰ (ა-ა) და დ (და) ელემენტების კლასის ნიშნობა ექვს არ უნდა იწვევდეს. ასეთი რწმენის საფუძველს იძლევა სხვა მონათესავე ენათა ჩვენება. სავსებით ანალოგიური შედგენილობისაა ბაცბური

---

<sup>142</sup> სალიტერატურო ლეზგიურში როდესაც იხმარება და, იგი სახელთან შერწყმულად იწერება, ხოლო ჰა ყოველთვის ცალკე დგას.

<sup>143</sup> სათანადო მაგალითები იხ. პ. უსლარის დასახ. შრ., გვ. 93—94; აგრეთვე, ლ. ე ი რ კო ვ ი, Грамматика лезг. языка, გვ. 91.

<sup>144</sup> Л. Загурский, Заметки о кюринском языке, ССКГ, вып. VIII, Тифлис, 1875, გვ. 80.

მეშველი ზმნა — ვა, ჟა, ზა, და; ტაბასარანული ვუ...; ხუნძური ბუ-გო, ვუ-გო, ჟი-გო...; ლაკური დუ-რა, ბუ-რა... და სხვ.

ჟა ზმნა-კავშირს მხოლოდ აბსოლუტივის ფორმა მოეპოვება: ჟა ზ, ნამყო ძირითადში კი მას სხვა ფუძე ენაცვლება — თ თ ი რ „იყო“<sup>145</sup>. იგი საერთო ფორმაა დროისა და სათანადო მიმღობი-სათვის, იმ განსხვავებით, რომ როცა იგი მიმღობის ფუნქციითაა გამოყენებული და ცალკე დგას, მას ყოველთვის ემატება მიმღე-ობისათვის საერთოდ დამახასიათებელი -დი (მასუბსტანტივებელი ელემენტი).

თ თ ი რ ზმნა უნდა იშლებოდეს და გამოიყოფოდეს -იჩ, რო-გელიც ისეთივე ფორმანტია, როგორიც ჭ-ირ-ში („წასული“). იგი მიმღობაა, რომელიც ნამყო ძირითად II-ს უკავშირდება. თ თ ი რ ზმნა იმითაცაა საყურადღებო, რომ მასში დაცული უნდა იყოს უძველესი ვითარება, ის მდგომარეობა, როდესაც მიმღობისა და ნამყო ძირითადი II-ის (resp. საერთოდ ნამყოს) ფორმები მორფო-ლოგიურად გათიშული არ იყვნენ. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას (გვ. 39—40), რომ ლეზგიური ზმნის ფორმათა წარმოებისათვის ამოსავალი მიმღობაა.

ახტის დიალექტში თ თ ი რ ფუძე არ დასტურდება. მის ნა-ცვლად იხმარება ეჟ, სავსებით იმავე მნიშვნელობით, რითაც თ თ ი რ. ეჟ მიღებული უნდა იყოს ჟა-საგან ჟ-ს დართვით, ე. ი, ჟა + ჟ → ეჟ): ჟ-მ დაიშვავა ა, ხოლო წინამავალი ჟ დაიკარგა. აქ სავსებით იგივე წარმოებაა, რაც და ჟ-ში „იყო“<sup>146</sup>. აქაც იგივე ჟ ემატება და მეშველ ზმნას (copula-ს). წარმოების მხრივ ამ შე-მთხვევაშიც ანალოგიური პრინციპია გატარებული, როგორიც ნამყო უსრულ II-ში. პ. უსლარი და ჟ ფორმას უწოდებს прошедшее-ს, მაგრამ ეს ის არ არის, რაც прошедшее совершенное. უღვლილე-ბის პარადიგმაში ანგვარ ფორმას ზმნებისას იგი прошедшее повто-рительное-ს უწოდებს<sup>147</sup>.

და ჟ- (დი) მიმღობის მნიშვნელობითაც იხმარება საერთო წესის მიხედვით, ეჟ კი მხოლოდ წარსული დროის ფორმაა. დროის სხვა ფორმები და-ს არ გააჩნია (არც აბსოლუტივის ფორმაა ცნობილი, შდრ. ჟა ზ).

<sup>145</sup> ეს ზმნა დამოუკიდებლად იწარმოებდა სხვა ფორმებსაც. მაგალითად, დასტურდება ამ ფუძის აბსოლუტივი თ თ ი რ (იშვითად იხმარება). იხ. П. У с л а р, დასახ. შრ., § 142, გვ. 101.

<sup>146</sup> -ჟ იგივე ელემენტია, რაც ნამყო უსრულ I-სა და II-ში.

<sup>147</sup> П. У с л а р, დასახ. შრ., გვ. 96, შდრ. გვ. 203.

ლეზგიურ ენაში მოიპოვება აგრეთვე უარყოფითი მეშველი ზნა თთუშ „არ არის“, რომელიც ენაცვლება დადებით და მეშველ ზმნას. ამ ზმნის ანალიზის დროს რამდენიმე საკითხი ჩნდება. ერთი შეხედვით, აქაც თითქოს ძირისეულ თანხმონად უნდა გამოიყოს თთ (შინაარსობლივად იგი ახლოს დგას თთ - ი რ ზმნასთან), ხოლო შ შეიძლებადა უარყოფითობის სუფიქსად მიგვეჩნია, როგორც ეს ზოგიერთი სოფლის პეტყველებანი. მაგრამ ახლო მონათესავე ენათა ჩვენება ამ მოსაზრებას მხარს არ უჭერს. თთუშ ზმნაში ძირისეულ ელემენტად შ უნდა მივიჩნიოთ შემდეგი მიზეზებით:

რუთულურ ენაში ერთ-ერთი მეშველი ზმნაა იშ „არის“ (კლასების ჩვენებით დ ი შ, რ ი შ, ჭ ი შ, დ ი შ). როგორც ჩანს, იშ ფორმა მიღებულია კლასის ნიშნის ჩამოშორებით<sup>148</sup>. სრულიად ცხადია, რომ ძირია შ. უარყოფითობის პრეფიქსად რუთულურში სხვა აფიქსებს შორის დ-ც გვივდება. სწორედ ეს დ- აწარმოებს იშ ფუძის უარყოფითობას: დ-იშ (დადებითი იშ). სხვა ფორმებთან უკვე უარყოფითი გაგების გამოსახატავად დ ი შ მთლიანადაა გამოყენებული: რი'ი დ ი შ (დადებითი რი'ი), ჭი'ი დ ი შ და ა. შ<sup>149</sup>.

უნდა ვივარაუდოთ, რომ დ ი შ რუთულურში თავის დროზე დამოუკიდებელი უარყოფითი მეშველი ზმნა იყო. მისი ანალოგიურია შედგენილობითაც წახურული დ ე შ „არ არის“. ამ შინაარსით იგი დღეს აღარ იხმარება (არ დასტურდება აგრეთვე ამ ძირის დადებითი ფორმაც), მაგრამ მისი აგებულება გამკვირვალეა: დ-ე შ'ში შ იგივე ძირია, რაც რუთულურში, ხოლო დ- აქაც უარყოფითობის აფიქსია (უარყოფითობის გამოსახატავად წახურულში დ-ც გვხვდება)<sup>150</sup>.

წახურულში შემორჩენილი გვაქვს შ ძირის მხოლოდ უარყოფითი ფორმა. მაშასადამე, რუთულურსა და წახურულში, ასე თუ ისე, დასტურდება უარყოფითი ზმნები დ ი შ, დ ე შ. თუ ამ ზმნებს გვერდით ამოვეყენებთ ლეზგიურ თთუშ-ს, უნდა დავასკვნათ, რომ ლეზგიურშიც შ ძირისეული ელემენტია, ხოლო თთ უარყოფითობის პრეფიქსია, მომდინარე დ-საგან, ე. ი. თთუშ ← \* დ უ შ.

<sup>148</sup> ამ ფორმათა გამარტივებული ვარიანტებია: ი' (აი'-, რი'-, ჭი'-, დი'-. იბ. А. Д н р р, Рутульский язык, Тифлис, 1911, გვ. 52.

<sup>149</sup> იქვე, გვ. 91.

<sup>150</sup> А. Д н р р, Цахурский язык, Тифлис, 1913, გვ. 104.

სხვა სურათი გვაქვს ტაბასარანულსა და ალულურში. ამ ენებში შ ძირი არ დასტურდება. საფიქრებელია, რომ იგი დაიკარგა.

ტაბასარანულში უარყოფითი მეშველი ზმნაა დარ „არ არის“. ეს დარ რიგ შემთხვევებში უშუალოდაა გამოყენებული უარყოფითი ფორმების წარმოებისათვის: აპუხ „კეთება“ — დარ-აპუხ; ღაპნუ „გააკეთა“ — ღაპნუ-დარ... ძალიან ხშირად დარ განიცდის ფონეტიკურ ცვლილებას და ზმნაში სხვადასხვა სახით წარმოგვიდგება. ეს აღნიშნულია საზეცნიერო ლიტერატურაში<sup>151</sup>, მაგრამ ამჟამად იგი ჩვენ არ გვკვირდება.

დარ'ს ლ. ეირკოვი შეამდგენიარად წლის: დ- უარყოფითობის პრეფიქსია, ა გადმოსცემს მნიშვნელობას „არის“, ხოლო რ გარკვეული დროის გაგებას შეიცავს<sup>152</sup>. ლ. ეირკოვისეულ ანალიზში გასაზიარებელი ჩანს მხოლოდ დ- ელემენტის კვალიფიკაცია, მაგრამ გაუგებარია, რა დროულობის გაგებას შეიცავს რ. მისი ფუნქცია სხვა რამეში უნდა ვლინდებოდეს (ისტორიული თვალსაზრისით).

საკითხი, ვფიქრობთ, ნათელი გახდება, თუ მოვიშველიებთ ალულური და თვით ტაბასარანული ენის სხვა მონაცემებს.

ტაბასარანულში მეშველი ზმნის დადებითი ფორმაა აჰი „იყო“, რომლის უარყოფითი სახეა დ-აჰი, ხოლო ალულურში უარყოფითი აფიქსების სრული სახეა: დაჟ(ა) || თთაჟ(ა), რომელთაც შეუძლიათ შემდეგი სახე მიიღონ: და/თთა, დ<sup>153</sup>.

თუ შევადარებთ ტაბასარანულ დარ-სა და ალულურ დაჟ-ს (→ თთაჟ), დავინახავთ, რომ დ ელემენტი საერთოა. საკითხი დგება, რას წარმოადგენენ რ და ჟ ელემენტები. თუ გავიხსენებთ, რომ დადებითი მეშველი ზმნები („არის“) დალესტენის რიგ ენებში მხოლოდ კლასის ნიშნითა და ხმოვნითაა წარმოდგენილი და ამასთანავე, ხშირად რ და ჟ თანიმოვნებიცაა გამოყენებული კლასის ნიშნის გადმოსაცემად, შეიძლებოდა დაგვეჭვა, რომ ამ ორ ზმნაში დადასტურებული რ და ჟ კლასის ნიშნებს წარმოადგენენ. ა ხმოვნის საკითხიც ამით წყდება, იგი კლასის ნიშნისეული ხმოვანი უნდა იყოს.

<sup>151</sup> Л. Ж пр к о в, Табасаранский язык, გვ. 134—138.

<sup>152</sup> იქვე, გვ. 134.

<sup>153</sup> Р. Ш а у м л и, Грамматический очерк агульского языка, გვ. 199.

ინტერესს არ იქნება მოკლებული, თუ შევადარებთ აღუღურ დ-აჟ(ა)-სა და ტაბასარანულ პირიან ფორმას უჟუ-ზა „მე ვარ“. აქ სავსებით ერთნაირი სურათი გვაქვს, მხედველობაში თუ არ მივიღებთ პირის -ზა ფორმანტს.

მაშასადამე, აღუღურში დ-აჟა თავდაპირველად ზმნის ფორმა იყო, უარყოფითი გაგების შემცველი, შემდეგ გაქვევდა და მთლიანად მორფემად იქნა გამოყენებული.

ლუზგიური თ თ უ შ ზმნის უარყოფით ფორმას ნამყოში (უსრული) წარმოადგენს თ თ უ შ ი რ „არ იყო“, რომელიც საერთო ფორმაა დროისა და მიმღობისათვის, ისევე როგორც თ თ ი რ.

მეშველ ზმნას თ თ უ შ შესაბამისი აწმყოს აბსოლუტივიც მოეპოვება თ თ უ შ ი ზ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შ ძირი მეშველი ზმნის სხვა ფორმებსაც აწარმოებდა: თ თ უ -შ-ი ზ.

რაც შეეხება და კოპულას, იგი უარყოფით ფორმებს სუფიქსურად აწარმოებს საერთო წესის მიხედვით: დ-ა-ჩ „არ არის“ (= არაა), დ-ა-ჩ ი რ „არ იყო“.

პ. უსლარს ზემოთ განხილული ზმნა-კავშირების შემდეგ მოცემული აქვს ის ნეშველი ზმნები, რომელნიც მიუთითებენ საგნის სივრცეში კონკრეტულ მდებარეობაზე. მას მოჰყავს დიდძალი საილუსტრაციო მასალა, რომელიც ნათელს ხდის ამ ზმნათა შინაარსობლივ ნიუანსებს<sup>154</sup>. ამდენად ჩვენ სათანადო მგაღლითები არ მოგვყავს, შევებებით ნხოლოდ რამდენიმე ძირითად საკითხს.

გვაქვს შემდეგი მეშველი ზმნები:

აჟ ა „არის“: მიუთითებს საგნის ყოფნაზე სივრცეში, საერთოდ, საგნის მდებარეობის კონკრეტიზაციის გარეშე.

|                        |                 |  |
|------------------------|-----------------|--|
| ა ლ ა                  | „არის“          | (ზედაპირზე, ზევით)                             |
| გ ჟ ა <sup>155</sup>   | „არის“          | (ახლოს, თან, <i>нахождении около, при, у</i> ) |
| ქ ჟ ა                  | „არის“          | (ქვევით, ქვემოთ, ქვეშ)                         |
| გ ა ლ ა <sup>156</sup> | „არის“          | ( <i>нахождении за, с</i> )                    |
| ა მ ა                  | „არის“, „რჩება“ | ( <i>остается</i> ).                           |

აბტის დიალექტი რაიმე განსხვავებას არ გვიჩვენებს.

ყველა ეს ზმნა ფორმებს სავსებით ერთგვარად აწარმოებს და არავითარი მორფოლოგიური თავისებურებებით არ გამოირჩევა სხვა ძირითადი ზმნებისაგან. ერთადერთი თავისებურება ამ ზმნებისა იმაში მდგომარეობს, რომ ფორმების მხრივ ნაკლებნი

<sup>154</sup> П. У с л а р. დასახ. შრ., გვ. 108—119.

<sup>155</sup> პ. უსლართან გ.

<sup>156</sup> პ. უსლართან გ.

არიან და მოეპოვებათ მხოლოდ ის დროები, რომელნიც აწმყოს აბსოლუტივს უკავშირდებიან. ეს ფორმებია:

|                                      |      |           |
|--------------------------------------|------|-----------|
| აწმყო                                | აქ   | „არის“    |
| აბსოლუტ.                             | აქ-ზ |           |
| ნამყო უსრ. I                         | აქ-ა |           |
| ნამყო უსრ. I-თან                     | }    | აქ-ა-(დი) |
| დაკავშირებული მიმღ.                  |      |           |
| ნახმნარი აბსტრაქტული სახელი აქ-ა-ჟალ |      |           |

იმავე სურათს გვიჩვენებენ დანარჩენი ზმნებიც. ამით ამოიწურება ამ მეშველი ზმნების მორფოლოგიური თავისებურებანი. მაგრამ სირთულე აქ მაინც არის. ეს სირთულე გამოიხატება შინაარსის იმ ნრავალ ნიუანსურ სხვაობებში, რომლებიც ამ მეშველი ზმნებისთვისაა დამახასიათებელი. მნიშვნელობაში განსხვავების საშუალებას იძლევა აგრეთვე მეშველ ზმნათა კომბინაციები.

ასე, მაგალითად: აქ (და მისგან წარმოებული ფორმები) შეიძლება შეერწყას აა მეშველი ზმნის აბსოლუტივს ააზ, მივიღებთ ააზ აქ, ააზ აქა და ა. შ. ასევე, იგივე აქ შეიძლება დაერთოს თავის აბსოლუტივს აქაზ აქა... ამგვარი შეერთებებით მთქმელი გარკვეულ ნიუანსურ ელფერს აცლევს ზმნის მნიშვნელობას, რაც ხშირად ძნელი შესამჩნევია არალეზგისათვის. აქ საშუალება არა გვაქვს მივუთითოთ ამ ნიუანსებზე. პ. უსლარს მითითებული აქვს ზოგიერთებზე<sup>157</sup>.

თვით აწმყოც (დრო!) ხომ ამ პრინციპითაა ნაწარმოები — ჭიხ - აქ → ჭიხა „მიდის“.

ყველაზე ხშირად მაინც ამ კომბინაციებში შონაწილეობს ააპ. იგი შეიძლება შეერწყოს ყველა მეშველ ზმნას, გარდა აქ-სი:

ალა + ააპ → ალაპა  
 გჟა + ააპ → გჟაპა  
 ქჟა + ააპ → ქჟაპა  
 გალა + ააპ → გალაპა

ალაპა (და სხვა) შემდეგ დამოუკიდებელ ზმნადაა გაგებული და ფორმებს ისევე აწარმოებს, როგორც ააპ ან აქ: ალაპაზ, ალაპაა...

საყურადღებოა ერთი გარემოება. ამ ექვსი მეშველი ზმნიდან მარტივი შედგენილობისაა სამი — აქ, ალ და ააპ, ხოლო სამი რთული აგებულებისა ჩანს — გჟა, ქჟა, გალ.

გჟა და ქჟა ზმნები უნდა იშლებოდეს: გ-ჟა, ქ-ჟა. გამოყოფილი გ და ქ ელემენტები უნდა წარმოადგენდნენ პრევერბებს,

<sup>157</sup> П. Училищ, დასახ. შრ., გვ. 114—116.



რომელნიც აჭა (→ ჭა) ზმნას გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებენ. იგივე გ უნდა იგულისხმებოდეს გ-ალა-ში ალს მეშველ ზმნასთან.

რასაკვირველია, არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ გჭა და ქჭა სავსებით დამოუკიდებელი ზმნები იყოს წარმოშობით და გჭი (გჭა) და ქჭი (ქჭა) ლაბიალურ ბგერებს წარმოადგენდნენ, მაგრამ რამდენიმე ენობრივი ფაქტი თითქოს მხარს უნდა უჭერდეს ზემოთ მოყვანილ ანალიზს.

ლეზგიური ზმნის უღვლილების სისტემაში მონაწილეობას იღებს მხოლოდ სამი მარტივი მეშველი ზმნა: აჭა, ამა (აწყო დრო), ალს (დროის მაქვემდებარებელი ფორმები).

ქ ელემენტი, როგორც პრევერბი, სხვა ზმნებთანაც დასტურდება, მნიშვნელობით „ქვეშ“: თ უნ „დატოვება“, ქ(უ)თთ უნ „ქვეშ დადება“ (ПОДЛОЖИТЬ). ამასთანავე ქ ერთ-ერთი ადგილობითი ბრუნვის ნიშანია, ამავე მნიშვნელობის გამომხატველი: თთ არ-ც ც რ-ქ „ხის ქვეშ“.

ასევე შეიძლება დაიძებნოს იმგვარი ზმნები, რომლებშიც, როგორც პრევერბი, გამოიყოფა გ ელემენტი.

აჭუნ „ქმნა“ და ხუნ „ყოფნა“ მეშველი ზმნები. „ქმნა“, „კეთება“ შინაარსს გადმოსცემს ლეზგიური ზმნა აჭუნ. მის შესახებ ჩვენ ხშირად გვიხდებოდა საუბარი. ეს ზმნა ხუნ „ყოფნა“, „გახდომა“ მეშველ ზმნასთან ერთად ხშირადაა გამოყენებული ლეზგიური ზმნის ფორმების აღწერითი წარმოებისას.

მრავალი ზმნა თავის ფორმებს მხოლოდ აღწერით აწარმოებს. ამდენად, ასეთ შემთხვევებში ამ ორი ზმნის მონაწილეობა აუცილებელია. ამგვარი ზმნები უმეტესად ნასახელარი წარმოშობისაა.

ამ ზმნათა სემანტიკა მეშველი ზმნის მნიშვნელობითაა გაპირობებული: აჭუნ-ით ნაწარმოებ ზმნათა აბსოლუტური უმრავლესობა გარდამავალია, ხოლო ხუნ-ით — გარდაუვალი. ეს ბუნებრივიცაა, რადგან თვით „კეთება“ გარდამავალი ზმნაა, რომელსაც პირდაპირი ობიექტი შეესაბამება, „ყოფნა“ კი — გარდაუვალი.

ამგვარი დაპირისპირება კარგად ჩანს ბევრ ზმნასთან.

ართუხ აჭუნ „მომატება“ (უმატებს), ართუხ ხუნ „მომატება“ (ემატება).

ბარბატ აჭუნ „დანაგურება“, „განადგურება“ (ანადგურებს), ბარბატ ხუნ „განადგურება“ (ნადგურდება).

დერინ აჭუნ „გალრმავება“ (ალრმავებს), დერინ ხუნ „გალრმავება“ (ლრმავდება).

ფორმათა წარმოების მხრივ არავითარი სიძნელე არ გვხვდება, საქიროა ოლონდ ვიცოდეთ მეშველი ზმნის ფორმები.

აჭუნ ზმნას ფორმები საერთო წესით ეწარმოება და მოეპოვება ყველა ის ფორმა, რაც სხვა ზმნებს, ოლონდ რამდენიმე თავისებურება ახასიათებს:

1. ფუძეს იცვლის აბსოლუტივში, მაშასადამე, იგივე ფუძე გაჰყვება აბსოლუტივისაგან ნაწარმოებ სხვა ფორმებშიც. ეს ფუძეა ი ა რ ზ. მისგან იწარმოება აწმყო — ი ა რ ზ უ ა, მყოფადი — ი ა რ და ნამყო უსრული I და II — ი ა რ ზ უ ა ა, ი ა რ და ა; პირველი პირის ბრძანებითი — ი ა რ ნ, დანარჩენი ფორმები კი იწარმოება აჭუნ-ისაგან.

2. მეორე პირის ბრძანებითში გამოყენებულია ფორმა ა ა ა. მისი შედგენილობა გარკვეულ ინტერესს იწვევს. იგი შესაძლებელია იშლებოდეს: ა ა - ს. გამოყოფილი ა იგივე ა უნდა იყოს, რაც ბრძანებითში დასტურდება საერთოდ. მაშინ არ იქნებოდა სწორი ბრძანებითის ფორმანტის -ა-ს ის გენეზისი, რომელიც მოცემულია სამეცნიერო ლიტერატურაში: -ა-ს ვერ ჩავთვლიდით მომდინარედ ა ა ა ფორმისგან, რადგან ა ა ა ფორმისეული -ა და საერთოდ ბრძანებითში დადასტურებული -ა საერთო წარმოშობისა იქნებოდა, რაც შეეხება ა ა- ნაწილს, იგი უნდა უკავშირდებოდეს იმავე აჭ-უნ ფუძეს, ოლონდ განსხვავებული იქნებოდა კლასებით და ი ა ი ზ ფუძე აჭუნ-ს დაუკავშირდებოდა, რომელშიც ა კლასის ნიშანი შეგვეძლო გამოგვეყო. აქ ბევრი საკითხი ჩნდება, რომლებიც გადაწყვეტას მოითხოვენ. სახელდობრ, თუ ა და ა გრამატიკული კლასის ნიშნებია, რას წარმოადგენს ძირი? რატომ მოხდა, რომ ბრძანებითში ა-ს წინ უქდვის ა ხმოვანი (ა-აა), ხოლო სხვა ფორმებში — ი (ი-არზ).

თუ ფუძის საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს (ფუძისეული თანხმოვანი აქ არ ჩანს), მეორე კითხვაზე თითქოს ხერხდება გარკვეული პასუხის გაცემა. ამოსავალია ა ა- ფუძე, ი ა- ბოლო საფეხურია, მიღებული ა-თან ასიმილაციის შედეგად, რადგან დასტურდება შუა საფეხურიც. პ. უსლარის მიერ შესწავლილ დიალექტში (უფრო ზუსტად კილოკავში) ი ა ი- ფუძე წარმოდგენილია ე ა ი-ს სახით <sup>158</sup>. მაშასადამე, ა ა- → ე ა → ი ა. რაც შეეხება ბრძანებითში დაცულ ამოსავალ ა-ს (ა ა-ა), იგი უნდა მიეწეროს ბრძანებითის -ა ფორმანტს <sup>159</sup>, რომელმაც პირველადი ა უცვლელად შე-

<sup>158</sup> ე ა ი- ფუძე ფორმებს საეხებით ისევე ეწარმოებს, როგორც ი ა ი-.

<sup>159</sup> ასეთ ვარაუდს ერთი უხერხულობა მაინც ახლავს, რადგან გასარკვევია, თუ როგორ მოხდა, რომ ბრძანებითის ფორმა (ა ა ა) ნამყო ძირითადად გამოყენებულ იქნა ფორმანტად.

ინახა. ამის გარდა, 4-ს საერთოდ აქვს უნარი უ ხმოვანი მის მეზობლობაში ი-დ აქციოს სხვა ენებშიც, მაგ. ხუნძურში: ზუ-გო, მაგრამ 4ი-გო (არის).

3. ი 4ი- ფუძე, როგორც ჩანს, ყველა ფორმას დამოუკიდებლად აწარმოებდა, რადგან დასტურდება ამ ფუძის ნამყო ძირითადი II-ის მიმღობაც ი 4 რ, პარალელურად ატუ რ-ისა.

მეორე ზმნა ხ უ ნ (ახტის დიალექტში ხ უ ნ) „ყოფნა“ „გახდომა“. ფორმათა მიხედვით არც ეს ფუძეა სრული. მასაც აბსოლუტივიდან მოკიდებული სხვა ფუძე ენაცვლება — ე ე ზ. ხ უ ნ და ე ე ზ ფუძეებს შორის ისეთივე ფუნქციური დამოკიდებულებაა, როგორც ატუ რ-სა და ი 4 რ ფუძეებს შორის. ორივე ფუძე ფორმათა წარმოების მხრივ საერთო წესს მისდევს მცირეოდენი სხვაობით:

1. მეორე პირის ბრძანებებში ხდება ძირის რედუქციაცია — ხ უ ხ !

2. მესამე პირის ბრძანებებში ორი პარალელური ფორმიდან ხ უ რ ა ა || ხ უ ა „იყოს“ უფრო გავრცელებულია უკანასკნელი.

ირკვევა, რომ ხ უ ნ ზმნას ის ფორმებიც უნდა ჰქონოდა, რომელიც ამჟამად მას არ მოეპოვება. კერძოდ, ახტის დიალექტში აქაიკ შეიძლება შეგვხვდეს ამავე ფუძის აბსოლუტივის ფორმა ხ ი ზ: ჩებ ათთუნჯნ სალლულზა ძალაჟარ გუჟუნაჟაჟი ხ ი ზ ხ ანა — მათი მოსვლის საზეიმოდ თითქოს კოცონები დაანთეს.

კიურიულ დიალექტში ხ ი ზ შედარებითი კავშირის ფუნქციით გამოიყენება „როგორც“.

მალალ ნქსრედინა კვარფუზდინ ამაჟ თაჟ ითთრმდი ხ ი ზ ტუნ თექლრძნა — მოლა ნასრედინმა საზამთროს დარჩენილი ნაწილის ადამიანებივით ჭამა შესთავაზა.

იმ ხანდი ხ ი ზ ტუნ თთირ — ეს როგორც ხანის ჭამა იყო.

ზენ ჟაზ სულტან ხ ი ზ ხ ანა — მე შენ როგორც სულტანს გთვლიდი (ახტი).

ამავე ფუნქციით გამოიყენება ხ ი ზ კუბის დიალექტშიც. ანიხის კილოკაეში იგი შეცვლილია ხ თ ი ზ-ით: ანიხ სა შეჰარ ხ თ ი ზ ხანლზ ღუზმიშნა — ანიხიდან, როგორც ქალაქისაგან, მოაწყო სახანო <sup>160</sup>.


<sup>160</sup> М. Г а д ж и е в, О некоторых особенностях ашхского говора лезгинского языка, გვ. 216.

აბსოლუტივის შინაარსის ანგეარი შეცვლა ადვილად გასაგებია: ხ<sup>ი</sup>ზ ხ<sup>ა</sup>ნა „არის რა, გახდა“ (СМЫСЛАЯ СЛОВА), შემდეგ ხ<sup>ი</sup>ზ „როგორც“.


თავის მხრივ ეე-ფუძესაც მოეპოვება ნამყო ძირითად II-თან დაკავშირებული მიმღობა ეერ (შდრ. ი ა რ-რ), რომელიც ხ<sup>ა</sup> ა რ-ს პარალელურად იხმარება.

რამდენიმე სიტყვით შევეხებით ატუნ ზნნისა და მისი ფორმების დამოკიდებულებას დროის ფორმანტებთან. ლ. ჟირკოვის აზრით, ატუნ ზნნის ფორმებია ამოსავალი ლეზგიური ზნნის ფორმათა ორგანული წარმოებისათვის. თითქმის დროის ყველა ფორმანტი, რომელიც ზნნას მოეპოვება, მას მიაჩნია ატუნ-ისა და ი ა ი ზ ფუძეთა შემოკლებულ სახეობებად. მას შემდეგი სქემა აქვს წარმოდგენილი.

სრული:



ამის შემოკლებული სახეობა:




ასეთი ვარაუდისათვის, როგორც ჩანს, საფუძველს იძლევა ფორმათა ორგანული და აღწერითი წარმოების პარალელური ხმარება: ა რ თ უ ხ-ი ბ-შა || ა რ თ უ ხ ი ა რ ზ შ ა, ა რ თ უ ხ-ნ ა || ა რ-თ უ ხ ა ტ უ ნ ა<sup>162</sup> და ა. შ.

<sup>161</sup> Л. Жирков, Грамматика лезгинского языка, гл. 85—86

<sup>162</sup> ამ ფორმათა ურთიერთობის შესახებ იხ. კვემოთ.

ლ. ეირკოვის მოსაზრებას მხარს უჭერს აგრეთვე ფუძებლო-  
ლობოვნაინი სახელები, რომლებთაგანაც ატუნ-ის საშუალებით  
იწარმოება ნასახელარი ზმნები და რომელთა დაბოლოების კავში-  
რი უფრო ნათლად შეიგრძნობა ამ მეშველ ზმნებთან. ამგვარი  
ზმნებისათვის მას შემდეგი სქემა აქვს მოცემული:



უნდა ივარაუდებოდეს შემდეგი ზმნები: იკრ-ტუნ (← იკრ ატუნ)  
„დაცარიელება“, ლაცკუ-ტუნ (← ლაცკუ ატუნ) „გათეთრება“,  
მარლრ-ტუნ (← მარლრ ატუნ) „დაგრძელება“ და სხვ.

უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი შემოკლებული ფორმები, ვარ-  
და მასდარისა, ენაში არ იხმარება. ამგვარი ზმნის ყველა ფორმა  
იწარმოება აღწერიტად ატუნ და იმრზ ფუძეთა საშუალებით  
საერთო წესის მიხედვით. იკრ ტუნ გვხვდება, მაგრამ არ გვხვდება  
იკრტუნა, იკრტურა და სხვა. მათ ნაცვლად იხმარება იკრ ატუნა და  
სხვ.

ერთადერთი, რაც შეიძლება შეგვხვდეს, ესაა იკრზუა (და მის-  
თანანი), რომელსაც უკვე სხვა მნიშვნელობა აქვს. იგი სტატიკურ  
შინაარსს ატარებს: იკრ-ზ-უა ← იკრზ აუა „ცარიელია“, მებ მარ-  
ლრზუა „თოკი გრძელია“. მაგრამ თუ დინამიკური სასიათი უნდათ  
ზმნას მიანიკონ, მაშინ ამბობენ: იკრ იმრზუა „აცარიელებს“, ხოლო  
გარდაუვალი შინაარსით — იკრ ეტზუა „ცარიელდება“.

და მაინც შეიძლება ექვი დაიბადოს, რომ იკრზუა შემო-  
კლებული საიეობაა იკრ იმრზუა-სი (იკრზუა ← იკრ იმრზუა),  
მაგრამ მნიშვნელობაში განსხვავება ამ ექვს ფანტავს. ამასთანავე,  
იკრ-ზ-უა სულ სხვაგვარი პრინციპითაა ნაწარმოები: იკრ-ზ თავისი  
ფორმით ვითარების ზმნისართია „ცარიელად“ (пусто), როგორც  
ესან-ზ „კარგად“ 165. მაშასადამე, იკრზ აუა → იკრზუა ნიშნავს „ცა-  
რიელად არის“ (> ცარიელია).

<sup>163</sup> ლეზგიურში მხოლოდ წყვილბაგისმიერი უ გვაქვს, სალიტერატურო  
ლეზგიურში იგი პირობით კბილბაგისმიერი ვ-თი გადმოიკვება.

<sup>164</sup> Л. Жирков, Грамматика лезгинского языка, გვ. 86.

<sup>165</sup> -ზ მიცემითი ბრუნვის ნიშანია, გამოყენებული ვითარებითი ზმნი-  
ხედების საწარმოებლად; შდრ. ქართული კარგ-ა-დ, ვითარებითი ბრუნვა, რომე-  
ლიც ისტორიულად მიცემითს უკავშირდება.

გასათვალისწინებელია სხვა შემთხვევებიც:

1. აბსოლუტივში -იზ დაბოლოების გარდა გვაქვს სხვა ხმოვნაინი ვარიანტებიც: -აზ (განსაკუთრებით ახტის დიალექტში), -უზ, -ეზ.

2. იგივე ფორმანტები დასტურდება ხ<sup>რ</sup>უნ და ე<sup>რ</sup>ე ფუძეებთან, რომლებთანაც ატუ<sup>რ</sup>ნ ზმნას არავითარი კავშირი არა აქვს.

3. უნ დაბოლოება გვაქვს სხვა ახლო მონათესავე ენებშიც: რუთულურში: კუტხ-უნ „მოკრა“, ლატ-უნ „დამთავრება“... უდურში: ბაქს-უნ „შეძლება“, აქს-უნ „ხედეა“<sup>166</sup>... ამ ენებში ატუ<sup>რ</sup>ნ ზმნა არა გვაქვს, მაშასადამე, -უნ საერთო მონაცემია.

4. ტაბასარანულში ლეზგიური მასდარის მნიშვნელობით იხმარება სწორედ ის ფორმები, რომელნიც ლეზგიურ აბსოლუტივს უდრიან, აქაც ფორმანტიეული ელემენტია -ზ (შდრ. აღულური -ხ).

ყოველივე ეს საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ არც ერთი ფორმანტი არ უკავშირდება ატუ<sup>რ</sup>ნ, ი ძ რ ზ მეშველ ზმნებს<sup>167</sup>. აქ მხოლოდ ფორმანტთა იდენტურობასთან გვაქვს საქმე. ზ იგივე ნონაცემია ი ძ ი ზ-ში, რაც ჭ ი-ზ ფორმაში.

### პირობითი ფორმები

პირობით ფორმებს ლეზგიურში აწარმოებს სუფიქსი -ტა. იგი ერთვის დროის ყველა ფორმას (resp. მიმლეობას), გარდა ნამყო ძირითადი II-ისა<sup>168</sup>. ამ სუფიქსითაა გადმოცემული როგორც რეალური პირობა, ისე არარეალური.

პირობითის შემდეგი ფორმები გვაქვს:

|                  |              |                    |
|------------------|--------------|--------------------|
| აწმყო            | რახ-აზ-ტა-ტა | „თუ ლაპარაკობს“    |
| მყოფადი          | რახ-ა-დბ-ტა  | „თუ ილაპარაკებს“   |
| ნამყო d. I       | რახ-ანბ-ტა   | „თუ ილაპარაკა“     |
| ნამყო შედეგობითი | რახ-ან-ტა-ტა | „თუ ნალაპარაკებია“ |

<sup>166</sup> დოც. ევვ. ჯეი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ლექციებიდან.

<sup>167</sup> გამონაკლისს შეადგენს ფუძებლოხმოვნაინი სახელებისგან ნაწარმოებ ზნათა მასდარი, მაგალითად, ლ ა ც ც უ ტ უ ნ. მაგრამ ეს ახალი მონაცემია და თავისი წარმოშობით ვერ გაუტოლდება სხვა -უე დაბოლოებიან ზმნებს.

<sup>168</sup> -ტა სუფიქსი დროის ფორმას თუმცა არ ერთვის, მაგრამ მასთან დაკავშირებულ მიმლეობას მაინც მოუღდის.

|                            |                |                       |
|----------------------------|----------------|-----------------------|
| ნამყო უსრული I (მიმლ.)     | რახ-ახ-ჟბ-ჟ-ტა | „თუ ლაპარაკობდა“      |
| „ „ II „                   | რახ-ა-ღბ-ჟ-ტა  | „თუ ლაპარაკობდა“      |
| ნამყო შორეული წარსული      | რახ-ანბ-ჟ-ტა   | „თუ ილაპარაკა“        |
| ნამყო შედეგ. წარს. (მიმლ.) | რახ-ან-ჟბ-ჟ-ტა | „თუ ნალაპარაკევი იყო“ |
| მიმლეობა ნამყო d. II       | {რახ-ბჟ-ტა     | „თუ ილაპარაკა“        |
|                            | {აჟურ-ტა       | „თუ გააკეთა“          |

საესებით ანალოგიურად იწარმოება ყველა ზმნის პირობითი ფორმები.

ამ ფორმებიდან არარეალური პირობა გამოიხატება ორი ფორმით — ნამყო უსრული მეორითა და ნამყო შორეული წარსულით <sup>169</sup>. ერთი მაგალითი:

წებბნი რახბდაჟ, სიჟიზ ჯად თ თ ე ქ ჟ ე დ ა ჟ ტ ა — ბაყაყიცი ილაპარაკებდა, პირში წყალი რომ არ შედიოდეს (ანდაზა).

სხვა ფორმებით ჩვეულებრივ გადმოიცემა რეალური პირობა, როცა ზოქმედების შესრულებას არავეითარი დაბრკოლება არ ხვდება. რამდენიმე მაგალითი:

დჟუზ ლუჟუზ კ ა ნ დ ა ჩ ტ ა, თთაფუბარარ ყუბანი იფირ — თუ სიმართლის თქმა არ გინდა, ტყუილს მაინც ნუ იტყვი (ანდაზა).

ზაზ ჟუნ რეყიზ პაჟჟ ქ ჟ უ ზ ჟ ა, დ ე ყ ჟ ა ი ტ ა ჟ უ ნ ა ი ზ ი ქ რ ჩ ა ნ რ ი ჟ ა ჟ ხ ა ლ ყ დ ი ზ ლ უ ჟ ტ ა — მე შენ მოსაკლავად მეცოდები, [მაგრამ] თუ არ მოგკალი, შენ ჩემი რქების შესახებ ხალხს ეტყვი.

გაჟ ჟუნა აჯჟედ თ თ ა ჟ უ რ ტ ა, ჟუნ რეყიდა — თუ შენ სიტყვას არ იტყვი, შენ მოკვდები.

ეჟბრლ ბეგზინი ეგერ რჟზ ჟიჩინ ბუბა ყ ე ჟ ბ რ ტ ა, ამ კვა-  
ცაზა ლაპანა ჟაჟბა ხ(ჟ)გჟზა — ახალგაზრდა ბეგმაც, თუ ქალი-  
შვილი მამას მოკლავს, მას წავეყვან[ო], უთხრა რა, პასუხი გა-  
ჟგზაენა (ახტი).

ჩუბანდიზ კ ა ნ ხ ა ჟ რ ტ ა, ყუნაჟაჟ ნისი ხქჟდლა — მწყემსმა თუ მოინდომა, [მამალი] თხიდანაც ყველს ამოიყვანს (ანდაზა).

ხშირად წინადადებაში ზმნა პირობითი ფორმითაა წარ-  
მოდგენილი, მაგრამ პირობითობის გაგება შესუსტებულია, და-  
ჩრდილულია და ზმნის მნიშვნელობა სხვადასხვა ნიუანსს იძენს. ამჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს ყველა ამ კონკრეტულ შინა-  
არსზე მივუთითოთ. მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს:

ნერაჟ ნეჟეზ პირკა კ ა ნ ა ი ჟ ზ ჟ ბ ტ ა, ქილრგიზ თადა — ცხვირი-  
დან როგორ სუნთქავს, აჩვენებს.

<sup>169</sup> შდრ. პ. უსლარის условное предположение, დასახ. შრ., გვ. 200, აგრეთვე Л. Жирков, Грамматика лезг. языка, გვ. 81.

ამ უი ბურჯ თთუშ, უურირზ გათაზუტა, ზანნი ალაზ ჩი-  
და — ეს შენი საქმე არ არის, [თუ] რატომ ვცემ, მე და ამან  
ვიციოთ.

პირობითი ფორმით შეიძლება გადმოიცეს დროული დაქვემ-  
დებარებაც:

ჩბ(უ)რუ სანდუხ აჯაჯტა, სანდუხდა ფულ აჟა — როცა  
მათ ზანდუკი გააღეს, ზანდუკში ფული აღმოჩნდა<sup>170</sup>.

### კითხვითი ფორმები

კითხვითი ფორმებისათვის ლეზგიურში -ნი ფორმანტია გა-  
მოყენებული. იგი ერთვის დროის ყველა ფორმას (resp. მიმლე-  
ობას), მაგრამ აქაც გამონაკლისს შეადგენს ნამყო ძირითადი II-ის  
ფორმები. განსხვავებით პირობითი ფორმებისაგან, კითხვითობის  
-ნი არ მოუღის მასთან დაკავშირებულ მიმლეობებსაც.

ჟუნ ჯვე კინრდიზ ჭიზჟანი<sup>171</sup>? — შენ დღეს კინოში მიდიხარ?  
ზა ჟაზ რამაგ ჭურუხ თხუმირ ლაჰაადი თთუშირნი? — მე შენ  
[ცხენების] ჯოგი მინდორში არ წაიყვანო, მოქმელი არ ვიყავი?  
(ე. ი. არ გითხარი?).

ამ ჯალჟას ჯვიბ თთუშნი? — ეს განა კუ არ არის?

თუ წინადადებაში კითხვითი ნაცვალსახელი მოიპოვება, მა-  
შინ -ნი სუფიქსი საჭირო აღარაა.

ეგვე -ნი გამოყენებულია -ც ნაწილაკის ფუნქციით, როდე-  
საც იგი ერთვის დროის მაქვემდებარებელ ფორმებს, -ლა სუფიქ-  
სით ნაწარმოებს:

ადა რ ახ ა ზ ჟ ა ჯ ლ ა ნ ი, ნეზჟა — იგი როცა ლაპარაკობდა,  
[მაშინაც კი] ჭამდა.

ეჟეს გარეშეა, რომ -ნი-ს პირველადი ფუნქცია კავშირის  
გამოხატვა იყო. ამ მნიშვნელობით იგი დღესაც იხმარება: სიკრუნე  
სეჟ — მელა და დათვი (ზუსტად: ნელაც დათვი). -ლა სუფიქსთან  
ეს ფუნქცია დღესაც ცოცხალია.

### მაპირისპირებელი ფორმები

მაპირისპირებელი ფორმები<sup>172</sup> იხმარება ორი მოქმედების ერთ-  
მანეთთან შეპირისპირებისათვის და გამოხატავს ერთი მოქმედების

<sup>170</sup> Л. Гр к о в, Грамматика лезгинского языка, გვ. 80.

<sup>171</sup> მახვილი შეიძლება დაისვას სხვაგანაც: ჭ ი ზ ჟ ა ნ ი? მიდიხარ? აქ უკვე  
